

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

კ. აკაქიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

**ილია აბულაძე**

**უ რ მ ე ე ბ ი**

**IV**

IV ტომში იბეჭდება სხვადასხვა დროს პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული თემატურად განსხვავებული სტატიები ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე. ამ ნაშრომებში ქართული მწერლობის, ენის ისტორიის, კულტურისა თუ მედიცინის ისტორიის შრავალი საეურადღებო საკითხია შესწავლილი და გარკვეული.

ილია აბულაძის შრომების IV ტომი სათანადო სამსახურს გაუწევს ქართული მწერლობითა და ისტორიით დაინტერესებულ ვეელა მკვლევარს.

რედაქტორები: გ. ნ ი ნ უ ა, ე. ც ა გ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი

## რედაქციისაბან

ილია აბულაძის „შრომების“ IV ტომით დასრულდა გამოცემა „შრომათა“ ოთხტომეულისა, სადაც თავმოყრილია განსვენებული მეცნიერის მთელი სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი მისი გამოკვლევები. ოთხტომეულის მასალა. რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, დალაგდა თემატურად. უკანასკნელი IV ტომი წინა ტომებთან შედარებით არ არის თემატურად ერთგვაროვანი. აქ თავმოყრილი სტატიების ძირითადი ნაწილი ეხება ქართული კულტურისა და მეცნიერების ისტორიის საკითხებს. საქართველოსა და სომხეთის კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ამსახველ წყაროებს. განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი რუსთველის ეპოქის ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობას.

გარდა წმინდა ქართულ-სომხური ენათმეცნიერული პრობლემებისა, ილია აბულაძე მთელ რიგ სტატიებში ეხება ქართულ-სომხური კულტურული ურთიერთობის საკითხებს რუსთველის ეპოქაში. IV ტომში შევიდა თავის დროზე რუსულად და ქართულად გამოქვეყნებული შრომის – „რუსთაველის ხანის ქართული ფილოსოფიური მწერლობის კიდევ ერთი ძეგლის თარგმანი ძველ სომხურზე“ – ორივე პუბლიკაცია.

ილია აბულაძის ღვაწლი „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანის ტექსტის, მისი მთარგმნელის ვინაობისა და მოღვაწეობის ხანის დადგენის საქმეში. სტატია „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომეხი მთარგმნელი და მისი მოღვაწეობის ხანა“ თავის დროზე დაიბეჭდა ქართულ ენაზე და სომხურადაც – IV ტომში შევიდა ამ გამოკვლევის ორივე ვარიანტი.

ილია აბულაძემ ტექსტობრივი ანალიზისა და მთელი რიგი წყაროების მონაცემების მოშველიებით გაარკვია, რომ „ქართლის ცხოვრების“ სომხური რედაქცია ქართულიდან არის გამოკრებით ნათარგმნი XII საუკუნეში. „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი დავით აღმაშენებლის ისტორიით მთავრდება. მასში არ ყოფილა შეტანილი დავით აღმაშენებლის მომდევნო მეფეების ცხოვრება, რასაც ადასტურებენ სომეხი ისტორიკოსები: სტეფანოს ორბელიანი, მხრითარ ანეცი, მხითარ აირივანეცი. ილია აბულაძემ გაარკვია, რომ „ქართლის ცხოვრების“ მთარგმნელი წარმოშობით სომეხია და თვალთახედვით მონოფიზიტი. იგი დავით აღმაშენებლის თანამედროვეა.

ილია აბულაძისათვის აშკარა იყო, რომ საქართველოს ისტორიის მთელი რიგი საკითხების სრულყოფილად შესწავლისათვის ქართული მასალის გვერდით იდგი მნიშვნელობა აქვს სომხურ საისტორიო წყაროებსაც. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა სწორედ „შრომების“ IV ტომში შესული მისი ისტორიული ხასიათის შემდეგი ნაშრომები: „მათეოს განმასარელის ცნობა ქართველთა მეფის კონსტანტინეს შესახებ“ და „სტეფანოს ორბელიანის ისტორიის ერთი ცნობის განმარტების გარშემო“.

ილია აბულაძის კვლევის სფეროში სომხური დიალექტოლოგიის საკითხებიცაა მოქცეული. „შრომების“ წინამდებარე IV ტომში იბეჭდება ილია აბულა-

ძის დიალექტოლოგიური ხასიათის შემდეგი ნაშრომი: „10-რე ფარქ ქრახტრხნ მქ ბხიადრქ ჯახტრხნ ჩქჯათაფროქონსხრდ ჯ ნრანჲ ნჯანასქოქონდ ჯაქ მარქათაფრქოქქანს ჯამარ“, რომლის ქართული ვარიანტი გამოქვეყნდა შრომების“ II ტომში („სომხური დიალექტური ფორმები X საუკუნის ერთი ქართული ხელნაწერის მიხედვით“). დასახელებულ სტატიაში მკვლევარმა განიხილა მიქაელ მოდრეკილის მიერ შედგენილი იადგარი (S-425), რომლის სხვადასხვა გვერდზე საგალობელთა მუხლების უკანასკნელ სტრიქონზე, ზოგ ადგილას, გადამწერისავე ხელით ჩაწერილია სომხური სიტყვა ან ფრაზა. ილია აბულაძემ გაარკვია, რომ ტექსტიცა და მინაწერებიც ერთდროულადაა შესრულებული X საუკუნის ბოლოს. ავტორის აზრით, ეს მინაწერები არსებით კავშირში არ არიან ქართული იადგარის ტექსტთან. ილია აბულაძის დაკვირვებით მინაწერების ენის გადახვევა სალიტერატურო სომხური ენის გრამატიკული ნორმებისაგან დიალექტის დამახასიათებელ ნიშნებზე მიგვითითებს.

გარდა „შრომების“ ოთხტომეულისა, მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა ილია აბულაძის შემდეგი შრომები:

1. ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი, 1973.

2. ქართული წერის ნიმუშები. პალეოგრაფიული ალბომი (მეორე შევსებული გამოცემა), თბილისი, 1973.

3. იაკობ ცურტაეელი. მარტილობაჲ შუშანიკისი, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები და საძიებლები დაურთო ილია აბულაძემ (ფოტოტიპირი გამოცემა), თბილისი, 1978.

ილია აბულაძის პირად არქივში, რომელიც დატულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ინახება მის მიერ სხვადასხვა დროს გადაწერილი გამოუქვეყნებელი უძველესი ტექსტები და აგრეთვე რეცენზიები წიგნებზე, საკვალიფიკაციო შრომებზე. ინსტიტუტს განზრახული აქვს ამ მასალის ერთი ნაწილის გამოქვეყნება.

IV ტომის სარჩევში მითითებულია, რომელი გამოცემიდან არის ამობეჭდილი ცალკეული სტატია. სტატიებს დაუუტოვეთ პირველი გამოცემის პავინაცია. მკითხველს შეუძლია მიუთითოს რევიორტ პირველი, ისე წინამდებარე გამოცემა.

## მხითარ გოშის ტრაქტატი «ქართველთათვის» და მისი ლიტერატურული წყაროები\*

XIII ს-ის დამდეგის ერთი ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტია ჩვენამდის მოღწეული, რომელიც სომხურ მწერლობას დაუცავს და რომელსაც უღარესი მნიშვნელობა აქვს ამ დროის საქართველოსა და სომხეთის კულტურულ-ისტორიული ურთიერთობისათვის. დოკუმენტის ავტორია XII—XIII სს ცნობილი სომეხი მწიგნობარი მოღვაწე მხითარ გოში, რომელიც თავისი მსოფლმხედველობით მაშინდელი სომხური განათლებული საზოგადოების კონსერვატიულ ბანაკს ეუთვნოდა<sup>1</sup>. ძველი გამოცემულია (არა ჩანს კი ვისგან) ეჩმიაძინის «ქრნალ აარატის» დამატებად 1900 წ. და 1901 წ.<sup>2</sup> იგი ეჩმიაძინის ხელნაწერთა კოლექციის სამი ხელნაწერის (მაგრამ მიუთითებელის) მიხედვითაა გამოქვეყნებული, როგორც ამას ერთ-ერთ სქოლოლოში (ნ. 1900 წ. გვ. 504) აღნიშნავს გამომცემელი და არა ორის მიხედვით, როგორც ეს პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს აქვს შენიშნული<sup>3</sup>. გამოცემისათვის გამოყენებული ძირითადი ხელნაწერი, როგორც შედარებამ გამოარკვია, არის ის ნუსხა, რომელიც პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს აქვს დასახელებული და რომელზედაც მისთვის მიუთითებიათ ეჩმიაძინს, ე. ი. № 631<sup>4</sup>. ამ ხელნაწერით ტრაქტატი დასათაურებული არაა. გამომცემლის მიერ ფრჩხილებში მოყვანილი სათაური პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს გამომცემლის ნახელავი ჰგონია, როცა ამბობს, რომ ტრაქტატს «უსათაუროდ მოუღწევია ჩვენამდე»<sup>5</sup>. მაგრამ ეს სწორი არ გამოდგა. ხელნაწერებზე მუშაობისას ეჩმიაძინმა, უკანასკნელ დროს, ხელთ ჩამოივარდა ისეთი ნუსხა, რომელიც ნამდვილად ატარებს გამომცემლისაგან ფრჩხილებში ჩასწულ სათაურს: *Թուղթ Մխիթար վարդապետին, որ Գոշ կոչիւր* (ნ. ეჩმიაძ. კოლექცია № 2965).

\* წაკითხულია მოხსენებად თბილ. სახელ. უნივერსიტეტის არმენოლოგიის კათედრის საჯარო სხდომაზე 1937 წ. 17 დეკემბერს.

<sup>1</sup> მხითარ გოშის ბიოგრაფიისა და შემოქმედებისათვის ნ. პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის ნაშრომი «ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი», ტფ. 1928, გვ. 214—237.

<sup>2</sup> «Արարատ» 1900 წ. გვ. 497—504, 562—568; 1901 წ. გვ. 55—61, 121—127.

<sup>3</sup> პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის, «ჩრდ. მხარ. სომ. მოძღვარნი», გვ. 238.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 238, შენიშვნა.

<sup>5</sup> პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის, «ჩრდ. მხარეთა...», გვ. 238.

სომეხთმეტყველნი, კერძოდ კი საეკლესიო ისტორიაზე მომუშავენი, ამ ძეგლს იყენებენ თავიანთ შრომებში<sup>1</sup>, მისგან იღებენ ცნობებს, მაგრამ მის რაობას ჯერ-ჯერობით ისე არაფერს შეჰხებია, როგორც პროფ. ლ. მელიქსეთ-მეგი. უკანასკნელს იგი განხილული აქვს ცალკე თავად თავის ნაშრომში: «ჩრდილო-მხარეთა სომეხთა მოძღვარნი» (ნაწილი III, თავი IX). მკვლევარის თქმით იგი სომეხ-ქართველთა ურთიერთობისათვის, კერძოდ სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების, საკითხის შესასწავლად ფრიად მნიშვნელოვან და ორიგინალურ წყაროს წარმოადგენს, რომელშიაც საერთოდ მდიდარი მასალაა წარმოდგენილი ისტორიული კონტეპციითა<sup>2</sup>. მასვე ჰგონია, რომ მხითარი ამ საკითხს საგანგებოდ დაეაღებით სპეციალურად ეხება 1197—1205 წლებში ტფილისსა და 1205—1207 წლებში ლორესა და ანისში მომხდარ საეკლესიო კრებებთან თითქოს დაკავშირებითა<sup>3</sup>. ქვემოთ კიდევ მისი წარმოშობის საბაბზე იგი ამბობს, რომ ეს წერილი გამოწვეული უნდა იყოს იმ ამბებით, რომლებიც თამარის მეფობაში მოხდა, მაგალითად 1197 წლის სომეხ-ქართველთა შეტაკებით, ანუ ე. წ. ალაჯორთა მარხვის შესახებ შეთხზული პამფლეტებით-ო<sup>4</sup>. ამრიგად ძნელია საზოგადოდ იმის თქმა, თუ რომელი კონკრეტული შემთხვევა გახდა საბაბი ამ შრომის დაწერისა, მაგრამ, რომ დიოფიზიტთა წრიდან, კერძოდ ქართული ეკლესიის წიაღიდან გამოსული წერილობითი გარკვეული წყარო უდევს საპასუხოდ წინ და სარგებლობს ზოგჯერ კიდევაც მით მხითარი, უდავოა, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ.

მხითარის ტრაქტატი, როგორც გარკვეული ხასიათის დოკუმენტი, საგანგებოდ გვგვით აჩვენებს შედგენილი. იგი მიმართულია მხარგრძელებისადმი. ეს მიმართვა სწორედ დასაწყისშივეა მოცემული. ტრაქტატს მთლიანად მხითარი *გბაყრიის წიხუნ-ს*, ე. ი. აღწერილობას ეძახის<sup>5</sup>, ხოლო მხარგრძელებისადმი მიმართვას—*საქაყრიის წიხუნ-ს*, ე. ი. «წინდებულებას», ანუ დღევანდელი ტერმინი რომ ვიხმაროთ—«შესავალს, წინასიტყვაობას»<sup>6</sup>. წინასიტყვაობაში მხითარი თავისი «აღწერილობის» ძირითად მოტივებს ეხება და შლის მათთან დაკავშირებით თავისი შრომის გეგმას. ქართველთა (იგულისხმება საერო და უფრო კი საეკლესიო წრეების მაღალი ფენა) ძვირის თქმამ ჩვენი სარწმუნოებისა და საეკლესიო აღსარების შესახებ, და ნამეტნავად იმან, რომ თქვენ—მიმართავს მხარგრძელებს—დასაჯერებლად მიგიჩნევით მათი ნათქვამი, მომიწყლა გული და მიმაცოფინა ხელი, მომეცა ჩვენი სარწმუნოების კეშმარტი სახეო (*საღრჩხასკ*), ამბობს ამ წინასიტყვაობაში ავტორი. მიზანი კი ყოფილა, როგორც

<sup>1</sup> სტრ. *მამჩხ — ჯაიყ ხიხიხვილ ჳათილქჩუნ, II ძთს, II თაყაღი. 1914, 83. 225—226.*

<sup>2</sup> იქვე, 83. 239.

<sup>3</sup> იქვე, 83. 240.

<sup>4</sup> იქვე, 83. 243.

<sup>5</sup> *მჯაყ გბაყრიის წიხუნს ასკლიოდ ზარქაღი ღორბხოდ ხეოდ კოლოღი ჳოთ...*, სტრ. 1900 წ. 83. 497.

<sup>6</sup> *მს არღი, ღქ ზაქი ათ მსღ ხს, საქაყრიის წიხუნს რაჩხას... მადგარქ ს რასუნ...* (იქვე, 83. 497).

ის ამბობს, დაემტკიცებინა ბერძნებთანა და ქართველებთან შეერთების (იგულისხმება სარწმუნოებრივის) შეუძლებლობა, რისთვისაც მათ, ე. ი. სომხებს თურმე ბრალს სდებდნენ. მხოთარი იქვე იმასაც ამბობს, რომ ამ მტკიცებასთან ერთად, იხიც მოვეცი, თუ რა უნდა ქმნას ხალხმა ასეთი შეერთების შეუძლებლობის შემთხვევაშიო. საგანგებოდ ვებები აგრეთვე, განაგრძობს დოკუმენტის ავტორი, თუ როგორ უნდა ვეპყრობოდეთ მწვალებელთ სარწმუნოებაზე მიქცევის დროს, კერძოდ—სომხებს, ბერძნებსა და ქართველებს, რომელთა ხელახალი მონათვლა, როგორც ქრისტიანისა, მიუტევებელიაო; მონათვისის ნაცვლად აღთქმაა საჭირო და მისთვის საჭირო ლოცვასაც ვიძლევიო. მიმართვის დასასრულს იმასაც აღუყვებს მხარგრძელებს, რომ ქართული ეკლესიის წინამძღვრებს მივწერე წერილი და მერმე შეეხებ ჩვენს აღსარებასა და წესებსო.

რად მიმართავს მხოთარი მხარგრძელებს? თვითონვე იძლევა ამაზე პასუხს: თქვენ შემძლე ხართ, გაფიცებული ეგ ბრძოლა გმობისა და შრიტოთ სიბრძნითა და დამაჯერებელი სიტყვით, თუმცალა შეუძლებლად ვაჩვენებთ კრების შეყრას და შეერთებას-ოა<sup>1</sup>.

ამ მცირე წინასიტყვიანიდან ნათლად ჩანს, რომ XII ს-ის საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში საკითხი მდგარა ეკლესიათა და აღსარებათა ერთიანობისათვის. შემფერებლად ამ ერთობისა სომხები ყოფილან მიჩნეული. სომხების მიმართ ძვირისა და გმობის ბრძოლა გაჩაღებულა, რაც მათი სარწმუნოების და წესების დაწუნებისა და განქიქების ხაზით წარმართულა. ისე გამწვავებულა ეს ბრძოლა, რომ სომეხთა სარწმუნოებიდან მოქცევის დროს, ან პირუქუ, ერთიმეორეს ისე მოპყრობიან, როგორც არა-ქრისტიანებს.

მართლაც, თვითველ ამ მოვლენას ამ დროის სხვა საისტორიო წყაროებიც ამტკიცებენ. ეკლესიათა ერთობისა და თანაბარი წესების გამომუშავებისათვის სომხური საისტორიო წყაროების ცნობით კრებებიც კი ყოფილა მოწვეული (მაგ. ლორესი—1205 წ., კირაკოსით<sup>2</sup>, და ანისისა—1207 წ., კირაკოსით<sup>3</sup>; ვარდანიტ ორივეს შესახებაა ერთად საუბარი<sup>4</sup>). პაექრობასა და სარწმუნოების ორტოდოქსობის საკითხის გარკვევისათვის სომეხ-ქართველთა სამღვდელთა შეკრების შემთხვევასაც არა ერთხელ ჰქონია ადგილი, როგორც ამას ქართლის ცხოვრება<sup>5</sup> აღნიშნავს. ძვირი და გმობა, ერთი სიტყვით, დღმამტიკურ-პოლემიკური ბრძოლა სომეხთადმი ლიტერატურული გზით მეტად მწვავე შეიქმნა XI—XII საუკუნეებში. ბერძნული ლიტერატურიდან ამ დროს ქართულად იღებენ ყველა იმას, რაც სომეხთა სარწმუნოების განსაქიქებლად იყო შექმნილი. მრავალი მათგანი დღმამტიკურ-პოლემიკურ კრებულებშია შესული, სხვა მწვალებელთა განსაქიქებელ ნაწერებთან ერთად. თუ რადარა ასეთი ნაწე-

<sup>1</sup> «Արարա» 1900 წ., გვ. 497: *«Եւ դուք յաւակն էք զսատկացեակ պատերազմդ հայ-հայութեան շէլուցանել ինաստիճեամբ և հաւանելի բանիւ, թէպէտ և անհարց ցուցաք զժողովն լինել և զմիաբանութիւնս»*

<sup>2</sup> *Ի ի բ զ ի ս Գ ա ն ձ ա կ ե յ ի—Համառոտ պատմութիւն... Վննեսիկ 1865, გვ. 80—83.*

<sup>3</sup> *Ո թ Վ ի Յ Յ. 89—88.*

<sup>4</sup> *Վ ա ղ ղ ա ն Բ ա ղ ղ ը ը ղ ղ ղ ղ ղ ղ ղ—Պատմութիւն Միեղբրական, ի լոյս ընծայեաց Մկրտիչ է մ ի ն, Մոսկւ 1861, გვ. 183.*

რი მოგვეპოვება ქართულად, ყველანი აღნუსხული აქვს პროფ. კ. კეკელიძეს<sup>1</sup>. ხოლო თუ რომელი ძვირის მთქმელი ნაწერი თუ ნაწერები იყო, რომელიც ნინოთარს აქვს მხედველობაში, და რა გზით შეეძლო იგი გაეცნო მას, ამის გარკვევას ვისახავთ სწორედ მიზნად ამ წერილით. მაგრამ ჯერ ისევ ტრაქტატს დაუებრუნდეთ.

მხარგრძელებისადმი მიმართვას, ანუ აღწერილობისა წინასიტყვაობას, მხინთარის ეპისტოლე მოსდევს, რომელსაც სათაურად აქვს: *მცირე რამ ამ ეპისტოლის სახე*“ (*Φιξερ τινε κ βηθηϊα αλφξιασικα*). ეპისტოლესაც თავისი წინასიტყვაობა გააჩნია. იგი მიმართულია ქართველთა კათალიკოზისადმი და საერთოდ საეკლესიო მოღვაწეთადმი. აქაც იგი ასახელებს ეპისტოლის დაწერის საბაბს; ეხება მიზანსაც, ე. ი. მტყიცებას, რომ ძნელია ერთმორწმუნეობაზე მოსვლაო და დასძენს, ვითოთებ მასზე, თუ რა უნდა ექნათ ასეთ მომენტში და აცხადებს, რომ ჩვენი წერილით ქეშმარიტ აღსარებას ვაჩვენებთ და არც ჩვენი ერის ცუდსა და სხვათა საქებელს ვმალავო. არწმუნებს ფრცით ქართველ სამღვდელეობას, რომ *«რაც სომეხთა აღსარებისათვის დამიწერია მაგ წერილში, ნამდვილად ეგრეა და ვისაჯო უფლისაგან, თუ სომეხთა პირ(მოთწეობ)ისათვის (Αρθασ)* სიცრუე დამეწეროსო»<sup>2</sup>. იქვე გამოთქვამს სინანულს, რომ *«უშეცრუებით, რომელიც ვერაინ შეგაგნებინათ თქვენ, დეგხართ და არისხებთ ქრისტეს და თქვენ ერს ამხედრებთ სომეხებზე, რომ ურია და ტაქიკი უმჯობესია სომეხეაო»<sup>3</sup>, ე. ი. ნუ სთვლით სომეხებს მწვალებლადო. მხითარი აქაც შენიშნავს, რომ მოქცეულ სომეხს, ბერძენსა და ქართველს ხელახალი მონათვლა არ ესაქიროება, არამედ აღთქმა სათანადო ლოცვით, რომელსაც—ამბობს იგი—აღწერილობაშივე ვიძღვევო. დასასრულ სთხოვს ქართველ სამღვდელეობას კათალიკოზის სახით, მოსპოს გმობა და შეაჩეროს უწესო ნათვლა, რაც თქვენ შეგიძლიათო. ამასთან ეხვეწება მას, რომ თუ მისი ეპისტოლე სათნო დარჩება მისთვის (ე. ი. კათალიკოზისათვის), მაშინ გააცნოს მეფეებსაც—თამარსა და დავითს,—რომლებიც მშვიდობისა და სიყვარულის მობაძვანი არიანო. სხვათა შორის ამასვე სთხოვს მხითარი თავისი აღწერილობის ბოლოს მხარგრძელებსაც.*

როგორც ვხედავთ, ამ მიმართვიდანაც თითქმის იმასვე ვიტყობთ, რასაც წინა განხილულიდან, რომელიც მხარგრძელებისადმი იყო მიმართული მისი შრომის დასაწყისშივე. დამატებით მაინც ისაა აქ ახალი, რომ ძვირისა და გმობის გამჟალებლად სომეხთა მიმართ სამღვდელეობა ჰყავს გამოყვანილი, რომელსაც—მისი თქმით—შეუძლია მოსპოს იგი და შეაჩეროს უწესო მოპყრობაცო. მხითარი მართლაც არ სცდება,—ზემოთ აღნიშნული სომეხთა საწინააღმდეგო ძვირისა და გმობის ლიტერატურა ქართველი სამღვდელეობის წიაღშია აღმოცენებული.

თვითონ თავის საგანს იმით იწყებს მხითარი, რომ მწვალებლობა ამ ქვეყნად მაცთურისაგან არის დათესილი, *«აცთა ამპარტაენებისა და გაუგონ-*

<sup>1</sup> პროფ. კ. კეკელიძე—ქართ. ლიტ. ისტორია, I, გვ. 539—540.

<sup>2</sup> *Արարատ* 1900 წ. გვ. 497.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 497.

რობის სენმა ალაორძინა იგიო. მაცთურისაგან შემდარნი არ კმაყოფილდებიან თავიანთი სნებით, არამედ ცდილობენ შეაცდინონ ისინი, რომლებიც წრფელი გზით მიდიან, რათა დაატოვებინონ სამი წმ. კრების კეშმარიტი სარწმუნოებაო<sup>1</sup>. ამის შემდეგ იგი აღწერს სამივე კრებას და მათი შეკრების მიზანსა და დადგენილებებს. ეხება მომდენო კრებებსა და მათი შეკრების საგანსა დაწერილებით ჩერდება უკანასკნელზე.—ქალკედონის კრებაზე,—და მის ისტორიას, ცხადია, ანტიქალკედონისტური თვალსაზრისით გადმოსცემს. აქვე ჩამოთვლის მის არშემწყყნარებელთ და მათ რიცხვში სომეხებსაც ასახელებს. ამრიგად, ბერძნები და ქართველები რომ მარტო სომეხებს თვლიან ქალკედონის კრების არშემწყყნარებლად, ეს სწორი არააო. მერვე სომხეთის ადგილობრივი საეკლესიო კრებების ისტორიას მოგვითხრობს გრიგოლ განმანათლებელიდან მოკიდებული მანასკერტის კრებამდის, რომელმაც საბოლოოდ დაგმო ქალკედონის კრებაო. საგანგებოდ ჩერდება ქართული ეკლესიის დამოკიდებულებაზე ამ კრებებთან<sup>2</sup>. სხვადასხვა აღსარებასთან ერთად სხვადასხვა საეკლესიო წესებზე არის ჩამოყალიბებული სხვადასხვა ერშიო, განაგრძობს მხითარი. მოკლედ მას აქ მოჰყავს ის განსხვავებები, რომლებიც საეკლესიო წეს-ადათებს შორის სუფევს ქრისტიან ხალხთა შორის. ეს მრავალსახეობაც მისი აზრით ამპარტავენებისა და მაცთურისაგანაა, აგრეთვე უმცირებისაგან და, რაც მთავარია, თვით-უფლებისაგანა (ანჰანქუჩასანიქხაძე), რის გამო შეუძლებლად მიგვაჩნია ერთიანობაზე მოსვლაო.

ამ ისტორიული ექსკურსის შემდეგ მხითარი სომეხთა სარწმუნოების აღსარებას ეხება. აქ ვიწყით სამების აღსარებითაო<sup>3</sup>, ამბობს იგი და ამ საკითხში მოწინააღმდეგეთა კრიტიკისაგან იცავს სომხური მონოფიზიტობის შეხედულებას და მას საეკლესიო ცნობილი მოღვაწეების წერილთა წამებით ამაგრებს. ამ გზით იგი ყველგან იცავს თავისი აღსარებისა და ეკლესიის წეს-ადათებს ძვირის მთქმელთაგან. მუხლობრივ არჩევს ბრალდებებს და ბოლოს დაასკენის, რომ მთავარ საკითხებშიაც კი არაა თანხმობა თუნდ საეკლესიო კრებების მომწვევე ოთხ ძირითად ხალხს შორის, როგორცაა ბერძნები და ჰორომნი, სომეხნი და სირიელები, და როგორ იქნება სხვებს შორისო. ამიტომ მას შეუძლებლად მიაჩნია გაერთიანებაც. უმჯობესად მას ის მიაჩნია, რომ როგორც აღმოიფხვრას ძვირი და გმობა და დამყარდეს ხალხთა შორის მეგობრობა და ერთიგეობის წესთა პატივისცემა. საუბედროოდ ეს არ ხდება და ამის მიზეზია, რომ ბერძნები და ქართველები იმდენად ძვირის მეტყველნი არიან სომეხებისა, რომ მათ ნაკურთხ ეკლესიასა და საკურთხეველსაც კი ანგრევენო<sup>4</sup>. ამასთან ახლად ნათლავენ ერთმანეთს, რაც კანონთა წინააღმდეგიაო<sup>5</sup>. დასა-

<sup>1</sup> *Արարատ* 1900 წ. გვ. 498.

<sup>2</sup> თუ რა სომხურ წყაროებს იყენებს ამ ისტორიის გადმოცემისას მხითარი, ეს გარკვეული აქვს პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს წიგნში: *ჩრდ. მხარეთა სომეხთა მოძღვარნი...*, გვ. 243—245.

<sup>3</sup> *Արարատ* 1900 წ., გვ. 562.

<sup>4</sup> *Արարատ* 1901 წ., გვ. 122.

<sup>5</sup> *Արարատ* 1901 წ., გვ. 123.

სრულ მას მოქცეულ სხვადასხვა მწვალბელთა შესაწყნარებლად ლოცვები მოჰყავს, რომლებიც პირველ მაშთაგანაა ნანადერძევიო. მას მაინც დღესასწაულთა, მარხუათა თუ სხვა წესების საკითხში არსებული სხვაობა არ მიაჩნია სარწმუნოებათა გამოთქვად და ამდენად ძირითად სადაო საკითხადაც, რომ ხალხთა მტრობა და გადაკიდება ატყდეს მისთვისო. სომეხთათვის ყველაზე მეტად საკიცხავ ადათად იგი იმას მიიჩნევს, რომ მათი მღვდელ-მთავრები ხელდასხმისათვის წინასწარ იღებენ სასყიდელს, უცხო ტომთათვის ხარკის მომიზნებებით, რაც ახალი მოვლენაა და გამოწვეულია მათი სილატაკითო.

ბოლოსიტყვაობაში, რომელიც კვლავ მხარგრძელთადმი მიმართული, მხითარი გამოთქვას რწმენას, რომ თუ მსოფლიო კრების მოწვევას ვერ შეძლებენ ქართველი მეფეები—თამარ და დავით,—რაც მას არ სჯერა, იმას მაინც შეძლებენ, რომ ქართველ-სომეხთა მტრობა აღმოფხვრან<sup>1</sup>. ამ მხრივ კი სთხოვს მხარგრძელებს, იშუამდგომლონ მეფეთა წინაშე, რომ მათ ამეფური ხელწიფებით დასდვან რისხვა, რათა არ დაენგრიონ ეკლესიები და დაუწყონ ჯვარიო<sup>2</sup>. ამრიგად მხითარი, თუ სამღვდლოებას იმას სთხოვდა, რომ აღმოფხვრათ ძვირი და გმობა სომეხთადმი, ასევე მეფეებს იმას სთხოვს, რომ არ ინგრიოდენ ეკლესიები და არ იწვოდენ ჯვრები.

ექვი არაა, რომ მხითარისათვის ამ გულის საწყლავ ამბებში, აშკარად ჩანს დიოფიზიტური ქართული ეკლესიის დამოკიდებულება, უკანასკნელის თვალსაზრისით, მწვალბელ სომეხთადმი. ძვირის და გმობის აღნიშვნით ხაზგასმულია ქართული ეკლესიის აგიტაცია, პირველ ყოვლისა, რასაკვირველია, სათანადო ლიტერატურული ტრაქტატებით, რომელთაგან ცალკე კრებულებიც კი დგებოდა ამ დროს, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ. ეკლესიათა ნგრევა და ჯვართა წვა კიდევ იმას უნდა მოასწავებდეს, რომ ერთი ეკლესია იჭრება მეორეში და მათ გვერდით თუ მათ ნაამაგარზე თავისას აფუძნებს. ესეც არაა უცხო აშბაეი იმ დროისათვის. სომხეთის მიწა-წყალზე არა ერთი და ორი «ქართველთა» სავანე იხსენიება ამ დროს. ტერძინი «ქართველი», როგორც აკად. ნ. მარმა დაამტკიცა<sup>3</sup>, დიოფიზიტურს ნიშნავს ამ დროისათვის, იქნება იგი მარტოოდენ ქართველთა თუ სომეხთა ელემენტებისაგან შედგენილი. მათი საშუალებით ხდებოდა სწორედ იმ ძვირისა და გმობის, ე. ი. ლოგმატიკურ-პოლემიკური ქართული ლიტერატურის შექრაც სომეხთა წრებში თარგმანების სახით, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ.

მხითარს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიტყვის გასაცემად ხელთ აქვს ქართული ეკლესიის წილიდან გამოსული გარკვეული ანტი-სომეხური, უკეთ ანტი-მონოფიზიტური, ნაწერები. ამ დროს ასეთი ნაწერების უმეტესობა სა-

<sup>1</sup> შდ. *Արարատ* 1901 წ. გვ. 126, სახელდობრ: *«Էւ արդ թէպէտ և բարեպաշտ թագաւորքն մեր չեն բաւական՝ Բամար և Դաւիթ, տիեզերական ժողով առնել ամենայն ազգաց, զառն հեռավորութեան Յունաց և Հռոմայեաց և այլոց ազգաց, այլ Աստուծոյ շնորհաւն կարող են զկայոց և զՎրաց թշնամութիւն բառնալ...»*

<sup>2</sup> *Արարատ* 1901 წ., გვ. 127.

<sup>3</sup> Н. Марр, Иоани Петрицкий. Груз. неоплатоник XI—XII века. СПб., 1909, гл. 8—9.

განგებო კრებულებშიაც კი შედიოდნენ. ერთი ასეთთაგანია «დოღმატიკონი», რომლის ქართული რედაქცია, როგორც უკვე ცნობილია<sup>1</sup> არსენ ვაჩეძეს ეუთვნის. ამ კრებულში, როგორც უკვე აღნიშნულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, სომეხთა საწინააღმდეგოდ (მონოფიზიტ სომეხთა, რადგან მაშინ სომეხი სახელი, ეს მარტო ერის აღმნიშვნელი სახელწოდება კი არ იყო, არამედ იგი კონფესიონალური გაგებითაც იხმარებოდა) რვა სტატიაა შესული: 1. «თავნი სომეხთა წვალებისანი ოცდაათნი»; 2. «შეჩუენებანი იაკობიტთა და ყოველთა ერთბუნებიანთანი, რომელთა თანა არიან სომეხნიცა»; 3. თომა ერთსალემელის ეპისტოლე... სასომხეთოასა მწვალებელთა მიმართ; 4 ნიქიტა სტითატის — «სიტყუაჲ განსაქიქებელი მკმობრისა მის წვალებისა სომეხთაასა», რიცხვით—ხუთი. სხვაც მრავალი ჩანს ქართულ მწერლობაში სომეხთა აღსარების განმაქიქებელი ნაწერი, მაგრამ, როგორც ირკვევა, მხითარი და საერთოდ მაშინდელი სომხური სამწერლო წრეები მხოლოდ არსენის «დოღმატიკონში» შემავალთ იცნობდნენ და განსაკუთრებით მათგან ზემორე დასახლებულ პირველ ორს. ესენია: «თავნი სომეხთა წვალებისანი ოცდაათნი» და «შეჩუენებანი იაკობიტთა და ყოველთა ერთბუნებიანთანი, რომელთა თანა არიან სომეხნიცა». ერთიცა და მეორეც უსახელო ავტორისაა. პირველში ჩამოთვლილია დიოფიზიტთაგან, ამთ რიცხუში ქართველებისაგანაც, სომეხთადმი წაყენებული 30 მუხლელი ბრალდება. მეორე კი შეჩუენების ანუ წყევის ფორმულაა, გამოშუშავებული ხსენებული ბრალდების მუხლთა მიხედვით. უკანასკნელს ბოლოში დართული აქვს მოქცეული მონოფიზიტისათვის წარმოსათქმელი ფორმულა, — გამოიჯენისათვის წვალებისაგან ლოცვის სახით.

საიდან ჩანს, რომ მხითარი ხსენებულ ძეგლებს იცნობს? ეს პირველ ყოვლისა იქიდან ირკვევა, რომ მხითარი პირველი ტრაქტატით სომეხთადმი წაყენებულ თითქმის ყველა ბრალდებაზე იძლევა პასუხს, თუმცა ზოგიად არა იმ რიგით, რომლითაც ბრალდებები დალაგებული. მხითარი რომ ამ ძეგლებს იცნობს, ეს განსაკუთრებით მეორე წერილიდან მქლავნდება, სახელდობრ, — მისი ბოლო ნაწილიდან, სადაც დიოფიზიტებზე მოქცეული მონოფიზიტ მწვალებლისათვის ლოცვაა დადებული. მხითარი მას საკუთარი ლოცვითვე უპასუხებს, ოღონდ მონოფიზიტური განკარგვით. ეს ლოცვები თითქმის ერთი და იგივე სიტყვითა და ფორმით მიმდინარეობენ, სხვაობა უფრო ზოგაერთი ადგილის ფორმულირებაში ჩანს, რაც უკვე მსოფლმხედველობას ეხება და არა სხვა რამეს. ასეთ ადგილებს თუ ცალკე გამოვარჩევთ, თანამხედველად ზედმიწევნითი გვექნება:

ყოველნიმცა მწვალებელნი შეჩუენებულ არიან, რამეთუ ვიჯმნი სჯულთაგან მათთა და მათგან, რომელნი თანა სათნო ეყოფენ მათ და რომელნი თანამზრახველ და ერთნება არიან მათდა სარწმუნოებისათვის, და რომელნი კამენ მათ თანა და ყოველისა მწვალებე-

*ღვიძისაჲ (თჳს ანისა) ნებრისაჲ, კირიმ ქარს (V. მხრს) ღრ, ხ. ნაასანაქცე ზორა (V. ზორს) ხ ჩორიოჲს ვზორაჲსაჲ, გაზიქ ნოძოქიქე ქ ნამასე ხ კამინსაჲს ნებრისათბასკან ზორა კაჲსაჲიქს, ხ ნაასათამე ქ ძქ სეღ ხ ძქსასანაქან თსღრ ხ გ-*

<sup>1</sup> პროფ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, გვ. 293—297.





წინააღმდეგო სტატია—თავნი სომეხთა წვალებისანი ოცდაათნი», რომელიც შემაღვანელი ნაწილი ჩანს ერთი ვრცელი სტატიისა, რასაც სომხურად ეწოდება: *«შათაასჰანჩი ათ ჯაკა»* (სიტყვს გებაჲ სომეხთა მიმართ). ამ სტატიის დანარჩენი ნაწილის შესარკვევისი კი ქართულში არ ჩანს<sup>1</sup>. საფიქრებელია, რომ სომხურად ნათარგმნი იქნებოდა «დოლმატიკონიდან» სომეხთა შეჩვენებაც სხვა მისგან თარგმნილ სტატიებთან ერთად, რადგან, როგორც ზემოთ აღნიშნულმა შედარებამ გვიჩვენა, იგიც სცოდნია და გამოუყენებია მხითარ გოშს.

სიტყვს გებაჲ სომეხთა მიმართ სომხურ ხელნაწერებში წარმოდგენილი სათაურის მიხედვით იოანე დამასკელისა ჩანს. იგი აქ შემდგენიარადა დასათაურებული: *«სირქს მიძჩანსთა ჴამასჰავეი»* *«შათაასჰანჩი ათ ჯაკა, ნამათიასჰარ»* (მისე იოანე დამასკელისა—სიტყვს გებაჲ სომეხთა მიმართ—შემოკლებული). ასეა იგი წარმოდგენილი ერმიადინის ხელნაწერებს გარდა იმ ხელნაწერშიაც, რომლის მიხედვით არის კიდევაც გამოცემული *«ლიკია»*-ის 1905—1906 წ.წ. ნუმრებში. იოანე დამასკელისად გამოცხადებულია არა მართო ხსენებული სიტყვისგება, არამედ მის შემცველ კრებულებში შესული უავტოროდ აღიარებული სხვა ნაწარმოებებიც, რომლებიც ქართულიდან არიან სომხურად ნათარგმნი. მხედველობაში მაქვს კერძოდ სიტყვს გებაჲ ჰურიათა მიმართ<sup>2</sup>. ამრიგად ის მოვლენა, რომ სიტყვს გებაჲ სომეხთა მიმართ იოანე დამასკელს მიეწერება, არაა ვასაკვირველი, შემთხვევითია იგი. სომხურს ნუსხებში ეს იმის გამო მოხდა, რომ იგი ზოგიერთ სხვა უავტორო თუ ავტორიან სტატიასთან ერთად იოანე დამასკელის ძირითადი შრომების («დიალექტიკასა» და «გარადამოცემაჲსა») აქვს დართული.

სიტყვს გებაჲ სომეხთა მიმართ-ისა იოანე დამასკელისადმი მიწერას ალბათ იმანაც შეუწყო ხელი, რომ იგი თავიდან ისე იწყება, თითქოს მისი ავტორი სირიელი იყოს.—*«სა არქ' ქამ ჩჩანჯ ვარქ სა რნქ ნამაჲფხაფეუ ჩინე ქაიხელიქ მსორიფ, ვაჲჲფ არიჩ, სირიქ, აჲჯანსჲჲ ქარასიქ აქჰასთა-სჩრხეჩ...»* (და აწ. აქამომომდისლა თანამონათესავეთა ჩემთა ასურთათვს ვიტყოდი გულისა ტკივილითა, სიყუარულითა და ვედრებითა, და ვილუაწე განწერთნაჲ [მათი]...). იოანე დამასკელი სირიიდან იყო, ამიტომ ვადამწერს ადვილად შეეძლო იგი იოანესად მიეჩნია და მის მიხედვით დაესათაურებინა კიდევაც როგორც იოანეს ნაშრომი.

იოანესია თუ არა მართლა ეს სტატია?

იოანე დამასკელის შრომათა შორის ასეთი რამ ცნობილი არაა. ამ ტექსტის გამომცემელს *ჩ. ზიტაქსჩიანს*-ს სტატიის ზემოთ მოყვანილ დასაწყის სიტყვებზე დაყრდნობით შესაწყნარებლად მიაჩნია, რომ ეს სტატია იოანეს ეკუთვნოდეს, თუმცაღა მისი თქმით მასში სხვისი ხელიც შეინიშნება. უკანასკნელ მოსაზრებას კი იმის კარნახით გამოსთქვამს, რომ სტატიაში დამასკელის

<sup>1</sup> ილ. აბულაძე, შოთა რუსთაველის ხანის ქართულიდან ნათარგმნი ძველი სომხური მწერლობის ძეგლები, «ენიმკის მოამბე» III, 1938 წ.

<sup>2</sup> იქვე.

შემდგომი დროის ამბებისა და სომეხი ავტორების<sup>1</sup> შესახებ არის საუბარი. პირველად, კიშენურს რედაქციას იგი VIII ს-ად ჰკულობს, რომლის გამოჩენა სტატიიდან შესაძლოა, თუ ღელანს (ბერძნულს) შევედარებთო.

სომეხი ავტორების შესახებ მოთხრობილი ამბების თანახმად ნ. აკინიანი ამ სტატიის ავტორობას დაჰასკელის სახელს ამოთარებულ უცნობ სომეხ-დიოფიზიტს (*გააკ-სიოსი*) აკუთვნებს, რომლის მოლენაწობის დრო ცხადი არააო<sup>2</sup>.

უკანასკნელი დაკვირვება ძირითადნი უთუოდ სწორია, ოღონდ იოანე დამასკელის სახელს ამოთარება ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს სომეხ დიოფიზიტ ავტორს ეს განზრახ ჩაედინოს, არამედ აქ გადამწერთა წინდაუხედამასთან უნდა გვეჭონდეს საქმე. უკვე ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ იოანე დამასკელის ძირითად წიგნებზე დართული მისი და სხვათა ანტიმონოფიზიტური სხვადასხვა წიგნები, რომლებიც არსენ ვაჩესძის თარგმანიდანა და მისგანვე რედაქტირებული დოღმატიკონიდანა მიმდინარეობენ სომხურში, სხვაგანაც მექანიკურად იოანესისად არიან გამოცხადებული. რაც შეეხება სიტყვის გებაჲ-ს დასაწყის სიტყვებს, რომლებიც თითქოს დამასკელისა უნდა იყვნენ, რადგან იქ სირიელებზე როგორც თანამონათესაეებზე თუ თანამოგვარებზეა საუბარი, ეს სომეხსაც შეეძლო ეთქვა, მხოლოდ თანაწონათესაეებს თუ თანამოგვარებს თანამემამულედ ანდა თანამეზობლად გავიგებდით, რომელთა საწინააღმდეგოდ მას მართლაც მოეპოვება წინ წარმძვინებელი და საგანგებოდ ნათარგმნი წერილი იოანე დამასკელისა: სიტყუაჲ ნამუშაკევი დასამკობელად ღმრთის მოძაგებულისა წვალებისა იაკობთაჲსა.

სიტყვის გებაჲ სომეხთა მიმართ შესაძლოა სამ ნაწილად დაიყოს: 1. შესავალი, 2. სიტყვისგებისა ან საპასუხო სიტყვის ძირითადი დებულებები და 3. ამ დებულებების გაშლა ანუ საკუთრივ სიტყვისგება. შესავალში საუბარია იმის შესახებ, თუ რა გზით შეიქრა მწვალებლობის თესლი იაკობი-ასურთა და სომეხთა შორის. მეორე ნაწილში გადმოცემულია ცალკე მუხლების სახით სომეხთა *გაძანაძინაჲ, ირიქ ირიქსაჲ [ხუ] კამსნაჲნ დრხათინტქე* (წვალება-ნი, რომლითაც დაწვრიებულ [არიან] ყოველთა ქრისტეანეთა). 26 მუხლადაა განკვეთილი ეს ნაწილი გამოცემულს ტექსტში. იგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვა არა არის რა, თუ არ არსენ ვაჩესძის «დოღმატიკონში» შესული სტატია: «თავნი სომეხთა წვალებდისანი ოცდაათნი». სომხურის 26 მუხლი თითქმის უკლებლად ჰფარავს უკანასკნელს. დოღმატიკონიდანა უნდა ჰქონდეს იგი აღებული სომეხ ავტორს, ვინაიდან მისგანვე აქვს მას გამოცემული და ნათარგმნი სხვა ანტიმონოფიზიტური სტატიებიც. შრომის მესამე ნაწილი გაშლილი მტკიცებაა წამოყენებულ დებულებათა სისწორისა, რომელთა განხილვისას ავტორი მახლობელ ცნობას იჩენს სომხური მონოფიზიტური თეორიისა და პრაქტიკისას. ეს ნაწილი ამიტომ ორიგინალური უნდა იყოს და სომეხ-დიოფიზიტს უნდა

<sup>1</sup> მხედველობაში აქვს ადგილი: «*საქე (იძანჲ ქ ლაიქ) ორთაიქ ქ ძამათაიზუ გუ-ქხანიზუ დქრუ კად აშხეოიხ... კამდ შხანტქნ ძქ რხიქხანს აროხათ, კამდ ვიქთასანტაქ ნაკრიკიქხანს ლრავ, კამდ ვშაქტიოქხ ოთამიქ, კამდ ვწხასაყათანათაჲს*» (სლიკა 19C6, გვ. 475).

<sup>2</sup> ნ. ა. გ. ხ. ხ. ხ., *ზქ-ქიხი ქაქიქიქიქი ლრავ...* ვენა 1910 წ., გვ. 69—70.

ეკუთვნოდეს, რომელსაც თავის წერილში გამოყენებული თაენი სომეხთა წვალებისანი ოცდაათნი ქართული ძეგლიდან (დოღმატიკონიდან) აულია და უთარგმნია მის (ძეგლის) სხვა ნაწილებთან ერთად.

«დოღმატიკონიდან» აღებული მასალის მთარგმნელად ერთ ადგილს დაგდებული მოსახსენებლით (*ქჩუათასკარას*) სიმეონია დასახელებული. ეს სიმეონი აქამომდის ცნობილი იყო როგორც იოანე პეტრიწის კომენტარ-დართული პროკლე დიადოხოსის «კავშირნი ღვთისმეტყველებითნის» ქართულიდან მთარგმნელი. და როგორც ბოლო დროს გაირკვა იგი აგრეთვე მთარგმნელია იოანე სინელის «კლემაქსისა»<sup>1</sup>. სიმეონი დიოფიზიტია უეკეოდ, რადგან დიოფიზიტი სომეხი, თორემ სხვა ვინ მოჰქიდებდა ხელს ეთარგმნა ისეთი ანტიმონოფიზიტური შრომები, რომლებიც «დოღმატიკონიდანაა» აღებული! «კავშირნი ღვთისმეტყველებითნი» მას 1248 წელს უთარგმნია, უკვე 60 წლის მოხუცს<sup>2</sup>; მაშასადამე, იგი XIII ს.-ის პირველი ნახევრის მოღვაწეა. თუ მართლაც, როგორც ამას ჩვენ ვამტკიცებთ, მხითარს უსარგებლია მისი თარგმანებით და მისაღვე მისაჩნევი შრომითაც: «სიტყვს გებაჲ სომეხთა მიმართ», მაშინ ეს თარგმანები და საკუთარი შრომაც მას «კავშირნი-ს» თარგმნამდის გადაულია, მაგრამ არა უგვიანეს 1213 წლისა, რადგან მხითარი ამ დროს გარდაცვლილად არის მოხსენებული ძველ სომეხ ისტორიკოსთა მიერ<sup>3</sup>. თუ 20—22 წლის ჰასაკის მქონე სიმეონისთვის შეუძლებელი აღმოჩნდება ამ თარგმანებისა და კერძოდ რამდენამდე ორიგინალური სტატიის «სიტყვს გებაჲ სომეხთა მიმართ-ის» მიწერა, მაშინ უნდა ვიფიქროთ [თუ რომ პეტრიწის შრომის თარგმნის თარიღი—დასაბამითით 6756 წ. მართლა 1248 წელს (ჩვ. წელთაღრ.) გვაძლევს<sup>4</sup>], რომ იგინი ან სხვა ვინმე შეასრულა 1213 წლამდის, ანდა თვითონ მხითარმა იცოდა ქართული. მხითარი თავისი ტრაქტატით არა მარტო მონოფიზიტ სომეხთა განმაქიქებელი ძეგლების თარგმანს იცნობს, არამედ სომეხურად ნათარგმნ «დოღმატიკონის» სხვა ნაწილებსაც. როცა ის მაგალითად, პრომთა შესახებ ავლდებს სიტყვას, იგი ისეთ მხარეებს აღნიშნავს, რომლებსაც ესა თუ ის პრომთა განმაქიქებელი თარგმნილი სტატიებიც მოგვითხრობენ. ამიტომ გვეგონია, რომ მხითარი სწორედ სიმეონის თარგმანებისა და მისი საკუთარი შრომის («სიტყვს გებაჲ სომეხთა მიმართ») საშუალებით იცნობს ანტიმონოფიზიტურ ლიტერატურას, რომელიც გამოყენებული აქვს თავის ტრაქტატში.

<sup>1</sup> ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე. შოთა რუსთველის ხანის ქართულიდან ნათარგმნი ძველი სომეხური მწერლობის ძეგლები, «ენიკის მ ო ა მ ბ ე» III, 1938 წ.

<sup>2</sup> ი ქ ე ე.

<sup>3</sup> პროფ. ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი, ჩრდ. მხარეთა სომეხთა მოძღვარნი, გვ. 217.

<sup>4</sup> ეს თარიღი აკად. ნ. შ ა რ თ ს ანგარიშითაა ცნობილი; თარიღს მოხსენებული ვითარების გამო გადათვლიერება ესაჭიროება.

## რუსთაველის ხანის ქართული ფილოსოფიური მწერლობის კიდევ ერთი ძეგლის თარგმანი ქველ სომხურზე

(წინასწარი ცნობა)

ძველმა ქართულმა ფილოსოფიურმა მწერლობამ, რომელიც, საქართველოში შექმნილი სოც.-ეკონომიური პირობების გამო, არაჩვეულებრივად გაიფურჩქნა XI—XIII სს-ში, გამოხმურება იმ ხანებში საქართველოს გარეშეც ჰპოვა. მისი თვალსაჩინო. ესა თუ ის ძეგლი, ორიგინალური თუ თარგმნითი ხასიათისა, კიდევაც ითარგმნებოდა ქართულიდან თუ მათი გამორჩენისთანავე არა, არც ისე დიდი ხნის გასვლის შემდგომ. ქართული ფილოსოფიური მწერლობით დაინტერესებასა და მის გარკვეულ წრეთა წიაღში გადანერგვას, პირველ ყოვლისა, ჩვენს მეზობელსა და საქართველოსთან მჭიდროდ დაკავშირებულ სომხებს შორის შეენიშნავეთ. საამისოდ იქ ნიადაგი შემზადებული იყო, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ფილოსოფიური შემოქმედების ტრადიცია სომეხთა შორის ძველი დროიდანვე (VI—VII სს.) სუფევდა.

პირველი ფილოსოფიური ნაწარმოები, რომელმაც საგანებო გულისყური მიიპყრო სომხური ფილოსოფიური წრეებისა, როგორც ეს აკად. ნ. მარის<sup>1</sup> დიდად მნიშვნელოვანი ნარკვევითაა ცნობილი, სახელგანთქმული ქართველი ფილოსოფოსის, იოანე პეტრიწის კომენტარ-დართული თარგმანია აგრეთვე სახელოვანი ნეოპლატონიკოსის პროკლე დიადოხოსის ნაშრომისა (იგულისხმება პროკლეს ფილოსოფიური თხზულება: „კავშირნი ლეთისმეტყველებითნი“). პროკლეს ეს ნაშრომი ქართველი ფილოსოფოსის კომენტარითურთ 1248 წ. ითარგმნა სომხურად. მანამდის პროკლეს „კავშირნი ლეთისმეტყველებითნი“, როგორც მისი ქართულიდან სომხურად მთარგმნელი ვინმე სიმეონ პლენძაძანქელი (თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ მას, რადგანაც ეს ძეგლი პლენძაძანქეში უთარგმნია მას) შენიშნავს, არც არსებულა სომხურად.

სიმეონ პლენძაძანქელის ამ ცნობამ ექვი აღძრა საზოგადოდ არმენოლოგთა შორის. მათი აზრით მთარგმნელს შესაძლოა არ სცოდნოდა ამ ძეგლის ძველი თარგმანის არსებობა ისე, როგორც შემდეგში ამავე ძეგლის ახლად ლათინური-საგან მთარგმნელმა, სტეფანე პოლონელმა, არ იცოდა, თუ არსებობდა სიმეონ-

<sup>1</sup> Н. Марр, Иоанн Петрицкий, грузинский неоплатоник XI—XII века, СПб., 1909 г.

ნის თარგმანიო. ამას გარდა, ძველ სომხურ ფილოსოფიურ მწერლობას, რომელიც, ბერძნულსა და—კერძოდ—ბიზანტიური ფილოსოფიური შემოქმედებით დაინტერესებულთა შორის, აღმოსავლეთში, მოწინავეთა რიგებში იდგა, ეს ძეგლი უეჭვნეველი არ დარჩებოდა, მის თარგმანს იგი შეასრულებდაო.

ასეთი ძველი თარგმანის არსებობის მამულავენებელი ნიშნები შემოუნახავს თითქოს კიდევაც სიმეონ პლენძაძანქელის ქართულიდან შესრულებულ თარგმანს, როგორც ამას ცნობილი სომეხი შველევარი ი. დაშვიანი აღნიშნავდა ერთ დროს<sup>1</sup>. ასეთად კი უმთავრესად ის გრეციზმები მიაჩნდა მას, რომელთაც აქ ვპოულობთ და რომლებიც დაუბრუნდა, მისი აზრით, სიმეონის თარგმანის სახით, სომხურ ფილოსოფიურ მწერლობას, საიდანაც ვითომ თვითონ ქართული უნდა ყოფილიყო თარგმნილი. ი. დაშვიანი შემდეგში თავის ამ მოსაზრებას ნივთიერ საბუთსაც უძებნიდა. ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორის კონიბირისაგან მიწოდებული ამონაწერები ენშიაძინს დატული XIII ს-ის ერთ-ერთი ხელნაწერისა (№ 944), რომელიც კონიბირს პროკლეს ძველი სომხური თარგმანი და, მასთანავე, ქართულსათვის დედანიც ეგონა, ი. დაშვიანმა მართლაც პროკლეს „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი“-ს ბერძნულიდან შესრულებულ ძველ სომხურ თარგმანად გამოაცხადა. აკად. ნ. მარმა ასეთი შეხედულება გააქარწყლა. ძველ თარგმანად მიჩნეული ნუსხა პროკლეს ნაწარმოებისა სრული საბუთიანობით „თუ ერთ-ერთ უკეთეს არა, ყოველ შემთხვევაში, პროკლეს ქართული კომენტარიანი ტექსტის სომხური თარგმანის უძველეს ნუსხად“ აღიარა<sup>2</sup>.

მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი“-ს ქართული თარგმანი და მისი კომენტარი იოანე ბეტრიწისა არ ყოფილა ერთადერთი ძეგლი, რომლითაც სომხური ფილოსოფიური წრეები დაინტერესებულან XII—XIII საუკუნეების მანძილზე. პროკლეს გარდა იოანე დამასკელის ფილოსოფიური ნაშრომების ქართულ თარგმანსაც მიუყვარია მათი გულისყური, ხოლო იოანე დამასკელის ნაშრომებს, თავის მხრით, ქართულ ენაზე კიდევ X ს-დან დასწავებთან.

იოანე დამასკელი VIII ს-ის პირველი ნახევრის მოღვაწეა. მისი შემოქმედება მრავალფეროვანია, მაგრამ ძირითადი მასში ფილოსოფიური ტრაქტატებია, კერძოდ—„წყაროა ცოდნისაჲ“ (Πηγή Γνωσεως). ამ ძეგლის ბერძნული და ლათინური ნუსხები გამოკვეთებულნიცაა კიდევაც<sup>3</sup>. მათში ძირითადად ორი რედაქციაა შენიშნული: ერთკელი და მოკლე<sup>4</sup>. თავისი დროისათვის იოანე დამას-

<sup>1</sup> B. S. — ს. ს. „წიგნები ზნაიის იქნაჲ“, *შინაზაფრისაჲს მარხისაჲსიანი* — მარხისაჲსიანი. ნაწ. I, ნ. გვ. 147—161.

<sup>2</sup> H. Marr, H. Petrusianer, გვ. 13: „если не самый лучший, то самый древний список армянского перевода с грузинского текста Прокла“.

<sup>3</sup> Migne, — Patrologiae, — *Cursus completus, Series graeca*. Tom. 94—96.

<sup>4</sup> იოანე დამასკელის ცხოვრებისა და მისი შრომების ქართული თარგმანების შესახებ ნ. 1. პროფ. კ. კეკელიძის *Грузинская версия арабского жития св. Иоанна Дамаскина* (Христ. Восток. Т. III, в. II. გვ. 119—174, პტბ. 1914) და 2. ს. გორგაძის: იოანე დამასკელის მთავარი თხზულება: „Πηγή Γνωσεως“ ქართულ მწერლობაში (პირობილელი, I, ტფ. 1926 წ., გვ. 173 და შემდეგი).

კელის ამ მეტად მნიშვნელოვან ფილოსოფიურ ნაშრომს ქართული მწერლობა პირველად ექვთიმე ათონელის მოხიბებით გაეცნო. ექვთიმემ ამ შრომის განსაკუთრებული რეცენზია მოგვცა. მას ქართულად ეწოდება: «სიტყვს გება უთათა მიმართ მწუჟალებეთა, რომელნი ორთა მათ ბუნებათა ქრისტესთა უარპყოფენ», ანდა მოკლედ—*წინამძღუარი*<sup>1</sup>.

ექვთიმეს შემდეგ ამავე თხზულებას ეფრემ მცირემ მოჰკიდა ხელი, მაგრამ ეფრემს უთარგმნია არა მთელი ნაწარმოები, არამედ მისი მხოლოდ ორი უმთავრესი ნაწილი: I. *დიალექტიკა* და II. *გარდამოცემაჲ უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაჲ*<sup>2</sup>. ეფრემ მცირის ამ თარგმანის ბერძნულთან დამოკიდებულების შესახებ განსვენებულ ს. გორგაძეს საგანგებო დაკვირვება მოუპოვება. იგი წერს: «ამ თარგმანის ბერძნულ დედანთან შედარებამ დაგვარწმუნა, რომ ეფრემს დედნად დამასკელის «დიალექტიკის» მოკლე რედაქცია ჰქონია<sup>3</sup>. იგი, მისივე დაკვირვებით, გამოცემულისაგან «საკმაოდ განსხვავებული» ყოფილა, ხოლო «გარდამოცემაჲ—გვითხულობთ მასთან—ეფრემის დედანშიაც დაახლოებით ისეთივე ყოფილა, როგორც Migne-ს აქვს გამოცემული»<sup>4</sup>.

მაგრამ ეფრემ მცირის თარგმანს გარდა ქართულად არსებობს იოანე დამასკელის სხენებული ფილოსოფიური ნაწარმოების იმავე წიგნების სხვა ერთი თარგმანიც, ის კი, როგორც მის ანდერძნამავშია მოხსენებული, *არსენ ვაჩეხ-ძეს* შეუსრულებია ბერძნულიდან<sup>5</sup>. ამ თარგმანის დამოკიდებულების შესახებაც ბერძნულ ნუსხებთან განსვენებულ ს. გორგაძესვე, რომელსაც დამზადებული ჰქონდა გამოსაცემად ეფრემისა და არსენის თარგმანები<sup>6</sup>, მოუპოვება დაკვირვება. «როგორც ტექსტების შედარებამ დაგვარწმუნა, არსენი ვაჩეხ-ძესაც «დიალექტიკის» შემოკლებული რედაქცია ჰქონია- დედნად, მაგრამ ეფრემ მცირის

<sup>1</sup> პროფ. კ. კეკელიძე, *Груз. персия.. жития.. Дамаскина*, გვ. 133—135; აგრეთვე მისი—ქართ. ლიტ. ისტორია I, გვ. 199—200; შდ. ს. გორგაძე, «მომომხილველი», გვ. 175.

<sup>2</sup> პროფ. კ. კეკელიძე, *Груз. персия.. жития.. Дамаскина*, გვ. 137; ნ. აგრეთვე მისი—ქართული ლიტერ. ისტორია I, გვ. 270.

<sup>3</sup> ს. გორგაძე, «მომომხილველი» I, გვ. 176.

<sup>4</sup> არსენ ვაჩეხ-ძეს პროფ. კ. კეკელიძე არსენ რვალოთელად მიიჩნევს. არსენ იყალთოელი კი თანაოლაუწეა ეფრემ მცირისა. რად დასკირდა თითქმის ერთსადიმავე დროს მეორე თარგმანის მოცემა არსენს, ამის შესახებ საგულისხმო მოსაზრება მოუპოვება პროფ. კეკელიძეს ქართ. ლიტ. ისტორიაში, I, გვ. 297—298. სხვადასხვა პირებად მიჩნია ს. გორგაძეს არსენი იყალთოელი და არსენ ვაჩეხ-ძე. უანასქველსა და ეფრემ მცირეს შორის იგი მანძილად მთელ საუკუნეს მიიჩნევს («მომომხილველი» I, გვ. 176—177).

<sup>5</sup> *მომომხილველი* ავ. გვ. 178; დაბეჭდვით მხოლოდ ეფრემის ტექსტის «ხანდუკი» დაბეჭდა და ეფრემისაცა და არსენის თარგმანებზე დართული ეპისტოლე დამასკელისა კომზა მამუმელისადმი (იქვე, გვ. 182—194). დამასკელის ქართულ თარგმანთაგან დაბეჭდილია კიდევ არსენ ვაჩეხ-ძის ხელნაწერი ნუსხის მიხედვით მართლ გვარდამოცემაჲ, მოსკოვს 1744 წ., ბაქარის თაონობით. იგი ოთხ წიგნადაა დაყოფილი გამოცემულებისაგან და შიგადაშიგ კიდევ ცალკე თავებიცაა დანაწილებულად წარმოდგენილი. ასეთი დანაწილება კი თურმე ლათინურის დამახასიათებელი ყოფილა, როგორც ამას გ. ხარბანაღიანი გვამცნობს (*დასკელის წარმართისა წიგნისა*, *წიგნისა*, *წიგნისა*, 1899, გვ. 576). გამოცემულებნა ალბათ ლათინურით იხელმძღვანელს.

დედნისაგან საკმაოდ განსხვავებული; «გარდამოცემის» დედნად კი ორსავე მთარგმნელს დაახლოებით ერთისადიმავე რედაქციის ტექსტი ჰქონდა<sup>1</sup>.-ო<sup>1</sup>.

იოანე დამასკელის წყაროა ცოდნისაჲ-ს (სახელდობრ მის «დიალექტიკასა» და «გარდამოცემაჲ-ს»), მსგავსად ქართულისა, სომხურშიაც ვხვდებით. *Ք. Ջլարբանակխան*ს თავის წიგნში «*Մատենադարան հայկական թարգմանութեանց նախնեաց*» (ვენეტის 1889 წ.), იოანე დამასკელის შრომათა აღნუსხვისას, მოხსენებულა აქვს ეს წიგნები<sup>2</sup>. ავტორი დაჰკვირვებია სომხური ძეგლის თავებად დაყოფასა და ბერძნულ-ლათინური ტექსტების ასეთსავე განკარგვას და აღნიშნავს: «დამასკელისად მიჩნეული ფილოსოფიური [ნაწარმოების] ბერძნულ ნუსხათა თავებად დაყოფა არ არის ყველგან ერთნაირი. მათ მიხრდვით შესრულებული ესათვის ბეჭდვითი. გამოცემაჲც ნიადაგ არ ეთანხმება სომხური თარგმანის თავებად განკარგვის. არამედ ხშირად ვხვდებით გადასმ-გადმოსმას. მისი საღვთისმეტყველო წიგნი—მართლმადიდებელისა სარწმუნოებისათვის—ლათინურში დაუოფილია 4 წიგნად და თვითეული წიგნი ცალ-ცალკე თავებად. ბერძნული და სომხური კი ერთნაირი თავების განკარგვით მიდიან პირველად შესრულებულისაკენა<sup>3</sup>».

ამ შენიშვნის შემდგომ ზარბანალიანი «დიალექტიკის» პირველისა და უკანასკნელი თავის სათაურებს ასახელებს, ხოლო მეორე წიგნიდან («გარდამოცემაჲ» დან) *Ա—ԽԱ* (1—41) თავებისას; მერმე კიდევ ცალკე მოჰყავს სათაური *ՋԱ* (81) თავისა, რომელიც, მიიი თქმით, ბერძნულსა და ლათინურ ნუსხებს არ ჰქონიათ. სულ კი სომხურშიაც (ისე როგორც ქართულში) 100 თავი ჰქონია ამ წიგნს. აღსანიშნავია, რომ «გარდამოცემაჲ-ს სომხურ ზანდუკში, უკეთ მის ერთ ნაწილში, რომელიც ზარბანალიანს აქვს მოყვანილი (ნ. გვ. 576—578), 35 თავის სათაურის შემდგომ *ԼԶ* და *ԼԷ* (36 და 37) თავები კი არაა დასახელებული, არამედ მომდევნო *ԼԸ* (38) და სხვები. ასე რომ სინამდვილეში ზარბანალიანს ამ წიგნის ზანდუკის მხოლოდ 1—39 თავი აქვს დასახელებული. შემდგომი სათანადო ტაბულიდან დაეინახავთ, რომ აქ 36—37 თავის გამოშვებასა და არარსებობასთან კი არა ეგაქვს საქმე, არამედ რიგის აღნიშვნისას რიგის აღმნიშვნელი ციფრების უნებლიეთს გამოტოვებასთან,—არ ვიცით მხოლოდ ვისგანაა ჩადენილი ეს «ლასუსი»—კორექტორისაგან თუ ხელნაწერის დამწერისაგან. ეს რომ ასეა, ამას ისიც მოწმობს, რომ სომხურის *ՋԱ* (81) თავის სახელწოდება, რომელიც ბერძნულ ლათინურში შეხვედრას ვერ პოულაობს, იმავე რიგით ქართული ძეგლს ერთ-ერთ რედაქციას ხვდება.

<sup>1</sup> ს. გორგაძე, «მომომხილველი» 1, გვ. 177.

<sup>2</sup> ნ. გვ. 576.

<sup>3</sup> «*Նամակացոյն ընծայուած իմաստասիրութեանս յոյն օրինակաց զլիակարգութիւնք չնն օրինակ յամենեւին. որով անոնցմէ մեկուն կամ մէկակէն համեմատ եղած ապագրութիւնք միտ չնն համառայիր հայկական թարգմանութեանս զլիակարգութեանց, այլ յանախ կը հանդիպին յետ և յառաջութիւնք: Իսկ զատուածաբանական գիրս նորս որ յաղագս ուղղագրու հուստոյ, լատինք կը ջածաննն ի շրջս գիրս, և ամեն մէկ գրէք ի զո՛նագան գրութիւն. իսկ յոյն և հայ միով զլիակարգութեամբ իջաննն ի սկզբանէ ցկատորած» (გვ. 576).*

ქართულშიაც ზანდუქს არც ეფერებ მცირისა და არსენ ვაჩეს-ძის თარგმანებშია მოკლებული. ს. გორგაძეს გამოკეცილი აქვს ეფერების თარგმანის ზანდუქი<sup>1</sup>. არსენ ვაჩეს-ძისა კი გამოუცემელია. როცა მათ ურთიერთს ვადარებთ, შევნიშნავთ, რომ მათ შორის თავების რაოდენობა თითქმის ერთნაირია, მაგრამ მიყოლება, რიგი, ყველგან ერთი არაა. ამათ თუ სომხური ძეგლის ზანდუქის მოყვანილ ნაწილს შევეუდარებთ, ენახავთ, რომ სომხური არსენ ვაჩეს-ძის თარგმანის ზანდუქს მისდევს:

არსენ ვაჩეს-ძის თარგმანის ზანდუქი

სომხური თარგმანის ზანდუქი

I « დ ი ა ლ ე კ ტ ი კ ა »

- ა. მყოფისათვის, არსებისა და შემთხვეითისა.  
 მთ. გუამოვნებითისა შეერთებისათვის.

- ა. *მადგაჲ ჯიქხანს და დიქიქხანს და აათანამანს;*  
 მწ. *ქასან ანაჲსაქანს მქალორიქხანს ლიქიქ;*

II « გ ა რ დ ა მ ო ც ე მ ა ა »

- ა. მიუწითომელობისათვის ღისა და ედ არა ჯერ არს ძიება და გამოწულილუა და მოკეცილსა ჩნდა წთა წწულთა, მოციქულთა და მახარებელთა შრ.  
 ბ. თქმულთათვის და გამოუთქმულთა, უცნაურთა და საცნაურთა.  
 გ. გამოჩინება ედ არს ღმერთი.  
 დ. რა და არსობისათვის ღისა, ედ მიუწითომელ არს.  
 ე. გამოჩინება ედ ერთ არს ღმერთი და არა მრავალი.  
 ვ. სიტყვისათვის ღისა.  
 ზ. სულისა წმიდისათვის.  
 თ. წმიდისა სამებისათვის.  
 თ. ღისა ზედა თქმულთათვის.  
 ი. საღმრთოება შეერთებისა და განთავებისათვის.  
 ია. კორციელად ღისა ზედა სათქმულთათვის.  
 იბ. მათთვისვე.

- ა. *მადგაჲ ილიქაქაო ლაღათიქ;*  
 ბ. *ქასან ღაიქხანს და ანაღაიქხანს, ქიანსაქხანს და ანქიანსაქხანს;*  
 გ. *ქასან ვიღვანს ქქ დიქსათიღა;*  
 დ. *ქასანს ქქ დიქს და ათიღა და დი ანაღა და;*  
 ე. *ქასანს ქაქიანს ქქ დიქსათიღა და იქ დიღიღა;*  
 ვ. *ქასანს დანქიქსათიღა;*  
 ზ. *ქასანს სორქ ლიქიქ;*  
 თ. *ქასანს სორქ ხერიღიქხანს;*  
 ი. *ქასანს ქიქიქ ათაღიქიქ;*  
 ია. *ქასანს ათიღაქიქს მქალორიქხანს და დანქიქს;*  
 იბ. *ქასანს მარქსაქა და ქიქიქიქ ათაღიქიქ;*  
 იგ. *ქასანს ზიღა დარქხანს;*

<sup>1</sup> ნ. „მომომხილველი“ I, გვ. 182—187.

03. ადგილისათვის ღმერთისა და ვლ  
 მხოლოდ ღმერთი არს ვარე-  
 შეუწერელ.  
 04. თვებანი საღმრთოაჲს ბუნებ-  
 ნანი.  
 05. საუკუნეთათვის.  
 06. ანგელოზთათვის.  
 07. სატანაჲსათვის და ეშმაკთა.  
 08. ხილულისა დაბადებულისათვის.  
 09. ცისათვის.  
 10. ნათლისათვის, ცეცხლისა, მნა-  
 თობთა, მზისა და მთოვარისა და  
 ვარსკვლავთა.  
 11. ჰაერისა და ჰართათვის.  
 12. წყალთათვის.  
 13. ქუეყანისა და მისგანათვის.  
 14. სამოთხისათვის.  
 15. კაცისათვის.  
 16. გემოთათვის.  
 17. მწუხარებებისათვის.  
 18. შიშისათვის.  
 19. გულიწყრომისათვის.  
 20. ოცნებითისათვის.  
 21. გარძობისათვის.  
 22. განმგონებლობითისათვის.  
 23. მექსიერებისათვის.  
 24. შინაგან მღებარისა სიტყვსა და  
 წარმოჩენილისათვის.  
 25. ვნებისა და მოქმედებისათვის.  
 26. მოქმედებისათვის.  
 27. ნებისთისა და უნებლოეთისათვის.  
 28. ჩუენ ქუეშისა, ესე იგი არს  
 თვთმფლობელობისათვის.  
 29. ქმნილთათვის.  
 30. თუ რისა მიზეზისათვის თვთ-  
 მფლობელად შევიქმნენით.  
 31. არა ჩუენ ქუეშეთათვის.  
 32. წინა განგებისათვის.  
 33. წინაგაწარ ცნობისათვის და წი-

34. *ქანს თხეხაგნს საათიხი. ქც  
 ძიასს საათიხაჲს და ანაყარა-  
 გრხიქ;*  
 35. *ქანს კათლიქხანს საათიხა-  
 ბაქის რნილქხანს;*  
 36. *ქანს კათიხიხანს;*  
 37. *ქანს ზრეხთათვის;*  
 38. *ქანს საათიხიქს და ზქათვის;*  
 39. *ქანს ხრეხიქს და ყდაქის არარა-  
 ბიგა;*  
 40. *ქანს ხრეხიქს;*  
 41. *ქანს ზრექს, ციხიქს და ციხაღ-  
 რაგნს ამანხვიანს;*

42. *ქანს ირექს და ზრექს;*  
 43. *ქანს ზრექს;*  
 44. *ქანს ხრექს და ირ ქს ამანქს;*  
 45. *ქანს ზრექს;*  
 46. *ქანს მარექს;*  
 47. *ქანს ნაჯაქს ირე ხნ;*  
 48. *ქანს არათილქხანს;*  
 49. *ქანს ხრექს;*  
 50. *ქანს არათილქხანს;*  
 51. *ქანს ანრექს და ვნექს;*  
 52. *ქანს ზრექს;*  
 53. *ქანს ზრექს;*  
 54. *ქანს ქრექს;*  
 55. *ქანს ირ ქს ზრექს ზრექსა-*  
*ღრექს რანს არათილქს თარ-*  
*რექს;*  
 56. *ქანს არათილქს და ზრექს-*  
*ქხანს;*  
 57. *ქანს ზრექს;*  
 58. *ქანს ზრექს და არათილქს;*  
 59. *ქანს ირექს და არათილქს;*  
 60. *ქანს არათილქს და არათილქს;*  
 61. *ქანს ზრექს;*

- ნახსწარ განსაზღვრებისა.
- 8დ. საღ-ოოახსა განგებულეებისათჳს და ჩუენდა მომართისა სიტკობეებისა და ჩუენისა მაცხოვარებისათჳს.
- 8მ. სახისათჳს მუცლადღებისა სიტყჳსა ღ-ისა და საღ-ოოახსა განკორციელებებისა მისისა.
- 8ნ. ორთა ბუნებათათჳს.
- 8ზ. სახისათჳს ურთიერთას მომცემელობისა.
- 8თ. რიტხჳსათჳს ორთა ბუნებათაჲსა.
- 8თ. ეღ ყ-ი საღ-ოოა ბ-ნბ-ჲ ერთისა გუამთა თჳსთაგ-ნისა მ-რ შეეერთა ყ-ლსა კაკობრიესა ბ-ნბასა, და არა კერძოჲ კერძოსა.
9. ერთისათჳს გუამისა სიტყჳსა ღ-ისა.
- 9ა. მეტყუელთა მ-რთ, ეღ შეერთებულისა ანუ განსაზღვრებულისაგან აღიყენებთან რაოდენობად ბ-ნბანი ო-ისანი.
- 9ბ. ამისსა მ-რთა ეღ არა არს ბუნებაჲ უგუამოჲ, წინაგანწყობაჲ.
- 9გ. სანწმიდაობისათჳს.
- 9დ. სახესა და განუკუტელსა შ-ა ხილულისა ბუნებისათჳს და განყოფილებისათჳს თქუმასა შეერთებისა და განკორციელებისასა და ვითარ მოიღებების ერთი ბუნებაჲ სიტყჳსა ღ-ჲ განკორციელებული.
- 9ე. ეღ ღ-ის მშბ-ლ არს წ-ჲ ქალწული.
- 9ვ. თვთებისათჳს ორთა ბუნებათაჲსა.
- 9ზ. ნებათა და თვთმფლობელობათათჳს ო-ისა ჩ-ნისა ი-ვ ქსთა.
- 9თ. ო-ისა ჩუენისა ი-ვ ქ-ეს შორისთა მოქმედებათათჳს.
- 9თ. მეტყუელთა მ-რთ, ეღ უკუეთუ

- ორთა ბუნებათა და მოქმედებათაგან არს კაცი. საჭირო არს ქეს ზა სამთა ნებათა და ეგოდენთავე მოქმედებათა თქუმაჲ.
- ქ. გნღობისათს ბნბასა და ნებასა კორცთა ონისათასა.
- ქა. შერმეცა ნებათათს და თვთმფლობლობათა, გონებათა და მეცნიერებათა და სიბრძნეთა.
- ქბ. ლთ-მამაკაცებრისა მოქმედებისათს.
- ქგ. ბუნებითთა და უგიოპელთა ვნებათათს.
- ქდ. უმეცრებისათს და მონებისა.
- ქე. წარმატებისათს.
- ქვ. შიშისათს.
- ქზ. ლოცვისათს.
- ქთ. გნთვსისა და განკუთვნისათს.
- ქთ. ვნებისათს კორცთა ონისა ჩნისათა და უენებლობისათს ლთეებისა მისისა.
- ქრ. გნშორებელად გებისათს ლთეებისა სიტყვისასა სლისაგან და კორცთა სიკდლსაცა შა ონისასა და ვდერთივე იყო გუამი.
- ქს. ხრწნილებისა განყოფილებისათს.
- ქბ. ჯოჯოხეთად შთასლვისათს.
- ქბ. აღდგომისა შედგომთათს.
- ქდ. მარჯუენთ მმისა დაჯდომისათს.
- ქე. მეტყუელთა მრთ უკთუ ორი ბუნებაჲ არსო ქე ანუ აგებულსაცა ჰმსახურეთ ვა აგებულისათუნის მცემელთა ანუ ერთი ბნბა თუნისცემული თქუთ და ერთი თაუნის უცემელი.
- ქვ. რაჲსათს ძე ლა განკაცნა და არა მამაჲ, არცა სლი და თუ რაჲ წარმართა განკორციელებითა თვისითა.
- ქზ. მკითხველთა მრთ, ვდ გუამი

- ქსი აგებული არს ანუ აუგებელი.
- ოც. თუ ოდეს ეწოდა ქე:
- ოცი. მკითხველთა მართ უკეთ ორი ბნბაჲ შვა წნ ღის მშობელმან ანუ ორი ბნბაჲ დამოეკიდა ჯა:
- პ. ერ პირმშოდ იწოდების მხოლოდ შობილი ძე ღა:
- პა. მკითხველთა მართ ედ შერწყუმულისა ანუ განსაზღვრებულისაგან აღიყვანებიან რაოდენობად ბნბანი ქსნი.
- პბ. სარწმუნოებისა და ნათლისღებისათვის:
- პვ. სარწმუნოებისათვის.
- პღ. ჯრისათვის რლსა შა არს სარწმუნოებისათვისცა.
- პი. აღმოსავალით თაყუანისცემისათს.
- პკ. წთა და უხრწნელთა საიდუმლოთათვის ოისათა.
- პლ. ნათესავთ-მეტყულებისათვის ოისა და წისა ქწლისა.
- პმ. წმიდათა და ნაწილთა მთთა პატრივისათს.
- პთ. ხატთათვის.
- შ. წერილისათვის.
- შა. ქეს ზა თქმულთათვის.
- შბ. ედ არა არს მიზეზ ბოროტთა ღი.
- შვ. არა ყოფისათვის ორთა დასაბამთაჲსა.
- შღ. რაჲსათვის წწრ მეცნიერმან ღმერთმან ვიეთისამე მცოდველობისა და არლარა შემნანებლობისათვის დაჰბადნა იგინი.
- ში. შჯულისათვის ღისა და შჯლისა ცოდვისა.
- შკ. დასამკობელად ჰურიითა და შაბათისათს.
- შლ. ქალწულებისათვის.
- შმ. წინადაცულებისათვის.
- შთ. ანტიქესთვის.
- რ. აღდგომისათს.

*21. Առ հարցանողսն եթէ ի խառնակելոցն թէ ի սահմանելոցն՝ վերաբերին քանսուսթիւն բընութիւնք Քրի:*

რომ მარტო ამის მიხედვით წყდებოდეს სხვადასხვა ენაზე შენახული ერთისადაიმავე ტექსტის ურთიერთ დამოკიდებულების საკითხი, უცილობლად ვიტყვით, რომ სომხური და ვაჩეს-ძის მიერ ბერძნულიდან გარდმოთარგმნილი ძეგლები ერთმანეთზეა დამოკიდებულიო.

არსებითად მინც ეს ასეა: სომხური ქართული დანაა ნათარგმნი. ამას ჩვენ ზარბანალიანის ნაშრომიდანვე ვტყობილობთ (გვ. 578—579). ავტორი წერს: ჩვენს ხელნაწერთ (იგულისხმება ვენეტოკის კონგრეგაციის მუზეუმის კოლექცია) წიგნის დასასრულს [აქეთ] წარწერაა: დასასრული შრომათა იოვანე დამასკელისათა. მანსურად წოდებულისათაჲ, მოკლედ თქმული მისთა მადლთა გარდამოცემული და თარგმნილი სიმეონისაგან ქართულისა ენისაგან სომხურს ენასა ზედაა<sup>1</sup>.

სომხური ლიტერატურის დაუშრომელი მკვლევარი იქვე დასძენს: „არ ძალგვიძს ცხადად განვსაზღვროთ მარტოოდენ სახელით მთარგმნელის პიროვნება, ისე როგორც დრო. [ამასთან] ისიც, მთელი ნაწერის მთარგმნელია [იგი], თუ მხოლოდ ერთი ნაწილისა-ო“<sup>2</sup>.

ჩვენ არ ვიცით, თუ რას შეიცავს კიდევ ესათუის ხელნაწერი, მაგრამ უეკვოა, რომ, ყოველ შემთხვევაში, იოანე დამასკელის «დიალექტიკა» და «გარდამოცემაჲ» ქართულიდან არის ნათარგმნი. ამას მხარს უჭერს როგორც ზარბანალიანის მიერ მოყვანილი ნიშნულობების თანხედომობა იოანე დამასკელის ქართულ ძეგლთან (არსენ ვაჩეს-ძის თარგმანთან), ისე ვენეტოკის სომხურ ხელნაწერთა მინაწერების ცნობაც.

ამავე მინაწერებით მთარგმნელად სიმეონია დასახელებული. ვინ არის ეს სიმეონი? ქართულიდან სომხურზე მთარგმნელი ერთი სიმეონია ცნობილი ჩვენთვის. ესაა ზემოთ არა-ერთგზის ხსენებული სიმეონ პლენძაძანქელი, რომელმაც თარგმნა პროკლე დიაღობოსის «კავშირნი ღვთისმეტყველებითნია იოანე პეტრიწის კომენტარითურთ. ეს თარგმანი მან 1248 წლის ახლოს შეასრულა. სხვა ვინმე სიმეონი ჯერ-ჯერობით არავინ ვიცით. შესაძლოა, დამასკელის შრომათა შემცველ სომხური ხელნაწერების მინაწერებში მოხსენებული სიმეონ თარგმანი სიმეონ პლენძაძანქელი იყოს და ამრიგად ორივე ამ საყურადღებო ძეგლის თარგმანების მიმწოდებელიც სომხური დაინტერესებული წრეებისათვის. მაშინ დროც, როცა მას დამასკელის შრომები უნდა ეთარგმნა, XIII ს-ის 50-ანი წლები იქნება, ვინაიდან ცნობილია, რომ მან პროკლეს თარგმანი ქართულიდან 1248 წ. შეასრულა.

სომხური თარგმანის ღირსების შესახებ ჩვენს განკარგულებაში არსებული მეტად მცირე შესაღარებელი მასალის გამო (მარტოოდენ ზანდუკის ერთი ნაწილი) ბევრს ვერას ვიტყვით. ამისა და სხვა ენობრივი მხარის შესახებ რაიმეს თქმა მხოლოდ სომხურ-ქართული ტექსტების დაპირისპირებითი შესწავლით მო-

<sup>1</sup> *„შე ველადეოჲ ჰორაფქრე“* ქ ქაქანას მათხნუს. *დკათარიაშ ქათასელი მინაწერი ზამთსყველი კიხეხიქი შანსიო. ზამთითაჲ ათხეხო ზერიქ ჯირაგე ალანდიქიანო* & *ქარქამანხალ შქანის ქ ქოვ ქვილქ ქ ნო ვადეადო*.

<sup>2</sup> *„მხნე კერარ ირიქ მქანანოამდე, ქარქამანხუს ანბდ კაიოხი, ქხეჯეს & იქ ქამანხად. ათასი აქ ქქ ამდიოქ ვრიდ ქარქამანხუს, & ქქ ანოქ მქქ მათხი მქანო“*.

ხერხდება. სომხური ხელნაწერები ვენეციას ჩანან. უნდა ველოდეთ, რომ მათი ნუსხები ეჩზიპინისა და ერევნის მუზეუმებშიაც იქნება<sup>1</sup>. უკანასკნელის გამოყენება უფრო მარჯვეა და, ალბათ, ამას მოვახერხებთ კიდევაც. შესაძარებელი ის მცირეოდენი მასალაც, რომელიც ჩვენ გავაჩნია, ზოგან ერთგვარ განხრას, გადახვევას გვიჩვენებს დედნისაგან, ე. ი. ქართლისაგან. ასეთია „გარდამოცემას“ წიგნიდან შემდეგი ადგილები:

1. ა. მიუწომელობისათვის ღისა და ვღ არა ჯერ არს ძიება და გამოწულილვია არა მოცემულსა ჩნდა წთა წწყულთა, მოციქულთა და მახარებელთა მრ.

2. კთ. გულისწყრომისათვის.

II. *მარადი ილქაჩაო. ჩაღათიქ*

III. *ქაისი სრითიქხანსი*

პირველ შემთხვევაში (1) სომხური მოკლე სათაური გამოკრებული ჩანს ამ ნაწილის ქართული ტექსტის საერთო სათაურიდან: ღირსისა მამესა ჩნისა იოანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისა—გარდამოცემა უცილობელი მართლმადიდებელისა სარწმუნოებისა, ვღ მიუწომელ არს ღთი და ვღ არა ჯერ არს ძიება და გამოწულილვია არა მოცემულსა ჩნდა, წმიდათა წინასწარმეტყუელთა, მოციქულთა და მახარებელთა მიერა. მეორე შემთხვევისათვის კი (2) სომხური ნაწილის გამომცემელი შენიშნავს (გვ. 578), რომ ბერძნულ ტექსტს *სრითიქხანსი*-ის ნაცვლად *სრითიქხანსი* (გულისწყრომისა) აქვსო, ე. ი. ისე, როგორც ქართულსაც. მთარგმნელს (თუ აქ გადამწერს არაფერი შემლია) ჩანს, აურევია ერთიმეორეში: „გულისწყრომა“ და „მწუხარება“ და ამის გამო ორი ერთნაირი სათაურიც მიუღია (შდ. ეს თავი 43 თავს). მიუხედავად ამისა მაინც ის მასალა, რომელიც ხელთა გვაქვს, იმას მოწმობს, რომ სომეხ მთარგმნელს ქართული ენის ცოდნაში დიდი რამ სისუსტე არ ატყვია. ზედმიწევნითი, სიტყვა-სიტყვითი გადმოღებით ხასიათდება მისი თარგმანი. სიმეონიც ისევე იქცევა, როგორც სხვა ფილოსოფიური შრომების მთარგმნელები იქცეოდნენ საზოგადოდ როგორც სომეხთს, ისე საქართველოშიაც. ზედმიწევნილობითა და სიტყვა-სიტყვითი უნაკლულობით ხასიათდება სომეხი მთარგმნელის დედანიც, როგორც მისი ბერძნულიდან გადმოძღვები არსენი თარგმანი აღიარებს: ამრავლითა ქირითა და შრომითა დამიწერია და უნაკლულად ძალისებრ ჩემისა შემიწამებია. და არცა რაა ზეპირით დამირთავს და, თუ სიბნელე რაამე სადმე ანუ სიდუხჭირე შესდგამს, იგი ბერძნულისა შედარებულობისაგან არს და არა ქართულთა სი-

<sup>1</sup> ახლა უკვე ხელთა მაქვს, ჩემი თხოვნით თავაზიანად მოწოდებული, წერილობითი ცნობა პ-ტემულ მესრობ ტერ-მოვსესიანისა, რომ მართლაც ასეთი ნუსხები არსებულა ბსუნებულ მუზეუმებში. ვქვით ცალი ეჩზიპინისა (№№ 63, 101, 103, 116, 5789 და 5859) და ერთიც (№ 611) ეოევანში, სულ ზეიდი ცალი. საყურადღებოა, რომ, როგორც მოწოდებული ცნობიდან ჩანს, ამ ხელნაწერსაც ჰქონიათ დართული ის მინაწერი, რომელიც გვაუწყებს ამ ძეგლის ქართულიდან ნათარგმნობას.

ესარგებლობ შემთხვევით და პ-ტ. მ. ტერ-მოვსესიანს მოწოდებული ცნობისათვის უღრმეს მადლობას მოვასხენებ.

ტყუათა და შუქნებასა ვერ შეცნიერებრისაგანა<sup>1</sup>. ამით უნდა აიხსნებოდეს ის მოვლენაც, რომ სომეხი მთარგმნელი დედნად ამ ხასიათის თარგმანს იღებს და არა ეფრემ შვირისა ან ექვთიმესას.

ერთეული შემთხვევაა თუ არა ზემოთ აღნიშნული lapsus-ი (2), ამის საბოლოო დადასტურება მთლიანი ტექსტების ერთიმეორესთან შედარებამ უნდა გადაწყვიტოს. ამ დროისათვის ვღებთ იმ საკითხების განხილვასაც, რომლებიც დაკავშირებულია მოხსენებულ ამბავთან—საგულისხმო ფილოსოფიური ძეგლის ქართულიდან სომხურად თარგმანსთან.

<sup>1</sup> საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა S ფონდი, № 1463, ფ. 39 v.

5—I—1937 წ.

ტფილისი

## რუსთაველის ხანის ქართულიდან ნათარგმნი ძველი სომხური მწერლობის ძეგლები

(წინასწარი ნარკვევი)

ქართულიდან სომხურად თარგმნის ისტორიას ჯერ-ჯერობით შესაძლოა თვალი მივადევნოთ IX საუკუნიდან ჩვენი წელთაღრიცხვისა. ჯერ ხნობით ცნობილი პირველი მთლიანი თარგმანი, რომელსაც ჩვენამდის მოუღწევია, დიონისე არეოპაგელის ცხოვრებაა<sup>1</sup>. იგი 880 წელს უთარგმნია ვინმე იოანე მკურნალს ქ. ერუსალემში. ძეგლს ამის შესახებ ცნობა ბოლოს აქვს დართული მინაწერის სახით. ახალი დროის სომეხ მკვლევართა შორისაც კი ამ მინაწერში დამახინჯებულად წარმოდგენილმა იმ ენის დასახელებამ, რომლიდანაც იგი ითარგმნა, ე. ი. ქართულისამ (*ქჩხაქსან* ნაცვლად *ქრასკან* თუ *ქრავსკან*-ისა), როცა ეს მოვლენა პირველად ბელგიელმა მეცნიერმა P. Peeters-მა შენიშნა, განცვიფრება გამოიწვია, დაუჯერებლად მიიჩნეს იგი. ეს კი იმის წყალობით მოხდა, რომ გაერცლებული იყო ისეთი შეხედულება, თითქოს სომხები, როგორც მახლობელი ქრისტიანული კულტურის მფლობელი ერებისა, მათგან უშუალოდ იღებდნენ მათთვის საგულისხმო ძეგლებს, წინააღმდეგ ქართველებისა, რომლებიც ასეთ მახლობლობას შედარებით მოკლებული იყვნენ. ქართველები პირველ ხანებში, ყოველ შემთხვევაში, *via armeniaca* იყვნენ დაკავშირებული ამ სამყაროს კერებსო. იმავე ბელგიელ მკვლევარს, რომელმაც სამართლიანად დაინახა *ქრასკან* თუ *ქრავსკან*-ის შერყენა *ქჩხაქსან*-ად, ქართული ძეგლის გამოცემის დროს ტექსტობრივი ანალიზითა და სომხურთან დაპირისპირების გზით მოუხდა დაემტკიცებინა თავისი შეხედულების სიმართლე და ამრიგად შეერყია საფუძველი ფეხმოკიდებული უმართებულო აზრისაც.

ასევე უნდობლად შეხედნენ ამაზე ადრე საზოგადოდ სომეხმეტყველნი იმ ცნობასაც, რომელიც მთარგმნელს — ვინმე სიმეონ ხუცეს-მონაზონს — დაერთო იოანე პეტრიწის მიერ კომენტარ-დართული პროკლე დიადოხოსის „ქავშირნი ღვთისმეტყველებითნი“ -ს სომხური თარგმანისათვის. მთარგმნელის აღიარება, რომ დიადოხოსი *აჲრა* იყო თარგმნილ ჩუენსა ენასა... და შე ვთარგმნე ქართულით, *რაჲთა არა იყოს* დაკლებულ ნათესავსა ჩუენსა-ო, მკვლევარებმა საეჭვოდ

<sup>1</sup> ქართული ტექსტი გამოკვლევიერტ გამოაქვეყნა P. Peeters-მა (5. *Analecta Bollandiana* ტ. XXXIX, გვ. 277—315, Bruxell 1914); სომხური ტექსტი კი ლ. *Ա Վ Ի Ն Կ Ի Ն*-მა (5. *Հոսոյն Ամսօրեայ*, 661—660; 205—218, *Վեհնես* 1913-14).

მიიჩნის. მთარგმნელმა არ იცის, თორემ შეუძლებელია იგი ბერძნულიდან სომხურად არ გადმოელოსთ ძველად თარგმნილ სხვა ფილოსოფოსებთან ერთად. უძველესი ნუსხა პროკლეს სომხური თარგმანისა მართლაც ასეთად მიიჩნის<sup>1</sup>. აკად. ნ. მარმა გააქარწყლა მათი მოსაზრებები. ძველი სომხური ნუსხა ხსენებული ძეგლისა მან ერთერთ ყველაზე საუცხოო ცალად მიიჩნია ქართულიდან შესრულებული ამ ძეგლის თარგმანის ნუსხათა შორის<sup>2</sup>, ხოლო ამის დამტკიცებით მეცნიერებას ჯერ კიდევ აღდე მიეცა საშუალება უკუეგლო ძველი შეხედულება თითქოსდა ქართულიდან სომხურად თარგმნის შეუძლებლობისა ძველად.

ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ იმ ძეგლების მიმართ სუფევდა, რომლებიც ქართული წარმოშობისა არ არიან, თორემ ქართული წარმოქმნისა და ძველად სომხურად თარგმნილ ისეთ ძეგლს, როგორცაა «*ჟამათი-ქიან*»<sup>3</sup> «*ქართველთა ისტორიისა*», ე. ი. «*ქართლის ცხოვრებასა*», რაიმე საგანგებო ეპეი არ გამოუწვევია. ეს ძეგლი ნათარგმნი უნდა იყოს XII—XIII სს-ში. წყდება იგი 1125 წლის ამბებზე, დავით აღმაშენებლის ისტორიის ერთერთ ეპიზოდზე<sup>4</sup>. სამწუხაროდ დღემდის მისი გავრძელება არსად ჩანს.

უკანასკნელ დრომდის ამით ამოიწურებოდა იმ ძეგლთა რიცხვი, რომლებიც ქართულიდან ითარგმნა ძველად სომხურზე. დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც გ. ზარბანალიანი ის მიერ აღწერილი<sup>5</sup> კიდევ ერთი სომხურად ძველად ნათარგმნი ფილოსოფიურა ხასიათის ძეგლის ქართულიდან ნათარგმნობის უეკველობა და მისი დედნის რაობის საკითხი გავარკვეით<sup>6</sup>. ეს ძეგლია იოანე დამასკელის «*წყაროა ცოდნისაა*» («*დიალექტიკა*» და «*გარდამოცემაა*»). გ. ზარბანალიანი აღწერილი აქვს ამ ძეგლის სომხური თარგმანი, მოჰყავს მისი მინაწერიც, რომ იგი ქართულიდან ითარგმნა სიმეონის მიერ, მაგრამ მანაც დისძენს: «*მარტო ოდენ სახელით ვერ შეეძელით გავგერკვია მთარგმნელის პიროვნება, ისე როგორც დროისაც; ამასთან მთელი წიგნის-მთარგმნელია, თუ მარტო მისი ერთი ნაწილისა*». მის აღწერილობაში მოცემული ნიშნულობის მიხედვით გაირკვა, რომ ეს სომხური თარგმანი შესრულებულია არსენ ვაჩიქსის მიერ ბერძნულიდან ქართულად ნათარგმნი ტექსტიდან. მთარგმნელად დასახელებული სიმეონი კი პეტრიწის კომენტარ-დართული პროკლე დადობოსის «*კავშირნი*

<sup>1</sup> მ. შაქარაშვილი — *ჟიორჯი ზნაჯიუნი ირხნაკი* «*შათხაფარაკან მანერ ილიაშათი-რი-ქიანზე*» ნაწ. 1, ს. 33. 147—161; Н. Марр, Иоанн Петрицкая, грузинская неоплатония XI—XII века, СПб., 1909, 83. 11.

<sup>2</sup> Н. Марр, Иоанн Петрицкая..., 83. 13.

<sup>3</sup> *ჟამათი იამათი-ქიან* «*ქრევი, ენბაქანი*» *შოკრეჯი იამათი, ქსნხაქი 1884*.

<sup>4</sup> *ზარ. შ[ოქრეჯიანი]* — *შათხაფარაკან ზაქსაკან* «*ქარგამანი-ქიანზე*» *ზაქსაკან* (გარ 7—8), *ქსნხაქი 1889*, 83. 576—579.

<sup>5</sup> И. Абуладзе, Древнеармянский перевод еще одного памятника груз. философской литературы эпохи Руставели (5. ჩენი ინსტიტუტის რუსთაველისადმი მიძღვნილი კრებული რუსულად და აგრეთვე აქაც, ზემოთ).

<sup>6</sup> *შხუჯი ზნაჯიუნი ირხნაკი* «*შათხაფარაკან მანერ ილიაშათი-რი-ქიანზე*», *თათხაქი* «*ქე ამარიჯი*» *გვიდე* «*ქარგამანი*» *ქე ამარი* «*მხკ მათხი*» *მთარგმნი* («*ზარ. შ[ოქრეჯიანი]*») — *შათხაფარაკან ზაქსაკან* «*ქარგამანი-ქიანზე*» *ზაქსაკან*. 83. 579).

ლეთისმეტყველებითი\* -ს მთარგმნელი სიმეონ სუკეს-შონაზონი, პლენდაპანქელი, ვიკულუთ<sup>1</sup>.

ჩემ წინასწარ ცნობაში ვამბობდი, რომ შესაძლოა ამ ძეგლის ნუსხები ერგენისა და ეჩმაძინის მდიდარ ხელნაწერ კოლექციებშიც აღმოჩნდეს და მათთან გაეცნობასაც ადვილად შეეძლებ-მეთქი. მართლაც ეს მოვახებრხე. ხელთა მაქვს ჯერ-ჯერობით სომხური თარგმანის ცალკე ადგილები და ვავეციანი ხელნაწერ ნუსხებსაც. ზოგიერთ ნუსხაში მარტო ზემოთ დასახელებული იოანე დამასკელის ძირითადი შრომაა წარმოდგენილი (ერეგენის მუხ. № 611; ეჩმაძინისა—№№ 101, 102, 5789), ზოგს კიდევ სხვა სტატიებიც აქვს დართული (ეჩმაძ.—№№ 63, 103, 116, 5859), რომლებიც უკლებლად იოანე დამასკელისად არიან მიჩნეული. არსენ ვაჩესძის მიერ ბერძნულიდან ნათარგმნ იოანე დამასკელის ხსენებულ ძირითად შრომასაც ქართულ ხელნაწერებში იმავე დამასკელისა და სხვათა სტატიებიც აქვს დართული. ამიტომ დაისვა კითხვა, ხომ არ არიან ისინი (ე. ი. სომხური სტატიები) ქართულიდან ნათარგმნი ქართულიდან თარგმნის მომთხრობი მინაწერი ძირითადი შრომის („წყაროა ცოდნისაჲს“) დასასრულს ვგზავლება. ამიტომაც ვახდა ცალკე გამოსარკვევი ეს საკითხი, ერთადერთი საშუალება კი ამისათვის ქართულ-სომხური ტექსტების ტექსტობრივი ანალიზია გადამწყვეტი. სომხურთან შესადარებლად ქართულიდან ის ხელნაწერები ავიღეთ, რომლებიც შეიცავენ არსენ ვაჩესძის მიერ ნათარგმნ იოანე დამასკელის ძირითად შრომას—„წყაროა ცოდნისაჲს“-ს. უკანასკნელსა და მასზე დართულ სხვა სტატიებს შორის ქართულ ხელნაწერებში თემბაკიური ერთიანობა შეინიშნება. ყველანი დოღმატიკურ-ფილოსოფიური შინაარსისა არიან. ამიტომაც ეს კრებული „დოღმატიკონად“ იწოდება ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. პროფ. კ. კეკელიძის გამოკვლევების თანახმად<sup>2</sup> „დოღმატიკონის“ ქართული რედაქციის შემდგენელია, მასში წარმოდგენილი მრავალი ავტორიანი და უსახელო ავტორთა შრომებიც მთარგმნელი—არსენ ვაჩესძე, მისივე დადგენით—არსენ იყალთოელი, რომელმაც სხვა მასალასთან ერთად სთარგმნა და თავის „დოღმატიკონში“ წინა ადგილს მოაქცია იოანე დამასკელის „წყაროა ცოდნისაჲს“.

რიცხვით ექვსია ის შრომები (სტატიები), რომლებიც იოანე დამასკელის ძირითადი შრომის, „წყაროა ცოდნისაჲს“-ს, სომხურ თარგმანს მოსდევს ზოგიერთ ხელნაწერებში. ისენია: 1. *ჩანგ ყაღაღა ლიქამაქხელო, ქტ ირატა ხეზს ან-მარაჩანს ქ ათვანს, ჯორც ხსტეხეხაყ. ჟას ხლარათი ფრხლ სტქტი[კ] ამ-თროლიჩანს*; 2. *ჟათააჩანს ათ. ჯახაჯანს*; 3. *ჩანგ ქასანს ნაღათიკს დნჯ-რქამაჯიქს სხათორიჩის*; 4. *ჩანგ დნჯქამაქხანს ქ დაქათონს ხნრ-ბილახე მსკიქიქ-აათიცი*; 5. *ქასან ირ ქ ჟრქათიას .ქ. რნიქხანს დ აქქ ამხნაჯანს რნიქხანს ქ რნიქხანს ქნჯნხაყ ნამათიოთხაქ*; 6. *ჟათააჩანს ათ. ჯაყა ნამათიოთხაქ*

<sup>1</sup> И. Абуладзе, Древнерим. перевод., зб. 133.

<sup>2</sup> პროფ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, ძველი შვილობა, ტფილისი 1923 წ. გვ. 293—300.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი სტატიის ავტორად ევსტრატის ნიკიელ მიტროპოლიტია დასახელებული, მთარგმნელი თუ გადაწერილი მასაც იოანე დამასკელს მიაწერს. ამ სტატიასაც მსგავსად სხვებისა სათაურის დასაწყისი ეწყება სიტყვით — *სიქჩს*, ე. ი. — მისივეო. ასევე იქვეა იგი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სხვა სტატიების მიმართაც, რომლებიც ან სხვას ანდა უსახელო ავტორს ეკუთვნიან.

ზემორე აღნიშნულ ყველა სტატიას აღმოაჩნდა შესატყვისი „დოღმატიკონის“ ქართულ რედაქციაში. მაგრამ ყველანი აქ იოანე დამასკელისად როდია გამოცხადებული და არც იმ თანამიმდევრობითაა დალაგებული, როგორც სომხური. ქართული „დოღმატიკონის“ ნუსხები ერთმანეთთან „შეჯერებით შესწავლილი აქვს პროფ. კ. კეკელიძეს<sup>1</sup>. არსენის შედგენილად და მის ნათარგმნად მიაჩნია მას ნუსხებში წარმოდგენილი მასალის უდიდესი ნაწილი. არსენის „დოღმატიკონის“ დანართად შემდეგი დროის გადაწერითაგან მიაჩნია ჩვენი ძველი ლიტურის მკვლევარს შემდეგი სტატიები: „ევსტრათი ნიკიელის ანტიკათოლიკური თხზულება ეკლესიათა განყოფის შესახებ და აგრეთვე ეკლესიაში მიოების წესი გაქრისტიანებული ურიების, მაჰმადიანების და მოქცეულ იაკობიტ-სომხებისა“<sup>2</sup>. ევსტრატის შრომა (ყოველად ბრძნისა ევსტრათი ნიკიელ მიტროპოლიტისა — მოსაკენებელი შემოკლებული, თუ ოდეს ჰროჰნი და ეკლესიაჲ მათი, და რახათჲს საღმრთოთა აღმოსავალისა ეკლესიათაგან განიჰრნესაჲ) რომ სომხურ თარგმანშიაც მოგვეპოება, ეს იმას მოწმობს, რომ სომეხ მთარგმნელს ხელთ ჰქონია არსენ ვაჩქსძის დანართი ნი ქართული „დოღმატიკონი“. აქიდან ისიც ირკვევა, რომ ასეთი დანართიანი „დოღმატიკონი“ ქართულად უკვე XIII ს. ისათვის არსებულია, რადგან მისი სომხურად მთარგმნელი სიმეონი, რომელიც პეტრიწის კომენტარ-დართული პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი“ — მთარგმნელი სიმეონ ხუცეს-მონაზონი გვევლინა, ამ საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეა.

ზემორე სტატია *„წასთაჲსანჯი აი ჰიხაკანს“*, რომელსაც ქართული „დოღმატიკონით“ შეესატყვისება „სიტყვსგებაჲ ჰურიათა მიმართა“<sup>3</sup>, სიტყვა-სიტყვით მისდევს ქართულს. მაგრამ იგი გარდა ქართულის ამ სტატიისა მეორესაც მოიცავს მთლიანად. ესაა „სიტყვსგებისაგან ქრისტიანისა და ჰურიისა, წამებანი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთჲს, წიდათა წერილთაგანა“<sup>4</sup>. ამრიგად, სომხურის ერთი სათაურის ქვეშ ქართული „დოღმატიკონის“ ორი თავის თარგმანი გვაქვს მოქცეული. სომხურში ესენი, როგორც სხვა დანარჩენიც, იოანე დამასკელს მიეწერება. „მისივე იოანე დამასკელისა“<sup>5</sup>, ასეთნაირად იწყება ეს სტატია. ქართულში კი ეს სტატიები უსახელო ავტორთა შრომების მწკრივის ეკუთვნის<sup>6</sup>.

<sup>1</sup> პროფ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ-ია, I, გვ. 293—295.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 300.

<sup>3</sup> საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა S ფონდი № 1463, გვ. 307 v.

<sup>4</sup> იქვე, 226r—246r.

<sup>5</sup> იქვე, 246r—252r.

<sup>6</sup> პროფ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, გვ. 300.

მესამე სტატია *ჩრანგ ქაანს ჩასათიკ დ რნგჩქანაგრიცქანს სხათი-  
ქიასქა*, რომელსაც ქართულში შეესატყვისება სიტყუა სარწმუნოებისათჳს  
დასამკობელად ნესტორიანთა<sup>1</sup>, აგრეთვე სიტყუა-სიტყუით მისდევს სათაური-  
სავე მსგავსად მთლიანად ქართულ ტექსტს, მაგრამ იგიც წინა შემთხვევისამებრ  
მოიცავს უკანასკნელის მომდევნო სტატიასაც: ამისივე მამისა იოანე ხუცისა და-  
მასკელისა ოქრონეკტარისაჲ სიტყუაჲ დასამკობელი ნესტორიანთაჲ<sup>2</sup>. ქართულ-  
შაიკ ისინი იოანე დამასკელისადა მოხსენებული სათაურშივე. სომხურში სტა-  
ტიის სათაური იწყება: *სტირქან ზირს მხრიკ მოქჩანნილ ჴამასკადიკ მერქ-  
ათინსკთარე კიჯესკიკი*; თითქმის ასეთივე სიტყუებით იწყება ქართულიც, — პირ-  
ველის სათაური: „წმიდათაგანისა მამისა ჩუენისა იოანე მ-ნაზონისა და ხუცისა  
დამასკელისა ოქრონეკტარად წოდებულისაჲ“, ხოლო მეორესი, რომელიც პირ-  
ველთანაჲ გაერთიანებული სომხურში, სათაური ასე იწყება: „მისივე მამისა  
იოანე ხუცისა დამასკელისა ოქრონეკტარისაჲ“.

მეოთხე სტატია *ჩრანგ რნგჩქანასკანდ ქ ცასკითმს ჩრბოასთიე მა-  
კირქეს-სათიცი*, რაც ქართულს სიტყუაჲ ნამუშავევი დასამკობელად ლ-თის  
მოძაგებულისა წვალებასა იაკობთაჲ-თასა<sup>3</sup> უდრის, აგრეთვე სიტყუა-სიტყუით გას-  
დევს ქართულს. ორივეგან იგზ იოანე დამასკელისადა გამოცხადებული. მა-  
თი სათაურის დასაწყისი სიტყუებიც თითქმის ერთნაირია: „მისივე იოანე მო-  
ნაზონისა ხუცისა დამასკელისა ოქრონეკტარად სახელდებულისაჲ — *მოქჩანნილ  
ჴამასკადიკ მერქათინსკთარე*...“

მეხუთე სტატია *ჩრანგ აქასნ ირ ქ ჴრქათთი .ი. რნილქხანგ დ აკი ამხნაკნ  
რნილქხანგ ჩნდნხანგ ჩანათითხაკ* ქართულში შეესატყვისება დოლომატიკო-  
ნის<sup>4</sup> თავს — ჴრიოსტეს შორის ორთა ნებათათჳს და მოქმედებათა და სხუათა  
ბუნებითთა თვითებათა, გარნა შემოკლებული; და ორთა ბუნებათათჳს და ერ-  
თისა გუამისა<sup>5</sup>. იგიც სიტყუა-სიტყუით მისდევს ქართულს. ესეც წინა ორთან  
ერთად იოანე დამასკელისად არის სახელდებული სათაურის პირველი სიტყუე-  
ბითვე როგორც სომხურში, ისე ქართულშიაც. ეს სიტყუებია სომხურით: *სტი-  
რქან მოქჩანნილ ჴამასკადიკი*, ხოლო ქართულში ოდენ ამისივეა, ე. ი. იოანე  
დამასკელისა. დაქმაცოფილებულა არსენი მარტო ერთი სიტყუით, რადგან წი-  
ნა სტატრა მართლაც იოანესადევა გამოცხადებული.

მეექვსე სტატია სომხურისა — *შათათსანჩი ალ ჴაკი* (= „სიტყუასგებაჲ სო-  
მებთა მიმართ“) მთლიანად შესატყვისი თავს არ პოულობს ქართულ დოლომა-  
ტიკონში<sup>6</sup>. მასში მოქცეული ერთი ნაწილი, სახელდობრ, მონოფიზიტ სომეხთა  
ბრალდების მუხლები, ქართულში წარმოდგენილია ცალკე სათაურით: *თავნი სო-  
მებთა წვალებისანი ოცდაათნი*<sup>7</sup>. ეს ნაწილი ქართულს გასდევს თითქმის, მოე-  
მუბა ზოგან მკირეოდენი მეტი ადგილიც. საიდანაჲ ამ ნაწილის წინა და მომ-  
დევნო ადგილები ჯერ-ჯერობით არ ირკვევა. იგი შესაძლოა მთარგმნელის მიერ

<sup>1</sup> საქართ. მუხუდის ხელნაწერთა S ფონდი № 1463, 103r—108v.

<sup>2</sup> ი ქ ვ ე, 108v—116v.

<sup>3</sup> ი ქ ვ ე, 116v—128r.

<sup>4</sup> ი ქ ვ ე, 128r—138v.

<sup>5</sup> ი ქ ვ ე, 224r.—226r.

იყოს შემოკლებული სხვა რომელიმე სტატიისა თუ სტატიებისაგან, თუ მივიჩნევთ, რომ სათაურის ბოლო სიტყვა—*համառօտեալ*—ე. ი. შემოკლებული, მთარგმნელს ეყუთენის და არა დედანს. ერთ სტატიად რომ მოეცა მთარგმნელს დედნის რამდენიმე სტატია, ვასაკვირი არაა, რადგან ეს, როგორც ზემოთაც ვნახეთ მეორე და მესამე სტატიის მიმართ, მისთვის ჩვეულია. სომხურში ეს სტატია, როგორც ყველა სხვა, იოანე დამასკელისად არის აღიარებული: *Նախնի Մովհաննու Պատասխայի*, აზბობს სათაურის დასაწყისი სიტყვები. ქართულის შემხვედრი ნაწილი კი უსახელო ავტორისა ჩანს<sup>1</sup>.

ამრიგად, იოანე დამასკელის „წყაროჲ ცოდნისაჲს“ სომხური თარგმანის დანართად მოყვანილი ექვსი სტატია თითქმის უკლებლად პოულობს შესატყვისს არსენ ვაჩესძის „დოღმატიკონში“. უკანასკნელის რვა სტატია მაინც ნათლად ჩანს წარმოდგენილი სომხურის ხსენებულ დანართ სტატიებში. ყველა ისინი, მიუხედავად იმისა, რომ მოკლებული არიან ნათარგმნობის შესახებ ანდერძს, ზედმიწევნით თარგმანს წარმოადგენენ არსენ ვაჩესძისაგან ნათარგმნისა და შედგენილი „დოღმატიკონის“ სათანადო ტექსტებისას, როგორც ამას ჩვენს ხელთ არსებული სომხური ნუსხების ნიმუშების ტექსტობრივი შედარება მოწმობს ქართულთან. ქართული დედნით ამ სტატიათაგან ოთხია იოანე დამასკელისა, ერთია ვესტრაცი ნიკიელ მიტროპოლიტისა და დანარჩენი ორი (ქართულით სამი) უსახელო ავტორისაა. სომხურ თარგმანში კი ყველა იოანე დამასკელისადაა აღიარებული. აქ კი გაუგებრობას უნდა ჰქონდეს ადგილი და არა დედნის, რაიმე თავისებურებას.

იოანე დამასკელის შრომათა ხელნაწერების შესწავლის დროს ეჩმიადინის წიგნთსაცავში შევიტყვე, რომ არსებობს ქართულიდან ძველად ნათარგმნი კიდევ ერთი ძეგლი—იოანე სინელის „კლემაქსი“. ხელნაწერებში დაძებნის შემდეგ მისი ორი ნუსხა აღმოჩნდა: ერთი ადრინდელი (XIII ს.) და მეორე შედარებით გვიანდელი. ერთიცა და მეორეც დღევანდელი, — პირველი უფრო მეტად, მეორე — მცირედ. ცნობა ამ ძეგლის ქართულიდან სომხურად თარგმნის შესახებ შენახულია ერთსაცა და მეორეც ნუსხაშიაც, მეოცე თავის ბოლოს. აქ წერია:

*Թարգմանս[ա]լ է մինչև ցասս ի սրբամիտ կրանաւորէ Մինասէ Սիւնակեյէ (Վ. Սիւնսեხեյէ) ի Տրպպիդոն քաղաք: Իսկ աստուտի Միմէն քահանայ (Վ. քահանայէ) կրանաւորէ վրաց քաղաքիով (Վ. քաղով):*

ნათარგმნია აქამომდის წრფელის მოწმის, მინას მესეცტის, მიტრ ქალაქ ტრაპიზონის, ხოლო აქედან — სიმეონ ხუცეს-მონაზონისაგან ქართული ენით.

იოანე სინელი VII ს -ის პირველი ნახევრის მოღვაწეა. მას ეკუთვნის ერთი საკმაოდ დიდი ნაშრომი ასკეტიკურ-მორალური დარგის მწერლობისა, რომელსაც „კლემაქსი“ ანუ „კვიბე“ ეწოდება. პროფ. კ. კეკელიძის თქმით ამ

<sup>1</sup> პროფ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, გვ. 300.

ძეგლის ხუთი რედაქცია ყოფილა ცნობილი ქართულში<sup>1</sup>. ერთი—მეათე საუკუნე-  
ნემდელი (ჩვენამდის არ ნოღწეულა), მეორე—ექვთიმე ათონელისა, მესამე—იოანე  
პეტრიწისა, მეოთხე—პეტრე გელათელისა და მეხუთე—ანტონ I-ისა. მესამე  
და მეხუთე ლექსიდაა შესრულებული, დანარჩენი პროზად. პროზულთაგან კიდევ  
პეტრე გელათელის რედაქცია პატრიარქი ფოტის სქოლიოებითაა შექმობილი<sup>2</sup>.

სომხურად «კლემაქსია» პროზითაა წარმოდგენილი. ცხადია, ამიტომ იგი,  
ე. ი. ნაწილი მე-21 თავიდან, რომლის შესახებ მინაწერი ამბობს, რომ ქართუ-  
ლიდან ითარგმნაო, ქართული პროზული თარგმანებისათვის უნდა შეგვედარე-  
ბინა. ესენი ექვთიმე ათონელისა და პეტრე გელათელის თარგმანებია. სომხურს  
რომ სქოლიოები არა აქვს, სავარაუდოს ჰყოფდა ექვთიმე ათონელის რედაქცია  
ტვეგულა სომხური თარგმანის დედნად. მაგრამ ტექსტობრივმა შედარებამ გამოარ-  
კვია, რომ სომხურად მთარგმნელს, სიმეონ ხუცეს-მონაზონს, პეტრე გელათელის  
თარგმანი აულია დედნად, ისიც მხოლოდ «კლემაქსის» ტექსტი და არა სქოლიოე-  
ბი, რომლებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფოტი პატრიარქს ეკუთვნის.

«კლემაქსს» როგორც ქართულ ხელნაწერებში, ისე სომხურშიაც, სინელის  
ცალკე გამოყოფილი სტატია მოსდევს, რომელსაც „მწყემსისადმი“, სომხურად —  
*«აოი ჩიქიან»* ეწოდება. მკვლევართა მიერ იგი «კლემაქსის» მეორე ნაწილად  
არის აღიარებული<sup>3</sup>. მისმა შედარებამაც ქართულ თარგმანებთან იგი პეტრე  
გელათელის თარგმანიდან აღებულად გამოაცხადა. უკანასკნელს სომხური თარგ-  
მანის ხელნაწერ ნუსხებში მოსდევს კიდევ: 1. *[ყხანჯ ლ ქაყაყაქა] ქაროქჩიან  
სრანხიქი სილერ ნაღრნ [მხრიქ მიქჩანზილ ნაღრნ] შჩხჩქი ირ კიჯერ ზეხანაქაღ.  
[ღირ გრხაყ ზანხიქ ღრ] ანანაღრნ მქახხე მთაქჩქი [ღ] ხერჩი 2. ლიბქინჯ  
ღიბიარქიამაღ ლ სილერ განჩეზ, ირ ღან ზი გრღა კაქა ღიჯეხეღ ზეხანაქაღ.  
არარხეღ ზანხიქ კრანაღრქი მთაქჩქევი, ჭან ხიქეზ აჯარღჯ<sup>4</sup>, მათ შე-  
სატყვისს ქართულშიაც ვხვდებით. მოსალოდნელი იყო, რომ ეს სტატიებიც ქარ-  
თულის იმ რედაქციაში აღმოჩნდებოდა, რომელშიაც სომხური «კლემაქსისა» და  
«მწყემსისადმისა» შესაბამისი ტექსტები აღმოჩნდნენ, ე. ი. პეტრე გელათელის  
თარგმანში, მაგრამ პეტრე გელათელის ტფილისის დაკულს ნუსხაში<sup>5</sup>, მართალია  
პირველი სტატიათაგანი—იოანე სინელის მოქალაქობაჲ—მოპიოვებდა, მაგრამ  
სომხური თარგმანი მას კი არ მისდევს, არამედ ექვთიმე ათონელის თარგმანს.  
ამ სტატიის სრული სათაური ქართულს დედანში შემდეგია: «ცხოვრება წმიდი-  
სა და ნეტარისა მამისა იოანე სინელ მამასახლისისა, მოძღურებითა განთქმუ-  
ლისა, სულთაგან განმანათლებელისა და ქვეშარიტად სანატრელისა, რომელი  
ესე აღწერა დანიილ მონაზონმან რაბთელმან»<sup>6</sup>. სომხური მეორე სტატიაიც აგ-*

<sup>1</sup> პროფ. კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში (ტფილისის  
სახელ. უნივერსიტეტის მოამბის VIII ტ. ცალკე ამონაბეჭდი), გვ. 155, ტფილისი, 1927 წ.

<sup>2</sup> პროფ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, გვ. 352.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 306.

<sup>4</sup> მართო ერთ ნუსხაშია (№ 5258), მეორეში მის ნაცვლად: *«არღან ქარეყახიქ  
ილიბქინჯ სილერ გრთ»* (№ 5093, ფ. 250r).

<sup>5</sup> საქართველოს მუხ. ხელნაწერთა A ფონდი, № 39.

<sup>6</sup> საქართ. მუხ. ხელნაწერთა A ფონდი, № 236, 3r.

რთვე «განმარტებაჲ ძნელოანთა სიტყუათაჲ» ექვთიმე ათონელის მიერ შესრულებული თარგმანიდან აქვს აღებული სომეხ მთარგმნელს, როგორც ამას ტექსტობრივი შედარება მოწმობს. ამ ძეგლის სრული სათაური ქართულ დედანში ასეთია: «თარგმანება ძნიად გულისქმის|ი ყოფისა ამის წიგნისა სიტყუათათჳს; გამოსლვისათჳს სოფლითა»<sup>1</sup>. ამრიგად სომეხ მთარგმნელს, სიმეონ ხუცეს-მონაზონს, «კლემაქსისა» და მის შესახები შრომების თარგმნისას გამოუყენებია მისი დროისათვის არსებული ამ შრომების ორივე ქართული რედაქცია. როგორც პეტრე გელათელისა, ისე ექვთიმე ათონელისაც.

ქართულიდან სომხურად ნათარგმნ ზემოთ ჩამოთვლილ ძეგლთაგან, როგორც ვნახეთ, უმეტესობა სიმეონ ხუცეს-მონაზონის მიერაა შესრულებული. სიმეონის ვინაობის შესახებ სხვა რაიმე ცნობა გარდა ამ ძეგლების მინაწერებისა, სხვა არა ვიციით რა. ყველაზე ვრცელი და მეტი ცნობების შემცველი იოანე პეტრიწის კომენტარ-დართული პროკლე დიადოხოსის «კავშირნი ღვთისმეტყველებითნი»-ს ანდერძნამავია (*ქიჯათსაკარან*)<sup>2</sup>.

*«Թարգմանեսցա՞ զլրբն. որ է  
 շարկապ՝ և զլուխ աստուածա-  
 բանութեան Պրովղէ Իիսաղիսիի  
 պղատանական իմաստասիրի ձե-  
 ռամբ Սիմէոնի անպիտան քահա-  
 նայ կրանանսորի՝ ի վրայ լեզուէ  
 ի հայկ լեզուս. յերկիրն Հայկ|ոյ  
 ի վասն վրայ. որ կոչ|ի Պրծա-  
 նանք՝. յաւիտանից թ|ն|ականին  
 ՅԶԾԱ, Աղայնս գձկզ. ու կորարք-  
 զի յոյժ աշխատութեամբ թարգ-  
 մանսեցի՝: Նախ զի ոչ էի սր-  
 մանի աշակիսի սպասարու-  
 թեան ասկս շաղպիսկ զոլ մեղաւք.  
 երկրորդ՝ զի յոյժ քնարացե|ալ էի  
 և տկարացե|ալ յաւայ և ի ստայ  
 և ի զաւրութենէ. զի զի. ամե-  
 նիւք՝ էի. այլ զի ոչ էր թարգ-  
 մանսե|ալ ի մերս լեզու և սա  
 է մայր աստուածաբանութեան,  
 առաջին Մովսէս՝ զայս ուսեսլ  
 զդպրութիւն և ի սորա բանիցն*

ითარგმნა წიგნი ესე, რო-  
 მელიც არის კავშირი და ღვთის-  
 მეტყველების თავი, პლატონური  
 ფილოსოფოსის პროკლე დიადო-  
 ხოსისა, სიმეონ უხმარ ხუ-  
 ცეს-მონაზვნის მიერ ქარ-  
 თული ენიდან სომხურ ენა-  
 ზე, სომხეთის ქვეყანას,  
 ქართველთა სავანეში, რო-  
 მელსაც პლდძაპანევი ეწო-  
 დება, დასაბამიდან 6756 წ.  
 გვედრები თქვენ, ძმანო,  
 ფრიადი შრომით ვთარგმნე: ჯერ  
 ერთი, არ ვიყავ ღირსი ასეთი მსა-  
 ხურებისა ცოდვათა შებლაღულო-  
 ბისაგან [და] მეორე, რადგანაც  
 ფრიად მოხუცებული ვიყავ  
 და თვალთა, გონებისა და ძალი-  
 სგან მოუძღვრებულნი; 60 წლისა  
 ვიყავ. არ იყო თარგმნილი  
 ჩვენს ენაზე ის, [რაც] ღვთის-  
 მეტყველების დედაა. პირველად

<sup>1</sup> საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა A ფონდი, № 445, 4რ.

<sup>2</sup> ენჩიპიდონის მუზეუმის უძველესი ხელნაწერი (XIII ს.) № 1500.

<sup>3</sup> ხელნაწერებში: *Թարգմանեսցա*. <sup>4</sup> უძველეს ხელ-ში: *ჯაკაყა*. <sup>5</sup> *კრიორქ*—უძე. ხელ-ით.

<sup>6</sup> უძე. ხელ-ით: *Պրծանանք*. <sup>7</sup> ხელნაწერებში: *Թարգմանեցի*. <sup>8</sup> *ამხայ*—ენჩიპიდონის მუხ. ხელ-რი № 1832. <sup>9</sup> *Մուսէ*—უძე. ხელ-ით.

ღარიყხ[ს]ყ გიღრნ ასათილახარა-  
 ნილქილნ. ჸ ჴიჩინქსიონ ჸ სიი-  
 მქნი გიღრნ[ს]ყ ირხ[ს]ნ მ-  
 ქიონიქს ჸ ამანქ ირხენქ. ჸ  
 ჴიჩიფორ ასათილახარან გიღრ ას-  
 თილახარანნილქილნ ჸ ამანქ  
 ქიონილ[ს]ლ ჸ სლ მორიორქიმ  
 ჴორქს ღამინქან ასათილახარა-  
 ნილქილნ ჸ ჸრნ[ს]ყ ჸ ამინ  
 ილიონისყ მანქისყ მ[ქ]ქსხენქ. სლ  
 სა ჸ ჩინს ჸ არმით მარ ამს-  
 ნანქ. ჸ ამანქ ამინ ჴორქს მ-  
 ქიონიქსი ჸ სლ ანქ ქორქ რა-  
 თორქ სიქ. ჸ ხს კან ასიქ  
 ქარქამინხენქ, ჸ მქ იყასა  
 სიქქს სა კორქს მსრქ. სრქ  
 აორქსმქ. ირქ ღარიყხანქ ჸ  
 ასრქნსლ ანიონქ, ქიქსლქ ქა-  
 რქლქს ჸ ჸქმ ქორქ რანქს ირ-  
 ხენქ გქს ჸ მქ ქიქსიქილქილქ  
 ამანქ.

მოსემ ისწავლა ეს წიგნი და მი-  
 სი სიტყვებით განქარგა თავისი  
 ღვთისმეტყველება, [აგრეთვე] დიო-  
 ნისე არეოპაგელმა და ერეთეოსმა  
 თავისი წერილები ხრულიად მისგან  
 დაწერეს. გრიგოლ ღვთისმეტ-  
 ყველმაც თავი ღვთისმეტყველება  
 მისით გამოთქვა. ყველა ახლებმაც  
 თავისი ღვთისმეტყველება ამავე  
 სიტყვათა თხზულებიდან გამოადი-  
 ნეს. ესაა საფუძველი და ძირი, დე-  
 და ყველასი, ამისგან მიიღეს მათ  
 სისრულე. მაგრამ ისინი მცირე ნა-  
 კვეთნი არიან და მეც მის გამო  
 ვთარგმნე, რომ არ იყოს იგი  
 ჩვენს ნათესავს დაკე-  
 ბული. ახლა გვედრებით, რომ-  
 ლებმაც განქარგოთ ანდა გადაი-  
 ლოთ, მომიხსენეთ ლოცვაში და ჩე-  
 მი მცირედი სიტყვაც მიაწერეთ  
 და ნურას გამოტოვებთ მისგან.

ამ ანდერძამაგის ხაზგასმული ადგილებიდან ჩანს, რომ სიმეონი ყოფილა  
 სომეხი და ხუცეს-მონაზონი, მცოდნე ქართული ენისა. უთარგმნია ეს ნაშრომი  
 1248 წ. სომხეთს, ქართველთა სავანეში, პლენძაძანქს, მაშინ როცა იგი 60 წლის  
 მოხუცი ყოფილა. სხვა ძეგლთა მინაწერებში მთარგმნელი მოხსენებულია ან  
 მარტოოდენ სახელით (მაგ., იოანე დამასკელის შრომათა მინაწერი), ანდა სა-  
 ხელითა და წოდებით (მაგ., „კლემაქსის“ მინაწერი). სახელისა და წოდების  
 შეხვედრა მთავარი მინაწერით დასახელებული მთარგმნელის სახელსა და წოდე-  
 ბასთან სხვა ვინმე სიმეონს, თუ არ უკანასკნელში სახელდებულს, არ გვაკულე-  
 ბინებს. ყველა ეს ძეგლი ენობრივი ნათესაობის გამო ერთსა და იმავე ეპოქა-  
 ში, ერთი და იმავე პირის მიერ უნდა იყოს შესრულებული.

რა მონასტერია ის „ქართველთა სავანე“ დასახელებული მონასტერი, სა-  
 დაც სიმეონს „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი“ უთარგმნია? ქართველ მშობისა-  
 გან შედგენილ სავანეს ჰგულისხმობს იქ სიმეონი, თუ ქართველთა აღსარების  
 სომეხთა სავანეს? სად იმყოფებოდა ეს მონასტერი, რომელ პლენძაძანქში? ასე-  
 თია ის კითხვები, რომლებიც ხსენებული მინაწერის გაცნობის შემდეგ ისმება  
 მკითხველის წინაშე. ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ დადგენილი, თუ რომელი  
 პლენძაძანქია ის, სადაც მინაწერის მქონე ძეგლი ითარგმნა. პლენძაძანქი ორია—

<sup>1</sup> ხელნაწერებშია: *ქარქამინხენქ*.

ერთი ბიჯნისის მხარეში, და მეორე—ლორეში, ახტალის ახლოს. უკანასკნელს ერთ-ერთი სომხური ხელნაწერის მინაწერი, რომელიც იმავე სიმეონს უნდა გადაეწეროს, რომელმაც „კავშირნი ღეთისმეტყველებითნი“ თარგმნა სომხურად, სპლენდაპნეს უწოდებდა. ერთი ცდა და მეორეც XII—XIII სს-ში მხარგრძელების სამფლობელოში ჩანს. რომელიც ამათგანიც არ უნდა იყოს ეს. ერთი ცხადია, იქ ქართველთა მონასტერი ყოფილა, მარტო ქართველთა ძმობისაგან შედგენილი თუ ქართველთა აღსარების სომეხთაგან, სულ ერთია. უფრო გვეგონია ორივე ერისაგანთაგან, რომლებიც დიოფიზიტები იყვნენ. ქართული სამონასტრო ცხოვრების ტრადიცია აჩსად ამ მხრივ ეროვნულ საგანგებო გამოიყენას არ ახდენდა, ოღონდ კი ერთი აღსარებისა ყოფილიყვნენ, მით უმეტეს საქართველოსთან ვასალურ-დამოკიდებულ ურთიერთობაში მყოფ მაშინდელი სომეხეთის მხარეებში. სომეხთა მომტიკიების ღონისძიებათაგანი იყო ამ დროს ქართული თუ ქართველთა აღსარების ეკლესია-მონასტრების გაშენება მხარგრძელთა სამფლობელოებში. ამ კერების საშუალებით ხდებოდა ქართული დიოფიზიტური იდეების შექრა სომეხთა წრეებში. მათში მას შემწყნარებელნი აღმოჩენია, თუნდ იმავე სიმეონ ხუცეს-მონაზონის სახით, რომელიც დიოფიზიტური შრომების თარგმანსაც არ ერიდებოდა (მაგ.: იონან დამასკელის შრომები და მასზე დართული სხვა სტატიები; განსაკუთრებით კი—სიტყვსგებაა სომეხთა მიმართ). დიოფიზიტი სომეხი, თორემ სხვა ვინ მოჰკიდებდა ხელს ეთარგმნა „სიტყვსგებაა სომეხთა მიმართ“ ან მასში წარმოადგენილი «თავნი სომეხთა წვალებისანი ოცდაათნი», რომელსაც მონოფიზიტ სომეხთა აღსარება აქვს მიზანში ამოღებული! ქართულს საბელმწიფოებრივ საშსახურში მყოფი მაშინდელი იდეოლოგიური მესაქის—ქართული ეკლესიის—ამ მოქმედებას სომეხთა მონოფიზიტური ეკლესიის მოღვაწენი, ცხადია, უბრძოლველად ვერ შეხედებოდნენ. ამის ნათელი სურათი მოცემულია სწორედ მხარგრძელთა სამფლობელოში ამ დროს გამოჩენილი მოღვაწე მხითარ გოშის ერთს საქმოდ ვრცელ ტრაქტატში, ეპისტოლეში, რომელიც ქართული ეკლესიისა და სამეფოს მესვეურთადმია მიმართული, კერძოდ მხარგრძელთადმი, მეფეების თამარისა და დავითისათვის გადასაცემად<sup>1</sup>. ალბათ სიმეონისთანანი ჰყავს მხედველობაში მხითარს, როცა ამბობს: *«სრქუ კაკთხი ზ, ღჩ ირქ ზ ლაკიუ ზ მთიან ლამ ზ ლქრუ-ღაიზანს. ქასან ჟიათიყ აუქსარჩ ზ ლ ქასან ზხუ-თი-ქხანს მარმსიქსა»*<sup>2</sup>. (=ამჟ ცხადია, რომ ვინც სომეხთაგან ბერძენი ანდა ქართველი გახდება, სოფლის დიდებისათვის და სხეულის სიტკბობებისათვის იქმსო). ამრიგად სიმეონი იმ სომეხ მოწესეთაგანია, რომელიც მიუხედავად ასე-

<sup>1</sup> *წიგ. წი. ლ. შ ხ ქ გ ხ ს მ-ჩ ხ ზ, ლრყ აუქსარჩერ ლაკასათხ ზ ნაკერქ მათხს, ლას. ჩ., გვ. 67.*

<sup>2</sup> სხვათა შორის ამ ეპისტოლეში (გაზოცემულია *სურგათის* 1900 და 1901 წწ. №№-ში, გვ. 497—504, 562—568; 55—61, 121—127) მოცემული თავდაცვა, რომელშიაც ცდა ჩანს მონოფიზიტური ეკლესიის წარმოადგენელისა, აიცილოს თავიდან «სომეხთა წვალების საბრალდებლო მუხლები», გამოწვეული ჩანს დიოფიზიტთა წრეში ჩამოყალიბებული ნაწერებით: «თავნი სომეხთა წვალებისანი ოცდაათნი» და «მეჩუენებანი იაკობიტთა და ყოველთა ერთბუნებითანი ნი, რომელთა თანა არიან სომეხნიცა», რომელთაგან პირველი სიმეონს უთარგმნია სომხურად, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, მაგრამ დაწვრილებით ანის შესახებ სხვაგან გვეჩვენა საუბარი.

<sup>3</sup> *სურგათი* 1901 წწ. გვ. 205, II სვ. სტრ. 11—13

თი შეფასებისა, დამოწაფებია ქართულ ეკლესიას, შეუსწავლია მაშინდელი ქართული მწერლობა და მისგან გადაუღია თვალსაჩინო ძეგლებიც, უმეტესად ფილოსოფიურ-მორალური შინაარსისა.

ძეგლები, რომლებიც სიმეონს უთარგმნია სომხურად, შემთხვევით ხელთ ჩაეპარდნო არა ჩანს. ისინი საგანგებოდაა შერჩეული. პროკლე დიადოხოზის—*„კავშირნი ლეთისმეტყველებითნი, იოანე დამასკელის—წყაროჲ ცოდნისაჲ და იოანე სინელის „კლემაქსია“ მეტად მიმზიდველი თხზულებები იყვნენ საშუალო საუკუნეებში. ქართულში რომ დამასკელისა და სინელის შრომათა რამდენიმე რედაქციაა ამ დროს, ესეც საკმაო იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ, თუ რაოდენ დიდი გულსყურით მოაპრობიან ამ ნაშრომებს ქართველები. ამ ნაწარმოებთა არა მარტო უბრალო თარგმანი მოუციათ ძველ ფილოსოფოს მწიგნობართ, არამედ მათთვის კომენტარები და საგანგებო სქოლიოებიც კი დაურთავეთ (მაგ., იოანე პეტრიწის კომენტარი პროკლეს თხზულებისა). სიმეონიც ერთ შემთხვევაში ასეთ კომენტარ-სქოლიოებით შემკულ ძეგლს ჰკიდებს ხელს, და მეორე მხრით გარკვეულ რედაქციას ირჩევს სათარგმნად. რომ შერჩევასა აქვს ადგილი, ეს იქიდანაც ნათლად ჩანს, რომ როცა ის იოანე სინელის „კლემაქსისა“ და „მწყემსისაღმისა“-ს პეტრე გელათელ-ს რედაქციიდან იღებს ხელთ, იმავე დროს ამავე რედაქციაში შესულ დანიელ მონაზვნის ნაწარმოებთ—*„იოანე სინელის ცხოვრებასა“ და „კლემაქსის ძნელთან სიტყუათა განმარტებას“—*ეჭვითივე ათონელის რედაქციიდან იღებს. ერთი მინიშნობაა ისიც, რომ როცა პროკლე დიადოხოზის „კავშირნი“, იოანე დამასკელის „წყაროჲ ცოდნისაჲ“ და იოანე სინელის „კლემაქსია“, გარკვეული სკოლიდან გამოსულ ქართველ მოღვაწეთა თარგმანებიდან იღებს. ესაა ის სკოლა, რომელიც ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში პეტრიწონის სკოლად ითვლება<sup>1</sup>.*

პეტრიწის ენა და სტილი საკმაოდ ნათლად აქვს დახასიათებული ჯერ აკად. ნ. მარს<sup>2</sup> და შემდეგ პროფ. კ. კეკელიძე, რომელიც საერთო ხაზებში შემდეგნაირად გვაწვდის საერთოდ ამ სკოლის დახასიათებას. *„ეს სკოლა—წერს ჩვენი ძველი ლიტერატურის ისტორიკოსი—მიზნად ისახავს არა მარტო მატერიალურ სიახლოვეს ბერძნულ დედნებთან, არამედ ენობრივსაც; მას უნდა აზრის გადმოცემაში ქართული ენა აიყვანოს ბერძნული ენის მოქნილობამდი და ამიტომ ამ სკოლის ფონეტიკა, ეტიმოლოგია (ავტორი ალბათ მორფოლოგიას გულისხმობს), სინტაქსი და ლექსიკა აგებულია ბერძნულ ნორმებზე და ჩამოსხმულია ბერძნულ ყაიდაზე. ენა ამ სკოლისა, დასახელებული მიზეზის გამო, არის მძიმე, მწიგნობრულ-სქოლასტიკური, გასაგებდაც არა-ადვილი; იქამდის, რომ ზოგიერთ ადგილებს მკითხველი ბერძნულ დედანში უფრო გაიგებს, ვიდრე ქართულ თარგმანში“<sup>3</sup>. ამ ზოგად განმარტებასთან ერთად მკვლევარი,*

<sup>1</sup> Н. Марр, Иоанн Петрицкий, грузинский неоплатоник XI—XII века, СПб., 1909, გვ. 36; პროფ. კ. კეკელიძე, ვტიულები ძველი ქართული ლიტერის ისტორიიდან „ტილისის სახელ. უნივერსიტ შრომები“ 1, გვ. 109.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 39—35.

<sup>3</sup> პროფ. კ. კეკელიძე, ვტიულები ძვ. ქართ. ლიტერის ისტორიიდან..., გვ. 109.

მისი თქმით, „ზოგიერთ დამახასიათებელ ხაზებსაც“ იძლევა ამ სკოლის ენისას. ესენია უმთავრესად: 1. „მიცემითი ბრუნვის ხმარება ნაცულად ნათესაობითისა, რასაც ადგილი აქვს, უმეტეს შემთხვევაში, ზმნის მიმღებობითი ფორმის შემდეგა“<sup>1</sup>. 2. „სქესის შემოღების ცდა ქართულში მსგავსად ბერძნულისა“<sup>2</sup>. 3. წინადადების შემოკლება „უმთავრესად ზმნის მიმღებობითი ფორმის საშუალებით, რომელიც ამავე დროს ქვემდებარის როლს ასრულებს“. 4. „დამოკიდებული წინადადების გაწყვეტა და შუაში მთავარის ჩართვა“. 5. „გრძელი პერიოდები“. 6. „უზომოდ რთული სიტყვები და ქართულისათვის არაჩვეულებრივი კომპოზიტები“. 7. „თავისებური წარმოება ზედმეტრული სახელისა - ითი სუფიქსით“. 8 ხშირად „ცა“-ს ნაცვლად „და“-ს ხმარება და სხვაც რამ...

როცა ამ მხრივ სომხურ თარგმანებს ქართულ დედანს ვადარებთ, ვერ ვიტყვით, რომ ისე იქცეოდეს სომეხი მთარგმნელი, როგორც მაგ., იოანე პეტრიწი ან არსენ ვაჩესძე ეპურობოდნენ თავიანთ დედნებს, როდესაც ისინი მათ გადმოცემას ცდილობდნენ არა ჰარტო ბერძნულთან მატერიალური სიახლოვით, არამედ ენობრივითაც. ყველა ენობრივი ნუანსი დედნისა, რასაკვირველია. სომხურ თარგმანში არა გვაქვს, აქ უფრო მატერიალური სიახლოვე ჩანს დედანთან, ვიდრე სხვა მხრივი. ხოლო თუ ფრაზობრივ თანამიმდევრობას ვნიშნავთ თარგმანში, ეს საერთო თვისებების გამოა, რომლითაც საზოგადოდ ძველი სომხური და ძველი ქართული ხასიათდებიან. ამიტომ გასაკვირი არაა გ. ზარბანალიანის შენიშვნა იოანე დამასკელის ერთი სიტყვის (*სიოქს ზაღარს მსიოქ მინანსნი. რამასაკაყო შერქიანსსტარ ქიჯესქიქი*)—*ჩასჲ ქასან რასათიქ ს გნყქიასყიოქჩქან სხათიქიოქ*) გამო, რომელიც ქართულიდანაა (არსენ ვაჩესძის რედაქციიდან) ნათარგმნი<sup>3</sup>, რომ იგი „ლიტონი სტილისაა, იითქოსდა სომხურად შეთხზული იყოსო“ (*ჩარქ ინიქ ლ იოქს ქქ ზაქსქს ჯარაყრაბ ექსაქა*)—*ჟორ. შისქრანსაქსანს*)—*შათხსაყარანს ზაქსასანს ქორქამსიოქჩქანსუეს ზაქსხსაყ, ოქსხსიქს 1889*, გვ. 579). დაწერილებით მაინც ენობრივ მხარეზე სრული ტექსტობრივი ანალიზის შემდეგ შეიძლება პასუხის გაცემა, რაც მოპაეღის საქმეა. ხოლო ამჟამად თამამად შეიძლება ითქვას იმ მცირე ნიმუშების მიხედვითაც კი, რომლებიც ჩვენ გვაბაღია, რომ სომეხი მთარგმნელი თუ უმეტესად პეტრიწონის სკოლიდან გამოსულ თარგმანებს იღებს ხელთ, ეს იმატომ, რომ ისინი ყოველმხრივ, მატერიალურადაცა და ფორმითაც, ახლოს იდგნენ ბერძნულ ორიგინალებთან.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 119—113.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ქართულში მისი სათარაოა: „წმიდათაგანსა ნამისა ჰუნისა იოანე მონაზონისა და ზუციისა დამასკელისა ოქრონიკტარად წოდებულისა—სიტყუაჲ სარწმუნოებისათვის დასამკობელად ნესტორიანთა“ (ნ. ზემოთ გვ. 127). ეს ძველი რომ ქართულიდანაა ნათარგმნი, სომეხმა მკვლევარმა არ იცოდა.

## მათეოს განძასარელის ცნობა ქართველთა მეფის კოსტანტინეს შესახებ

-ჯერ კიდევ ბევრი საკითხი გაშორაკვევი და თანაც ჩვენს ხელნაწერებში უეჭველია მრავალი ძვირფასი ცნობები უნდა მოიპოვებოდეს მე-15—16 სს შესახებ, რომელთა საშუალებითაც არა ერთი ბუნდოვანი საკითხი გამოირკვეოდა და სრულებით ახლებიც იქნებოდა გაშუქებული“.

(ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართვ. ერის ისტორია, წიგნი IV)

ასე იწყებს თავის „ქართველი ერის ისტორიის“ IV წიგნს ჩვენი მსცოვანი ისტორიკოსი. ის ცნობაც, რომელიც სწორედ ზემოთ აღნიშნულ ხანას ეკუთვნის და რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ, ხელნაწერიდან არის ამოღებული. მაგრამ არა ქართულიდან, არამედ სომხურიდან. ქართულ წყაროებს გარდა საქართველოს შესახებ არა მცირედი ძვირფასი ცნობები მოეპოება აგრეთვე ჩვენი კარის მეზობლების წერილობითს ძეგლებსაც, როგორც ამის საუცხოო დამადასტურებელ ფაქტებს აკად. ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ის შრომები ნოწმობენ. სომხურ ენაზე შემონახული ხელნაწერები, რომელთა უდიდესი ფონდი საბჭოთა სომხეთს არის თავმოყრილი (ვლარშაპატს), გადამწერების ანდერძ-მოსახსენებელთა (*ქკუასიასკარას*) და მინაწერთა სახით მრავალ ისეთ საგულისხმო ცნობას შეიცავს, რომლებიც ოფიციალურ მატრიანეებში ხშირად ან სულ არ იხსენება, ანდა ზოგჯერ, თუ იხსენება, ბუნდოვანად. ქართული წყაროების ერთ ასეთს ცნობას ავსებს ის დოკუმენტი, რომელიც მათეოს განძასარელის სახელთანაა დაკავშირებული.

მათეოს განძასარელის ცნობა XV ს-ის დამდეგს (პირველ ორ ათეულს) შეეხება. იგი დაკულია ამ ხანებში (1417) გადაწერილს ერთ-ერთ სომხურ ხელნაწერში. ხელნაწერს გაეცეანი მიმდინარე წლის სექტემბერში, სამეცნიერო მივლინების დროს ერევანს. იგი უკანასკნელ დროს მოუპოვებია ვლარშაპატის ხელნაწერთა ბიბლიოთეკის დირექტორს, აშხ. ერ. თოროსიანს. აშხ. თოროსიანმა ხელნაწერი ვადმოძოცა მე, რათა მიმეჭტოა ყურადღება მასში შესული „კოზერნის ხილისათვის“, სადაც დასაწყისში საუბარია საქართველოს XI ს-ის ზოგიერთ ისტორიულ პიროვნებათა შესახებ, სახელდობრ რატისა და ვინმე ზოჯატ მხედართმთავრის გარშემო. გამოირკვეა, რომ ეს ამბავი სამეცნიერო ლიტერა-

ტურაში უკვე ცნობილი იყო. აკად. ნ. მარმა მიჰქცა მას პირველად ყურადღება. შინაარსი ამ ცნობისა და „კოზერნის ხილვის“ ძეგლის რაობა მან გააკვირა ჯერ კიდევ 1895 წ. ტექსტის კი გამოსცა<sup>1</sup>; ასე რომ ამ მხრივ ახალი არაფერი აღმოჩენილა.

სამაგიეროდ ამ ხელნაწერის ძირითად ნაწილს, რომელიც „საწელიწდოს“ უნდა წარმოადგენდეს, ბოლოს დართული აღმოაჩნდა მისი შემდგენელის, ვინმე მათეოს მონაზვნის, მეტად საგულისხმო ანდერძი (*ქუთათსკარას*). აქ მოთხრობილია, თუ როგორ, სად, ვისი შეკვეთითა და რა პირობებში აღმოცენდა ეს ძეგლი. მოსახსენებელი საკმაოდ ვრცელია. მას უქირავს 83 v.—89 r. ფურცელი. დაწერილია იმავე ხელით, რითაც ძირითადი ტექსტი. ვინაიდან ცალკე მისი გადაწერილი არსად ჩანს, ამიტომ შეგვიძლია ვიფიქროთ. რომ იგი თვითონ მათეოს მონაზვნის ავტორაფია. ჩვენთვის ძვირფასია ამ ანდერძის ის ადგილები, რომლებიც წიგნის აღმოცენების პირობებსა და დროს ეხება. საგულისხმო ადგილები გამოვკრიბეთ მისგან კიდევაც და ქართული თარგმანით მოგვყავს ქვემოთ. ისინი საინტერესოა როგორც საქართველოს ისტორიისათვის, ისე მისი მეზობლებისათვისაც.

XV ს-ის ისტორიისათვის მეტად მცირე საისტორიო წყარო გვაბადია როგორც ქართულს, ისე სომხურ ენაზე. თვითდაზხედურად მაშინდელი ამბებისა სომხურ მწერლობაში მხოლოდ თომა მეწოფელია ცნობილი<sup>2</sup>. მოკლედ ამ დროის მოვლენებზე—ლანჯ-თემურის ლაშქრობასა და ყარა-იუსუფის შემოსევაზე—„ქართლის ცხოვრების“ პირველი გამგრძელბეულიც მოგვითხრობს. ამდენად ყოველი ცნობა, რა სახითაც კი არ იქნება იგი ჩვენამდის მოღწეული, ძვირფასია ისტორიისათვის. ასეთივე მნიშვნელობისაა მათეოს განძასარელის ანდერძიც:

### [შ ე ს ა ვ ა ლ ი]

[83 v.] *ჟაიჯ ესე კხრთიი ფიქიქი-  
ნიხ. კ რიორიი კისაღნიქი კ ხქიქი...*  
[84 r.] *ნაკი კ ირქი კ სილქი ზიქი. ირ  
ზხრეხერ ჭიქინ მარჯაასირღმსამარქ  
აი რიქანჯაკ მქიანჯაკანს კხრქა  
ახთა, მათსაღნი (?) კ ფბილს გრქია  
შათქქიის ანაარქანი გი ბაიაკი რა-  
სანსქი ქსრქ ასთილბაქილქე თა-  
იჩი. კ ნაკიქ ჭიჩაკანს მთიჯ. კ თხ-  
იანსქი ვფაქი სჯიჯ ვქიქქინ ვბი თა-*

დიდება შენდა არსებულისა შემოქ-  
მელი და ნახევარსფეროსა და ეთერის  
მთხველო... მაშაო და ძეო და სულო  
წმიდაო, რომელმაც შენი კაცთმოყვა-  
რებით მიტევე სრულიად ცოდვილს  
სამსავე ნათესავს შორის, თითით-მხედ-  
ველსა (?) და უხმარ მწერალს მა-  
თეოსს, შენს უღირსს მონას, რათა  
მიმელწია ღვთივშეკრებილ ამ ასოთა  
დასასრულისათვის და მექვირტა გო-

<sup>1</sup> Н. Марр, Скавание о католикосе Петре и ученом Иоанне Козерне (Из материалов для истории средневек. арм. лит-ры): Восточные Записки, გვ. 9—34.

<sup>2</sup> თომა მეწოფელის შრომებიდან საქართველოს შესახები ცნობები გამოკრებილია ქართულად.—თომა მეწოფელი, სომხური ტექსტი ქართულ თარგმანით გამოცემა, შესავალი წერილი და კომენტარი დაურთო პროფ. დ. მელიქსეთ-ბეგმა, ტფ. 1937 წ. (ქვემოთ ყველგან „თომა მეწოფელით“ ეს გამოცემა ნაგულისხმები).

იჩა. վանն որոյ և աղաչեցի ի սկիզբն  
գծագրութեանս...  
ზառ, რაზედაც აღწერილობის დასაწყისშივე გვევდრე...

ნიერთა გონებითა და მეხილა ცნო-  
ბიერი თვლით ამ ასოს უკანასკნელი  
დასაწყისშივე გვევდრე...

### [წიგნის მომგებელი და მისივე რაობა]

[85 Ը.] Եւ իմն Մանուէլ քահանայ,  
վերջին ի ծնունդս մանկանց եկեղեց-  
ւոյ. որ թէպէտ յանկար հասակի. այն  
ինչ յարուն հա[85 v.]սեալ երիտա-  
սարդական ձեռք և կերպարանաց. ի  
մանկութենէ կրելով զխիղճ մտացն և  
եւ ի մտի դնելով ի հովտես (?) արտու-  
թեանց: Վասն որոյ նախ ճան զայն  
գործառնութիւնս թողիս զմեզ և  
զծնողսն իւր և եղբարսն լալպզին երե-  
սօք, հետեხաց տեսանել զտեղի կոխ-  
ման գարշապարաց մարմնացեալ Բա-  
նին Աստուծոյ յերուսաղէմի և երկը-  
պագանսլ սուրբ տեղեացն. ուր կացեալ  
են ոտք նորա՝ ըստ մարգարէին.  
յորում ճանապարհին բանասերուն ոչ  
սակաւ փորձութիւնս յարուցեալ. այն-  
կծուութիւն ի ծովու և ծփանս ի մէջ  
կոհակացն, ամսօրեայ ժամանակօք.  
որպէս Պօղոսին յատուրս այնան. յո-  
րոց զերծուցեալ Աստուծո և տարեալ  
հասոյց յիւր սուրբ տնօրէնութեան տե-  
ղեացն տեսումն... [86 Ը.] Յետ երկուց  
ամաց առեալ զնիւթ թղթի ի Իսամա-  
կուսէ և եկն խաղաղութեամբ առ մեզ:  
Եւ թախանձեալ զհոգի իմ առ ի փա-  
խագմանն կատարումն գրել զէյասատ-  
կարան մատենից բոլոր տարոյն. որ է  
ի բանից աստուածաշունչ ստոից յար-  
մարեալ ի հարցն սրբոց. շարժեալք ի  
հոգոյն, կարգեալ կերակուր հոգոց  
իւրաքանչիւր ատուր ըստ կարգի: Եւ  
իմ տեսեալ զլեզուսնսն սէր նորս. մա-  
նուսանդ հայեցեալ յաղքատութիւն ձե-

ვინმე მან უელ ხუცესი, შობით  
უკანასკნელი ეკლესიის ყრმათა [შო-  
რის], რომელმაც—თუმცა შეუძლო ასაკ-  
ში, მაგრამ მზინც ახალგაზრდის ნაკე-  
თისა და სახის მომწიფებისას—ბავ-  
შეობიდან ატარებდა რა გულმოუ-  
სვენრობას, შეიგნო გამოსავალი მწუ-  
ხარებისა, რისთვისაც ამ საქმიანო-  
ბამლის დაგვტოვა ჩვენ, თავისი მშობ-  
ლები და ძმები მტირალი სახით [და]  
გასწია, რათა ეხილა განხორციელებ-  
ული ღვთის სიტყვის ტერფთავან  
დათრგუნვილი ადგილი ერუსალემში  
და თავიანი ეცა წმიდა ადგილთათვის,  
სადაც მღვარა მისი ფეხები<sup>1</sup>, წინას-  
წარმეტყუელისამებრ. გზაზე მაც-  
თურმა არა მტირალი განსაცდელი  
აღუღვინა მას—ლეღვა ზღვარა და ხლა  
ზეირთებს შორის თვეობით, როგორც  
პავლეს შემოდგომის ჟამს, რომელთა-  
გან იხსნა ღმერთმა და წაიყვანა და  
მიღწეენა თავის წმინდა განკაცების  
ადგილთა სახილველად... ორი წლის  
შემდეგ წამოილო ქალაღლი დამასკო-  
დან და მოვიდა ჩვენთან მშვიდობით.  
შემეხეეწა მე, რათა წადიერებით აღ-  
მეწეერა ბლომოდის მთელი წლის წიგ-  
ნის მოსახსენებელი, რომელიც საღვ-  
თო წერილის ასოთა სიტყვათავან  
იყოს [გამოღებული], შეწყობილი წმინ-  
და მამებისას, სულისავან აღძრული  
და განკარგული საწარღო სულთათვის,  
თეითეული ღღისა წესისამებრო. მე  
რომ მისი მხურვალე სიყვარული ვიხილე

<sup>1</sup> ზღ. ვსაიი 60 11.





ქათან მსიყთე [87 v.] მსიყთე: ხე ღიისს  
 ქ თარასილასი სიძე. იუ ყითსილი ქმ  
 ალაშქლასიან ვქნე ბნანისი მსი ლე სიამ  
 ქმ წრეყსა თქ ეღრბანსიქ კასიყსიქ  
 ღიანს ზსილქსიანსიყთა თქნ ამისსიყთა  
 არათათლასიყთა თუ სთითლთბ ზოქს'  
 ქსიქსი ექსათიქ ქ მსი თიქრმლქსიამქ

შოკასიქიქ ღიანს ს ქ ზსილქსიანსიყ  
 მქმქი ებთაყისილ სიქს ექრქეჲ ქინიქ მს-  
 თამქ ზოლათთ ს ქსთქნს რანთათქრთაყ-  
 თათიყთა ბნთლნე სსქსიქსიქ შათ-  
 ქქთი მინთიქნა, ირ ქ ბსიქსიყსილ კარ-  
 ღანსილ ბნაყ თსიანსიქ ღასი ამსნაქს  
 ქქსთს ს აქლ რაიქლმ წაღს ეიქ იუ ექს-  
 ვსი: ზსილ თსიქქე ებთაყილქსიანს სთრს  
 სიქს ქ თსიქრქ იქსთს ზანსბათიყთაყ. ქსრ-  
 ქქრს სრეყსილქსიანს. ირ თქქამ ქიქქი  
 მსაქსი. ღნე ზსილქსილ სთსიქრ ზქსა-  
 რაყს მთქლანსილ სარათსილქსიანს. ირ ქ  
 რსიქრთიქ თსიანს ეთქსიქსაღს...

ფარვლის ქვეშ, რომელიც უფლის პირით იქო...

ხე კასიამ ადქთქიქ, ირ ქსიქიქ ასა-  
 წაღ ზსილ ქანს ექრქლ ექრთაყ, ყათათანს-  
 წაღ მსილ კასარ თანსილქსილ ქრქქს თან-  
 ყამ ქ ზიქს ჯარათქქ ადქს ქსიქრქ-  
 მანსაყ: მქ ქ ღიანს ქ ზრქილანს. მსი  
 ზიყს ზანსიქსილქსილ ზსილ ემსილ კასარ  
 ზარქსი. ს აყათ ეწითიქსილ აბქს ემთ-  
 თილანს ქ ბსილ ქმ[88 v.]ქს ს ღარბსილ  
 რსიქს ქ ქრანს მსიქ ღანსიქსილ ადქს  
 ქსაქსიარაყ. ს კასარ ზარქსი ქრქქს  
 ეთსიქრქ იქსთს. ს იუ ქსიქ ქ მარწმასიქ  
 რსიქქ მსაყ. რსიყ მქსიანს მსიქ ს იქრ-  
 რქლქსიანს:

ზსილ ქსთ აქიქ ამსნაქსიანსი ბქანსაყ  
 ს ქითიქლქსიანსიქ ს ასარქსი ქსაქსანს-  
 ბსაყ ემსილ აქრსიქსილ ირქქს მსიქ შათ-  
 სილქ ქსანსიანსიქ ს სთ ექრქლ ეთს იუ  
 ბქსი. აქლ ეთქსილ ჯაქსი. ეთრ ქსიქ იქსიქ  
 არქსი თოღსიქ მსიქ...

მოიწია ჩვენზე ჩვენი ცოდვებისათვის.  
 ჯერ კიდევ უმწეოდ ვართ და არ ვი-  
 ცით, თუ რას გვიშობს ჩვენ მომავა-  
 ლი და ან როგორ გადავეურჩებთ ასეთ  
 მწარე გაქირვებას. ყველას ცრემლ-  
 მწთოლვარე თვალი ღმერთის მისჩერე-  
 ბია, იქნებ მოგუხედოს ჩვენ მოწყა-  
 ლებით.

ასეთნაირ სიმწარესა და გაქირვე-  
 ბაში დაიწერა ეს წიგნი ჩემი ხელით,  
 უმცირესისა და უქანასკნელის სიტყვის-  
 მოყვარისაგან, ეკლესიის საპყარისაგან  
 შობით, მათგოს მონაზვნისაგან, რო-  
 მელიც დავიბადე მოხუცებულის სა-  
 შოსაგან, რათა მენახა ყველა ეს ქი-  
 რი და სხვა მრავალი საღმობა, რაც  
 აღარ დაეწერე. ხოლო ამის აღწე-  
 რის აღვლილი განძასარის წმიდა სა-  
 ვანე იყო, არცახის ქვეყანაში, რომელ-  
 საც აბლა ხაჩენი ეწოდებდა, იოანე  
 წინამორბედის წმინდა ნეშტთა სა-

ამ განსაცდელთაგან, რომლებიც ზე-  
 მოთ ითქვა, შეგვემთხვა ჩვენ წიგნის  
 დაწერამდის რომ ჩავვარდნილიყავით  
 ტატებაში ორჯერ იმავე ბოროტის  
 მოყვარე თურქმანთა ტომისაგან. შირ-  
 ვანს წასვლისას ჩვენ შევხვდით მათ.  
 ჯერ იეზარ გვეყეს და მერმე წა-  
 ვიღენენ და დაასხეს თითონი იქედ-  
 ნეთა ხერგლს და კვლავ მოიყვანეს  
 ჩვენ კარავს უსჯულო ტომი თათრე-  
 ბისა. ორგზის იეზარ ყვეს წმინდა სა-  
 ვანე და აღარაფერი დარჩა ხორციელ-  
 ლი ქონებისაგან ჩვენსა და სიწმინდეს  
 გარდა.

ხოლო ყველა ამ ღელვისა, არეუ-  
 ლობისა და ძარცვის შემდეგ გვევედრა  
 ჩვენ ჩვენი საყვარელი შეილი მანუელ  
 ხუცესი და მოგვეცა დასაწერად ეს, არა  
 უფასოდ, არამედ ყველაფერი, რაც ქი-  
 რამ ჰქონდა, წინა დაგვიღვა ჩვენ...

*Արդ ազաչն գամնսხსան. որք հան-  
դիպქբ აյამ ասთიւածագարք բուրաս-  
տանիւ. օրինակելով և ընթերցմամբ և  
կամ սոսկ սնտութեամբ. յիշեալք ի  
մաքրափ[այլ] սոյօթիս ձեր գատացոյ  
սորին...*

*Յետ ամնսցուն ժտեմ և ես... [88 v.]...  
յետին ի բանասիրաց և կրտսր յորդիս  
եկեղեցոյ Մատթէոս մինոզոնս, որ բա-  
զում տարապանօք դեցեի ըստ իմում  
կարի... ըստ մյուրեալ մտաց իմց ան-  
ցուցի գհարկ գրեկացս, ոչ հստակ  
ձեռն և արհեստագրչութիւնսն. այլ  
միայն ճմարտութեան և ուղղութեան...  
լեզուքն, ինչպէս յիշուցանուցիս...*

Մատթէոսը, որոգործ տղիտն արա Երտեղ աճնիճնաց տալի Մեսաքն Յե-  
մորա մոպանիլ անճրճի, մոնաճոն չոփոլա գանճարիս ժմոնիս. գանճարի  
յի, որոգործ տղիտոնք գանճարտաց, ալճանտիսա — «արճանի յքքչանաճի, ար-  
մելիսալ անա ճաճնի ԵՄճոլեճոա». Իցի տալի տալի իտքիցի-մոպարալ (բանասիր),  
Ե. Ի. մոյցնոճարի, իճալլուլ Եճանի; մոյքճոլեճիտ չոքքելտիցի — «լոյքիցի  
Ե. Մանանքելոա». Բորոգործ անճրճիճանա Ե մի ճիգր ալլոյրիլի (գաճարակ)  
Միցնոլճան Գան, մարտոլ Իցի Իմ ճրոնիստիցի իճալլոլ գանտոլեճուլի ճիլի չո-  
փոլա. Իմ միլոլ Մոլլոլմնքելի Իցի տալի ճրոնիստիցի ար ճարհնիլա. մա Մոլլ-  
ճեգնոլրալ Ինքնիցն տոմա մոլլոլտելի տալի իտրոնիսմի<sup>1</sup>.

*«Եւ էին իրեք, յաշակերտաց (Գրիգորի Տաթևացոյ) յայլ տե-  
րիս. Մատթէոս Ուկիոցի սուրբ ուկտին Դանաասարայ, Մկրտիչ ի  
Փայասկարանէ, Մակիանոս ի Քաւրիզի.»* ([գրոգոլ ճատքելիս]  
մոլլոլտելոլալ իմնի Իլլոլն Ինքա ճգոլլոլեճի: մատոլ Մտքելի գանճա-  
րիս Մննճա ինանիս, մարտիլ Իլլոլտարանիլոլն [Ե] իտքանոլ տա-  
րոնիլոլն...)

Տալլոլիսմո Իմ ճնոմաճի իսա, Բոմ մատոլ Մտքելի, գանճարիս ինանի  
Մարի, Բալ Գքն անճրճիս Ետրոնի մատոլ, մոնաճոն Գգոնիս, ճնոճիլի  
գրոգոլ ճատքելիս (1340—1411) մոլլոլտել արիս գամոպանիլի. արիլոլ, իտք-  
իցի-մոպարալոլա մատոլս գարքքել իլոլաճի Ե իլլոլ ճիլճալ ճնոճիլի մա-  
Մալլոլեճիս իլլոլտալ Մոլլոլլիցիլի.

մատոլիս անճրճիլոլն Գան, Բոմ միստիցի իլլոլլոլլիս Միցնիս ալլոլրա (Ե. Ի.  
Մեղճեյա) Մոլլոլլոլլիս ճիլլոլ մանլոլ իլլոլլոլ, Բոմլոլլալ իլլոլլոլլոլն Իլլոլնճալ  
ճիլլոլնա գալլալլոլլոլլ իլլոլլոլլալլոլն Ե միլլոլլիլա իլլոլլալլոլլի, Բալ կլլոլլոլլ Մե-  
լլոլլոլլոլլոլլ. ճաճրլլոլլիս ճամալլոլլ Մոլլոլլոլլ ճիլլալլոլլ Ե իլլոլլոլլի ինքն-

<sup>1</sup> Իմա մոլլոլտելի, Գճ. 21.

რის (ანუ სახსრის) გაღებით დაუწერინებია მათეოსისათვის ზემოთხსენებული ანდერძდართული წიგნი, რომელიც, როგორც ერთხელ აღვნიშნეთ, „საწელიწდოს“ წარმოადგენს. მათეოსს დაეღება მიუღია და თავისი შრომა 1417 წ. დაუმთავრებია, ალვანთა კათალიკოსის კარაპეტის მამამთავრობის დროს.

ამ ჩვეულებრივ მომენტებს გარდა მათეოს განძასაჩელის საკმაოდ დიდი მოცულობის ანდერძი ისტორიისათვის საინტერესო სხვა უფრო არსებითსაც შეიცავს. ესენი არა მარტო ალვანეთს, არამედ საქართველოსაც შეეხებიან. აქ მოცემული სურათი ანდერძის დაწერის წინათ, ახლო წარსულში მომხდარ ამბებს აღბეჭდავს, ე. ი. XV ს-ის დამდეგისას (1417 წლამდის).

ამ დროს, მათეოსის თქმით, ქრისტიანთა შორის ალვანეთს უმთავრობება (*მსჩქსანიქჩან*) სუფევდა. არცახს ბურთელის (ორბელიანის) სახლის ნაშიერი სუმბატი საქართველოს გადაიხვეწა, სადაც მოკვდა კიდეცაო. დარჩენია ორი შვილი, რომლებიც შემდეგ დაბრუნებულან სამშობლოში. ახლა ისინი არა უფალნი. არამედ უსჯულოთა ქვეშევრდომნი არიანო. რად იელტოდა სუმბატი საქართველოში, არაფერია ნათქვამი ანდერძში.

[სუმბატის შვილების სახელები ანდერძში არაა დასახელებული, მაგრამ თომა მეწოფელის ისტორიის თანახმად, ერთი თურმე ბეშქენად იწოდებოდა და მეორე შაჰად. ბეშქენი, მეწოფელის თქმით, ალექსანდრე დიდის სიმამრი ყოფილა, რომელიც შესმენით მოუკვლევინებია სიძეს. მისივე ცნობით ბეშქენს სიციხლეში ალექსანდრე მეფისაგან ლორის ციხე მიუღია, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ მის ძმას, შაჰს, თურმე, როგორც მხდალს, აღარ უძებნია მამული მხარე<sup>1</sup>. რომელ მამულზეა აქ საუბარი, ხაჩენისა თუ ლორისაზე, არა ჩანს. თუ ლორისაზეა, ხომ არა გვაქვს აქ მაშინ იმ ბრძოლის გაგრძელების სურათი, რომელიც ორ ფეოდალურ საგვარეულოს შორის არსებობდა!<sup>2</sup>].

სუმბატისა და მის შვილების გარდა ანდერძში ხაჩენს მოხსენებულია კიდევ ვილაც კეთილმსახური ოჯახი ზაზასი. ალბათ, ესეც ფეოდალური საგვარეულოს წევრთაგანია. მის გვარისაგან გადარჩენილად ასახელებს აგრეთვე ვინმე ჯალალს, ძმებით—ელეგუმითა და ელევანით, ზაზას შვილებთან ერთად. არლუთესა და ჯალალადაელესთან. ყველა უსჯულოთა ქვეშევრდომია და ამრიგად „სომეხთა სახლი“ მთავრობას მოკლებულია.

თავისი კუთხის სამთავრო სახლის შესახებ ცნობებს გარდა მათეოსი ალვანეთის სხვა სამთავროსა და საქართველოს სამეფოს შესახებაც იძლევა ცნობებს ყარა-იუსუფის ლაშქრობასთან დაკავშირებით. ყარა-იუსუფმა რომ ლანგთემურის შვილებთანა და აჰმად ხანთან ბრძოლები გადაიხადა, გამარჯვებული შირვანის ამირას დასასჯელად წამოვიდა, რომელიც მაშინ გამღვარი იყო. უკანასკნელად იგი და მასთან ერთად სხვებიც ხელთ იგდო. მათ შორის იყო აგრეთვე ქართველი მეფეც კოსტანტინე, რომელიც შირვანის მთავრის დასახმარებლად მოსულიყო და რომელიც ყარა-იუსუფმა მოკლაო.

<sup>1</sup> თომა მეწოფელი, გვ. 24—26.

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი, ვიზუალი ფეოდალურ საგვარეულოთა სამაჟლო ბრძოლიდან XIII საუკუნის საქართველოში (თბილისის სახელ. უნივერს. შრომები, VII, 1938, გვ. 189—220).

კოსტანტინე, ალექსანდრე დიდის მამა, როგორც ეს პირველად აკად. ივ. ჯავახიშვილი<sup>1</sup> გამოარკვია<sup>1</sup>, მართლაც ქართული წყაროების ცნობითაც ყარა-იუსუფის ხელში ჩაეპარდნა თავისი ლაშქრით და მასთან ერთად მომწყურა<sup>2</sup>. ორიოდ სიტყვითაა ეს ამბავი გადმოცემული „ქართლის ცხოვრების“ პირველი გამგრძელბლის მიერ:

„დაჯდა მეფედ ძე ბაგრატიას კოსტანტინე და იმეფა შვიდ წელ და მოკლეს ჩალაღას“<sup>3</sup>.

ევახუშტის ისტორიით კოსტანტინე ხონთქარის მიერ წარმოგზავნილ ლაშქართან ბრძოლაში მოიკლა:

„მოიკლა მათგან მუნ ბრძოლასა შინა თურქთაგან წელსა 1414, ქართულსა 102-სა“-ო<sup>4</sup>.

მათეოს განძასარელის ცნობით, როგორც ენახეთ, კოსტანტინე, შირვანის ამირას დასახმარებლად მისული, მოკლულა ყარა-იუსუფის ერთ-ერთი შემოსევის დროს. ჩალაღაც, ამდენად, რომლის ადგილსამყოფელო დღემდის უცნობია, შირვანის მიწა-წყალს არის საძებელი.

„ქართლის ცხოვრების“ პირველი გამგრძელბლის ცნობას, მაშასადამე, მათეოს განძასარელის ანდერძის სახით, დამადასტურებელი სხვა წყარო აღმოუჩნდა. იგი ახლა უკვე შეგჯერებულია უცხო წყაროსთან. უკანასკნელი ავსებს ქართულს არა მარტო იმით, რომ გვიჩვენებს კოსტანტინეს მოკვლის ადგილს, არამედ იმითაც, რომ აღნიშნავს, თუ რისთვის მოიკლა იგი.

ტფილის, 1938. 12—XII.

<sup>1</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტორია, წიგნი IV, 1923 („ჩვენი გეგნიერება“ № 4—5), გვ. 72—73.

<sup>2</sup> ib., გვ. 78.

<sup>3</sup> „ქართლის ცხოვრება“, მარიამ დედოფლისეული, გვ. 887.

<sup>4</sup> ეახუშტი, საქართველოს ისტორია, გამოც. დ. ზ. ბაქრაძისა, ნაწ. I, ტფ. 1885.

## სტუდენტთა ორგანიზაციის ისტორიის ერთი ცნობის განმარტების გარშემო

საქართველოს ისტორიის შესახებ მრავალი საყურადღებო ცნობა დაუთავს სომხურ ძველ საისტორიო მწერლობას, რომელიც მეტად მდიდარია წარსულის მომთხრობი ძეგლების მხრით. ეს ცნობები ძვირფას წყაროს წარმოადგენს საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის ისტორიის გასათვალისწინებლად. განსაკუთრებით უხვია ცნობები XI—XIII სს-ის ისტორიკოსებთან, და ეს იმიტომ, რომ ამ ხანაში საქართველოსა და სომხეთს შორის მეტად მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა. ამ დროს სომხეთის უდიდესი ნაწილი საქართველოს სახელმწიფოებრივ ფარგლებში მოექცა და ამით ეს ორი მეზობელი ხალხი ერთმანეთის კირისა და ლხინის მოზიარენი შეიქმნენ. საქართველოსა და სომხეთს შორის დაფუძნებული ურთიერთობის ხასიათის გარკვევა პოლიტიკურს, ეკონომიურსა თუ კულტურის სფეროში უდავოდ საპატიო ამოცანაა როგორც ქართველოლოგიისათვის, ისე არმენოლოგიისათვის.

ურთიერთობის გარკვეული სფეროს ერთ-ერთი წინათ შენიშნული მოვლენის ახლებური გაშუქება ჰქონია მიზნად პროფ. მელიქსეთ-ბეგსაც თავისი წერილით: *Մի վկայութիւն գերագոյն դատաւարութեան և դատաւարութեան մասին Ջաֆարյան Հայաստանում* (По поводу одного свидетельства об устроитве и процессе высшего суда в Захаридской Армении<sup>1</sup>), რომელიც დაბეჭდილია სომხეთის ს. ს. რ. მეცნიერებათა აკადემიის *Տնօրէնագիրք*-ში 1945 წ. (№ 3—4, გვ. 73—81). ეს ნაშრომი მისმა ავტორმა გასულ, 1947 წელსაც გაიმეორა მოხსენებლად [„სტ. ორბელიანის (XIII-ს.) ისტორიაში უხედავს სასჯაეროს შესახებ დაცული იშვიათი ცნობის განმარტებისათვის“] სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიაზე (29. X—3. XI), რომლის თეზისებს შორის პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის მოხსენების თეზისებიცაა მოთავსებული (გვ. 14—16). ნაშრომის სათაურში მოხაზული მიზნისათვის ის ეყრდნობა სტუდენტთა ორბელიანის ისტორიის 64-ესა და 65-ე თავებს, სადაც მოთხრობილია ნორაევანის ჯერის გარშემო ამტყდარი ცილობის ამბები და მის გადასაწყვეტად ჩატარებული ღონისძიება.

<sup>1</sup> ავტორისავე თარგმანი, რომელიც ნაშრომზე დართულ ვრცელ რუსულ რეზუმეს აქვს სათაურად.

სტეფანოს ორბელიანის ამ ცნობამ ყველაზე უწინარეს მიიპყრო ყურადღება აკად. ივ. ჯავახიშვილისა, რომელმაც ის დასახა, როგორც თამარის დროინდელი საქართველოს პოლიტიკის ერთ-ერთი ნიმუში სახელმწიფოს ფარგლებში შემომავალი სხვადასხვა აღსარების ხალხისადმი, ხოლო თვით სამართლის წარმოება მიიჩნია, როგორც „რთული დავის გადასაწყვეტად ერთი მეტად იშვიათი და იმ დროისათვის გასაოცარი საშუალება“<sup>1</sup>. ეს „დავა — აკად. ივ. ჯავახიშვილის თქმით — ორ სომეხთა ეპისკოპოსს შორის იყო ატეხილ ძვირჯასი ჯვარის საკუთრების გამო, რომელსაც ორივენი ერთიმეორეს ეცილებოდნენ“<sup>2</sup>.

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს ამავე ცნობის ანალიზის შედეგად გამოაქვს ისეთი დასკვნები, რომლებიც უწინააღმდეგება აკად. ივ. ჯავახიშვილის ზემორე მოყვანულ დაფასებას. ეს, რასაკვირველია, გასაოცარი არ არის (რომელიმე მოვლენის გარშემო შეიძლება ორი კი არა, მეტი აზრიც არსებობდეს), მაგრამ საკვირველი ისაა, რომ მის მიერ დახატული სურათი თითქოს საქმის ნამდვილი ვითარებისა, გაუგებრობაზე აღმოცენებული. ჩვენი გამოძიებების მიზანი სწორედ ის არის, რომ გაათანტოს ეს გაუგებრობა და აღადგინოს ისევე სწორი შეხედულება, მაგრამ, სანამ ამას მივუძვოდეთ ხელს, მოვიყვანთ დედანში იმ საბუთს, რომელიც პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს მოჰყავს, და გვერდით დავურთავთ ქართულ თარგმანს.

[64]

ამ თავის დასაწყისში აღწერილია ის, თუ როგორ მოვიდა სიენიეთის მხრიდან ვაიოც ძორს, ნორავეანის უდაბნოს დასამკვიდრებლად სასწაულ-მოქმედი ოვანე; როგორ მოუპოვა მან ნორავეანს ადგილ-მამული...

*სა აკაყაყს კეცხაქ რაჟიამ აამა<sup>1</sup>  
ქაქანანაქ ი ქიოქნ ჩაკიე 663:*

*სა ააკა... სქს თქრ შთხიან-  
ნთა ჯიორჩაკარქნ, ირ ს ჭაქარქმანს  
კიოცხაქ კსქარქქქნ, ს რნაკცხაქ ი  
თიქრ იქსთნ სირაქმანქ. ჟქ ჩქნ  
აქიონ ახრჩაქ ქრ ს ააკაყანხაქ.  
ს ჩაკი იორქნ თქრ ზრქიქრ ანქნ  
ქაკიქ ი ქქრქნ ს. ჩასითათსაქ ჟსა  
თიონ აქიოქ ხაქსიკიოქიოქქსან<sup>2</sup>  
თიონი ქარქმან ს სქქქქ ქმხს ოქს-  
რქქქნ ქსანს ქქნასქსა აკიქრ... ოაკა*

ესრე იცხოვრა მრავალი წელი და აღესრულა სომეხთა წელთაღრიცხვის 663-ს.

მერმე... მოვიდა უფალი სტეფანოს მადლით შემკული, რომელსაც ფახრლმსეპი ეწოდა ათაბაგისაგან, და დაემკვიდრა ნორავეანის წმიდა ძმობას [ან: მონასტერს], რადგანაც ძველი საყდარი აობრებულ და წამბდარი იყო; მამა მისიც უფალი გრიგოლი იქვე იდგა სამარეს. დაამტკიცა ის საეპისკოპოსო საყდრის სახლად, აიღო ფარმანი და სიგელი დიდი ათაბაგისაგან<sup>3</sup> ამ ხედ-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი II, თბილისი 1929 წ., გვ. 479—80.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 480.

<sup>3</sup> იგულისხმება: ელდოგუზი.

ცხენელ რაგვიან ამა<sup>5</sup> ქაქონანის ანუღს, ლ დნს რნფ ზორ ხლომ ჩ 665 მთლ-  
კანხს;

სლ კაჭორღტ ვახიღს თტრ შარ-  
ღის ორ მარტორთაფაანს ქერილაღტამ  
შა თლ ღხნოფ სორქს (ქანს შთხ-  
ქანხნოხტ) ხღს ხექსლიყოთ, ლ რნა-  
ღტრ ს ზორაქანს; სლ ღრ თხანს შთხ-  
ქანხნოხტ ხოჯალ ვრალაკან ვაა-  
თოლბამოლქ სოლრ ზუანს, ვატტ  
მთქანხსჩაქ ვალაღ ქაჯნ, ლ ვქტ-  
ქხიჯსაკაჯნ ლ ვქამარაკაჯნ... თლ  
ხექსლიყოთ მქ ქსბოყაქ ქანს, ქ  
ზანაკოფს, ვხორთი ანთი; ღორ ლ  
ქამაჯხელ კოღმსაკაქტ აქამ<sup>5</sup> კოღმანგ  
ქასაკოქ ქქანს<sup>5</sup> ზორ ვოთუქ, თლ-  
ბოლ რონარარ ვტრქა ვაქა სათოლ-  
ბოჯხელ სოლრ ზუანს. ლ თორხელ ვა-  
ლაღ ქაჯნ რნბაქტ აქარტქტს რქა-  
ნტქ, ლ ვტრქოლს... თორხელ ḡნტ ქლ-  
რომ ქანხს ქ ღხჯაოლს ოლქოთ;  
საკა ქ 665 მთლკანხს მქსჯ კაქრ  
აქარტქს რქანს ქ ქსარ (ყაკა-  
როლმ) ქ ქსრეაქ ვტრქოქ ორ ღარტჯნ  
ხოქტ, ḡნაქ თტრ შარღქა რამანსა  
ლ ვროქ ვხოლქს ხლოქ თტრ შთხ-  
ქანხნოხტ თოჯტ ሲქარტქტს ქ ქან-  
ღქრ სათოლბტნქალ სოლრ ქაჯქს...  
ლ ქაჯნ კაქრ ქ აქანხთოქ ქ ვღტნ-  
ბანანგს;

მანრქმან თონსნ ვსაქსლი-  
ყოთ ሲქარტქტს ლ მათოლგანსნ ვტრ-  
რტს. ლ ქნჯხანგ მხბაყსა ზოქ კან-  
ბქნ კაქხელ ღანაფქს ქაქტს იქს-  
რხანს. ლ რაღომ ḡანბა ბასხსელ ქ  
მხბამხბა ლ ქ ნსტტქს ქორტოქ-  
კანხს; რარხაკაქთ ሲქარტქტ 500  
ḡანსკანსქ ღაქო რნბაქტ, ლ თღსრ  
ሲქარტქტს 500 ḡანსკანს კარქოქ  
კაქნოლკანს ოსკოქ, ლ აქანყსა ქტრ  
ḡნოქ თონხლოქ ḡანსყალ ḡქოთ სო-

რისათვის [ვ. ო. ეპარქიისათვის]... მტრმე  
იკოცხლა მრავალი წელი, აღესრულა  
იქვე და დაიდვა მამა მისთან 665 [ვ. ო.  
1216] წელს.

იქერს მის ადგილს უფალი სარგისი,  
რომელიც იწამა ერუსალემს. ეს მის  
[ვ. ო. სტეფანოსის] სიკოცხლეში გახ-  
და ეპისკოპოსი და მკვიდრობდა ნორა-  
ვანს. უფალ სტეფანოსს დაედვა გიორ-  
ოდ ღმერთშეხებული წმინდა ნიში [ვ. ო.  
ჯვარი], — უფალი ოვანეს მთავარი [ვ. ო.  
დიდი] ჯვარი, — მოვარაყებული [ვ. ო.  
ლითონის ფურცელგადაქრული] და კამ-  
ბარაშეკრული... ერთი ეპისკოპოსისათვის  
აწოპის სავანეს, შაპაპონს, სახელად  
პეტროსისთვის. ეს შეიტყო ამ მხარე-  
ების ქვეყნის მპყრობელმა ვასაკ მთა-  
ვარმა, პაროშის მამამ, და წაართვა  
ძალით ეს სამი საღვთო წმინდა ნიში  
[ვ. ო. ჯვარი]. წაილო მთავარი ჯვარი  
და მიართვა ივანე ათაბაგს, ხოლო ორი  
(სხვა) დადვა თავის სავანეს, კეჩარუს  
მონასტერში. მტრმე 665 [ვ. ო. 1216]  
წელს, როცა ივანე ათაბაგს მოეცვა  
ციხე, რომელსაც ჩარეკი ეწოდება,  
მივიდა უფალი სარგისი ბრძანებითა  
და წერილით ბიძა მისისა, უფალი სტე-  
ფანოსისა, ათაბაგთან, რომ მოეძიოს  
ღმრთის მტვითელი წმინდა ჯვარი...  
ხოლო ჯვარი იყო საცავს პღტნბა-  
პანქში.

წარუღვენენ ათაბაგს ეპისკოპოსს და  
მიართმევნ წერილს. თავს იღვეს თი-  
თონვე დიდი ზრუნვა და იღვაწეს ეხს-  
ნათ ტყვექმნილი. დიდძალი საფანგ  
წარაგეს დიდებულგბსა და შინაგან  
მზრატველგბზე [ვ. ო. მრჩველგბზე]. კე-  
თილმსახურმა ლიპარტმა 500 დრაპკა-  
ნის ოღენი შესწირა [ან: მიართვა],  
ხოლო ათაბაგის ძღვენად — 500 წითელი  
დრაპკანი პატროსანი ოქრო. და ესრე  
თითქოს თასის მიღებით სათნოდ მიიჩ-

რა ფარბოცხანს ანგრენს; მკაცრ-  
მამაც კოხელ ვსაქსიოციონს და ფნტ  
ყაქანას ზამს და ასქ; ესქ; ოფ ღამქ  
ფურქოქ ზუანსქს ანგრენს ფანასქს;  
თავც ქარქს ფცხერქა ფაკო ქ ობოა  
ქმ, და ხე თამ ფნა ქ ობოაფ, აყა  
ქქ ოქ ფანასა ოლსანქს... ღრამამქ  
ასაფ ოქსნასალარქს ქლქოქ იქლანსქს  
მანასაფრქ ანთონ ფნალ ონოქ თხანონ  
შარფქს და თალ ფსაქს ქნა ქ ოქონ-  
ღანანონს ოქლქონ. ორ და ათქამამქ  
ქათარქსიალ. ხლ ზორა ფნაყხალ  
ანთოქ ღსაქს ქნფოლქხამარ, და ან-  
ფსალ ფოლქმანასქქ ფაკქ, რასანქ ქ  
ზორაქანს ოქლქონ. და ონასქცილქს  
ანგრენს ფთლქოქ ზუანსქ. ორ და ხქთ  
ქქსნანასქლ ფცხიქს ქლქ თქრ შთ-  
ქანსთოქ, ფაკქ თოლქ ქ ფქსა ფ-  
რნალ ქსაქს ქ ქქაქართქ 1000 ფან-  
ქანს ღარქქ, ორქსა ასაყფაქს; ოსქ  
ქქქქქსაქსაქსაქს და ქამარქსაქსაქს  
მნაყქს ანგრენს ქ ოქსაქოქს;

ფურცელგადაქრული და ქამარაშქქრული

და მისმა გონებამ დაებრუნებინა იქვე.  
მერქმ ბრძანა მოეწვიათ ეპისქოპოსი და  
ლაუღვა მას პირობა და უთხრა: თუ  
იქსქმ ნებავს წმილა ნიში [ე. ო. ჯვარქს]  
იქვე დაბრუნება, მომცქს ზვალვე ეს  
ციხე [საუბარია ჩარქქქს ციხეზე] ჩემს  
ხელთ და მე მოგქცემ შენ ხელთ მას,  
ხოლო თუ არა — მიიქცივე ცალიერი...  
უბრძანა თავისი სამღიეროს უფროს  
მწიგნობარს, სახელად ონოფრქს, წასუ-  
ლიყო უფალ სარგისთან ერთად და მიე-  
ცა მისთვის ჯვარი პლნდაქანქს საე-  
ნეს, რაც მცისეე შესრულდა. იგი წავი-  
და, მიილო სიხარულით ჯვარი, გეგმარ-  
თა სასწრაფოდ და მიადწია ნორავანის  
ქმოზას [ე. ო. მონასქრქს]. დაამქვილა  
იქვე წმინდა ნიში [ე. ო. ჯვარქ]. ნახა,  
რომ აღსრულგებულიყო ზიძა მისი, უფა-  
ლი სტეფანოსი. მიეცა ფასად ლიბარი-  
ტისგან ტყევექმნილი ჯვარისათვის 1000  
წითელი დრახმანი, როგორც ეს ვთქვეთ.  
ხოლო მოეარაყებულ იქ. ო. ლითონის  
დარჩა იქვე კეჩარუს.

[65]

მა რადმერქსანსქ ხქქსიოციონ თქრ  
შარფქს, ქთ ქქანანსქს თხანონ შთ-  
ქანსთოქ ღამხეალ ღქსელ ხქსელსქს და  
რანქსაყთოლქსანსქ ფთლქოქ ოქლქონ. ხლ  
ქრ აქ ონქ ქხქს ობხალ ამარ, და ღამქრ  
ქქსელქწოლქლქ შქსნახექ შოქსანსქს  
ანთონს` ჩორქფორქქ თხანონ შთ-  
ქანსთოქ. და ხქქსელ ქქქქსამარ ობ-  
წაფქრქს ანოქ: ქსანს ოქ აქრქიქოქ ფნასქ-  
ოასქოქქქს და ობათოქმს სქსქსელქოქ ხქ-  
ქსანსქს ქ რაქრასქსთო თქრ შარფქს მ-  
ფოლ ფამსნასქს ქქსასქსს ქ თქრ შოქ-  
სანსქს, და ათონს ფქსაქოქ ზორ ფაღალოქ,

ამ ნეტარმა ეპისქოპოსმა, უფალმა  
სარგისმა, უფალი სტეფანოსის აღსრუ-  
ლების შემდეგ ინება აემენებინა ეკლესია  
და გამოერიიებინა [განეღებინა] წმინდა  
ქმოზა. იყო სხვა ვინემ, რომელიც მზარს  
უქქრდა მას და უნდოდა ყოფილიყო სიე-  
ნიეთის საყდრის მპურგებელი \*, სახელი  
ეოქვე იოვანე, (რომელიც იყო) უფალი  
სტეფანოსის მამის ქმისწული [ე. ო. ზიძა-  
შვილი]. წავილა [ის] ახთამარს და იქ  
მიილო ხელთდასწმა. რადგან არ უქვარ-  
და ეკლესიის ცილობა [ე. ო. წაკიღება]  
და განხეტქილება, მამათმთავართა შო-

\* მ. ბ. ო. ჯ. აქამდის ამ წინადადებას ასე თარგმნის: Or il avait un rival, un autre prétendant au siège épiscopal de Sainte (ხოლო მას ჰყავდა მ. ო. ე. ლე., სხვა პრეტენდენტი სიენიეთის საეპისქოპოსო საყდრისა), რაც სწორი არაა; ქხქს ობხალ ამარ მზარის დამქვერია და არა მოცილო (იბ. მინი: Histoire de la Sounte par Stéphannos Orbélian, SPB, 1846, p. 202).

გდანილც და ვსაჩწაღას სხაყლას  
 ძაღასნაღოტრს სრფო ნლქოტის ქლყო  
 სორაქასტე, და დაქან ქოღოლ ქ სო  
 ხლ დღესფხალ ქნან არ კაქოქრს  
 სკანფ თლქრ სოსათნღრს და არნოლ  
 სნაღასქ ქბრნაქ ნათათონ სანსაქ  
 თნქრ ჟაღამრ, და ქოღოქ ვრქარქა  
 კანს ქანს აქფე დაღათაფა...

თან, და მიიღო მისგან სამწყესო [ე. ი. ეპარქია] პირობით და ენციკლიკური ეპისტოლე

სას იწხს აეღამკ ქანს სოლქ  
 ქოქანს. და ვანს ხრქოქრს ხაქისკო  
 ჟოსან და სქაქარქონ და ირღქ ჯლ  
 ნქიქლიწნ ს ოათათონს არ არქარქქ  
 სქანსს ს სქიქს ხლ სორა სათოვხალ  
 ვამბომანთა სლქ, სრამაქქერ ვანსქ  
 ორკოღასქ და ვსარბოღანს, ვლქან  
 სქანს და ვსანსა წაღქს, ვამბ ქვან  
 ოქათქს არ სქხალ ჳრ ს ქაღათორ  
 ქსნს, ვბქანამღოღარს ქარბქოქ და  
 ვბქანამღოღარს ზინგანსსიქს და ვამბ  
 მამქარქარ სარქთქიქს, ვქაღავქნ  
 და ვსანსარქოვქნს და აქი რაღოღ  
 ოღოქოქლქ და ს, და ვღათქნ სქიქსაღ  
 და ვღათქნ სსოქ და ვღათქნ სქსაქ  
 და ვანთლანსქ ვბქან სოღრქარქოქ  
 რწქ ირფე და ვამბ ხაქისკოქონ  
 სსოქ და ვხაქისკოქონს სანსაქ  
 რათოქ. ირქ და ვანსხალ სქრკოღ  
 ვათხვანს აქოქანს სქს და ვბქანს  
 ვბქანს ვამქონსიქს ორქოქ ირქ  
 ვამხანსიქს სარქოღანსქ ოქ ჳ სოქ  
 ვანს, და ირქ სოქ ოღოქრქ  
 ვანს. და ირქ ოღოქრქ ხალ  
 ქანს, და ირქ ოღოქრქ ხალ  
 სქს და ვანსსიქს ორქოქ სქს  
 ოღოქრქ ხალ სქს ოქ სოქ ოღოქრქ  
 ხალ სქს ოქ სოქ ოღოქრქ ხალ

არქოქ ორქოქს აქოქარქს აქი  
 თანს სოქ და სოქონს სხაყლას  
 კოქიქ ძაღასნაღოტრს ქრაფ  
 ქაღათორქონს, თანს და სან  
 სან სან სხაყლას ხანს  
 ჳრ სქანსს, და ს სოქ  
 ვანს სქს ქოქარქონს  
 ს სოქ სარქოქს რაღოღ  
 ოღოქრქ სქს ს 1000 ოღანსქანს, სქ

რის ნეტარმა უფალმა სარგისმა დაუთ-  
 მო მთელი სანწყესო [ე. ი. ეპარქია]  
 უფალ იოვანეს და აიღო ვაიოც ძორის  
 ქვეყანა, ქანქოქი და ნახჯავანი  
 საქოქოქოქ სამეშქვიღრქოღ  
 თათონს წმინდა მონასტრისათონს  
 ნოქოვანისა, სოლო სხვა  
 დაუტოვა მას. წავიდა თვით  
 სომეხთა კათალიკოსთან,  
 უფალ კოსტანტინეს-ი. ეპარქია] მტკიცე  
 და დაურღვეველი ამ ქვეყნებისათვის...

იქმნა აგრეთვე შფოთი წმინდა  
 გერქონსათვის. წავიღნენ ორნივე  
 ეპისკოპოსნი, ლიპარიტი და მისი  
 შვილი ელიგუმბო სანს  
 ქვეყანოქ ივანე ათამგთან  
 დვინს. და მან დასხა  
 თათონს დიდებულეი —  
 ბუმბავი და მარწვანი, —  
 ივანე ტრელი და მეგნა  
 ჟაველი, დიდი ჳკონდიღელი,  
 რომელიც მოსულიყო  
 სამეფოდან, ვარძიის  
 წინამძღვარი და ჳკონძაქანქის  
 წინამძღვარი, დიდი მამთმთავარი  
 ვარქუსისა, ვაველი და  
 მანწამბერღელი, სხვა  
 აგრეთვე მრავალი დიდებულეი,  
 ტფილისის ყადი, ანისის  
 ყადი და დვინის ყადი,  
 სუმბარიის საბელოვანი  
 შინი, რომლებთან ერთად  
 (ოვენენ) ანისის დიდი  
 ეპისკოპოსი და აბატი  
 ეპისკოპოსი, და უბრძანა  
 ვამოქობით. ამით ვამოქობიქს  
 სანართალი და ვანსაქეს  
 ესრე, რომ იმვეღარსა და  
 ტყვექმნილს ერთი  
 აქეთ სანხ: ვინც მვეღარს  
 აღადგენს, აღარათა  
 მშობელთა შვილი, არამედ  
 ვანწამბელოვანს [ვანწამბელოვანსა]  
 (ის), და რომელიც ტყვექმნილს  
 დანსნის, აღარათა (ის)  
 იმიერიდან მფლოვანსა,  
 არამედ ტყვის მსწენელისა.

ესლა ამ ქვეყანასავით,  
 რომელიც მახვილითა და  
 ხელით არის აღებულეი და  
 საქართველოს სამეფოს  
 საქოქოქოქ სამეშქვიღრქოღ  
 იწოდებოქ, ის ვავარიც  
 საქოქოქოქოქ იყო ივანესი  
 და მისი მიცემის ვამო  
 ლიპარიტისა და უფალ  
 სარგისონსათვის მრავალი  
 წარსავებლით, 1000



[ე. ი. საეპისკოპოსო საჯდომი] აობრებული და წაზღარი იყო, და ეს ახალი სამკვიდრო აქცია საეპისკოპოსო სახლად; ერთმაცა და მეორემაც მოუპოვეს და დაუმტყიცეს ნორავანს მამულებით.

ისტორიკოსი საგანგებოდ ჩერდება სარგის ეპისკოპოსის მოღვაწეობაზე, კერძოდ აღნიშნავს მის ღვაწლს იმ მთავარი სიწმინდის (*გასათიასპომიქს იაქრ ზაას ჟაიქ მიქნანსჩიქ ჟაააჟ ქააჟ-ის*) დასაბრუნებლად, რომელიც სხვა ორთან ერთად სტეფანოს ეპისკოპოსს დაგირავებული ჰქონოდა აწოპის მონასტერში, შაჰაპონს, ვინმე პეტროს ეპისკოპოსთან, რომლისთვისაც ისინი ჩამოურთმევია ამ ქვეყნის მპყრობელს ვასაკ მთავარს, პროშის მამას, და პირველი უჩუქებია ივანე ათაბაგისათვის, ხოლო სხვები დაუსვენებია თავის სავანეში — კეჩარუს მონასტერში. ამ მთავარი ჯერის გამომხსნაში, რომელიც ივანე ათაბაგს პგლძაპანქის მონასტერს ჰქონია დაცული, ნიეთიერად დაჰმარებია სარგის ეპისკოპოსს იმ კუთხის მთავარიც (ლიპარიტ ორბელიანი), სადაც მისი მონასტერი მდებარეობდა. გამომხსნილი სასწაულმოქმედი ჯვარი სარგისმა და ლიპარიტმა დააბრუნეს და ნორავანს დაასვენესო.

მეორე თავში ვადმოცემულია ისტორია სარგის ეპისკოპოსის წამოწყებისა — აეშენებინა ახალი ეკლესია ნორავანს და ამით გამოეჩინებინა მონასტერი. ნახსენებია აქვე მისი თანამდგომიც ამ საქმეში, ვინმე იოანე, რომელსაც აზრად ჰქონია გამზღარიყო სიენიეთის საყდრის მპყრობელი, რისთვისაც მიიღია ბელთდასხმა ახთამარს მყოფი კათალიკოსისაგან. სარგისს, რადგან არ უუყვარდა მას ეკლესიის განხეთქილება და დავაო, დაუთმია იოანესთვის მისი ეპარქიიდან ადგილები და თავისი საეპისკოპოსო საყდრის თემი [ე. ი. ეპარქია] შემოუფარგლავს ვიოც ძორის, ნახჯავანისა და ჰაჰუკის კუთხებით. ამ ამბის შემდეგ მოგვითხრობს ისტორიკოსი — „იქმნა აგრეთვე შფოთი წმიდა ჯერისათვის და წავიდნენ ორნივე ეპისკოპოსნი, ლიპარიტი და მისი შვილი ელიგუმი სამსჯავროდ დეინს ივანე ათაბაგთან“ და ნაამბობია დაწერილებით ამ საქმის განკითხვა. დავის გადაწყვეტის შემდეგ სარგის ეპისკოპოსი ლიპარიტის ხელისშეწყობით სისრულეში მოიყვანს თავის განზრახვას და შერი წლის დიდი შრომის შემდეგ ამთავრებს ახალი ეკლესიის აშენებას, რომელსაც სტეფანე პირველმოწამის სახელი მიენიჭა.

სტეფანოს ორბელიანის ისტორიიდან მოყვანილი ადგილების ცნობაში მოხსენებული მომენტები და მათთან დაკავშირებული პირები, თუ საგნები, სხვაგანაც იხსენიება ამ ისტორიაში. ისინი აესებენ მათ შესახებ აქ აღნიშნულ ზოგიერთ მხარეს, ისე რომ მათ გარეშე მარტო მოყვანილ თავებში წარმოდგენილი რომელიმე სურათი სრული და გასაგები ყოველთვის ვერ იქნება. ასეთი დახმარე მასლა უპირველეს ყოვლისა დასახელებული თავების წინამორბედს, 63-ე თავში მოიპოვება.

ამ თავშიც აქვს ისტორიკოსს საუბარი ჩვენთვის საინტერესო ისეთი პირების შესახებ, როგორცაა ნორავანს მოსული ეპისკოპოსი სტეფანოსი. შესავსებლად იმ ცნობებისა, რომელთაც ზემოთ მოყვანილ თავებში ვხვდებით ამ პირის შესახებ, აქ ნათქვამია, რომ ის ათაბაგი, რომელმაც მას ფახრლმსეპი, ე. ი. ქრისტეს მოყვარული, უწოდა, იყო ელდიგუზიო. მას პატივისცემით ეპყრობოდ-

ნენ ქართველი მეფეებიც — თამარი და ლაშა გიორგი, — ისე როგორც ამათი ამირსპასალარი ზაქარია და მისი ძმა ივანე ათაბაგიო. ამას გარდა აღსანიშნავია ერთი მომენტიც. მოყვანილ ამონაწერებში ნორაენი ამ ეპისკოპოსისათვის იხსენიება როგორც ახალი სამკვიდრო, — „ძველი საყდარი აობრებული და წამხდარი იყო“. დამატებითი მასალით კი ირკვევა, რომ ეს აობრებულია ძველი საყდარი ტათევისაა, რომლის ეკლესიის განახლებისათვის ერთგვარი ზომები მასაც მიუღია, სახელდობრ მოციქულთა ეკლესიისათვის დაუდგამს გუმბათი.

ამრიგად, ყველა ცნობის მიხედვით ირკვევა, რომ სტეფანოს ეპისკოპოსი სხვათა მსგავსად ნორაენს შემოაჩიხვნია, რადგან მათი სამშობლო მხარე, სივნიეთის ერთ-ერთი კუთხე — ბალი — თურქ-სელჯუკთაგან აობრებულია. აქ მას ეს მონასტერი დაუმტკიცებია საეპისკოპოსო საყდრად, მოუპოვებია მისთვის ადგილ-მამული და შემოუხაზავს ეპარქია.

საკმაო მასალას ვხვდებით ისტორიის იმავე დასახელებულ თავში სტეფანოსის მემკვიდრის, სარგის ეპისკოპოსის შესახებ. სარგისის თანამედროვე და ერთხანს მისი თანამდგომი იოანე, მოწადინე სივნიეთის საყდრის პერობისა და ამისთვის ახთამარს მყოფი კათალიკოსის მიერ ეპისკოპოსად ხელთდასმული, ისტორიის ამ დამატებითი ადგილის მიხედვით ეწევა მიზანს, ე. ი. სივნიეთის საყდრის მპყრობელობას, და, როგორც იქაა ნათქვამი, ჯდება ტათევს.

მოყვანილი ამონაწერებიდანაც შეიძლება იმის ვარაუდი, რომ იოანე ეპისკოპოსის ცდა — ეპყრა სივნიეთის საყდარი, — გულისხმობდა ტათევის კათედრალის აღდგენას და ამასთან ერთად კვლავ ფეხზე წამოდგომას ეპარქიისა, რომელიც ერთხანს გარეშე მტრის შემოსევის გამო მოშლილი იყო, რაც, როგორც თხრობიდან ჩანს, ნორაენის წამოწევის საბაბი გამხდარა.

რა ურთიერთობა დამყარდა ძველისა და ახალი კათედრების შესაქვთა შორის ამ ახალ პირობებში, ამაზედაც პასუხს დასახელებულ დამატებით ადგილს ეპოულობთ.

*ბღ აჟა თქრ შარყჩა რნაქხტრ  
ქ ჭაიეჟ ბირ, ქ ზირაქანა მხნას-  
თანხ. ლ რატანხაქ ექქქმ ქქნასქჩნ  
ეჭაიეჟ ბირ რიქანოჟაქ აანიოქ აა.  
ღ დაქქნ ქიოქორ ქ თქრ მიქქანანტან  
ბღ კაქამ ლხოქ ლ აო კაქაჟ რასათა-  
ახეგაღ ლ აქნ იქსოთ აქიოთ ხექსიქი-  
აქიოქქხან. ექ ქრ სიოღ ლ თიქქ  
ააქათიანქი კანქნრან ქამანსაქქნ  
თანს შქანხაჟ, თიქქ ლანდათხანს ლ  
ქქქქმ ექრეჟამანაჟ რაქიოქ ხექსი-  
ქიოქსაჟ:*

და ეს უფალი სარგისი მკვიდრობდა ვაიოც ძორს, ნორაენის მონასტერს. და განყო თემი სამწყსოსი — ვაიოც ძორი მთლიანად ამან აიღო, ხოლო სხვა დაუტოვა უფალ იოანეს. ამიერიდან და მომავალშიც დამტკიცდა ეს ძმობა [ე. ი. მონასტერი] საეპისკოპოსო საყდრად, რადგანაც იყო სახლი და თავშესაფარებელი ადგილი სივნიეთის აობრების დროს, მრავალ ეპისკოპოსთა ადგილი მოსაყენებელი და სამარხი.

სხვა დამატებითი ცნობებს რომ მეტად აღარ გამოვეციდით, აშკარად ჩანს მოყვანილი მასალებიდანაც, რომ XII—XIII სს-ის მანძილზე შექმნილ პოლიტიკურ ვითარებათა გამო სივნიეთის ეკლესიის წიაღში წარმოქმნილა ახალი კათედ-

რალი ნორაევანის საეანის სახით, რომელიც ძველის, ე. ი. ტათევის აღდგენის შემდეგ გარკვეულ საზღვრებს შორის მაინც ცალკე დარჩენილა.

ძველი კათედრალისა და ეპარქიის აღდგენას ნორაევანის მესაქისათვის სრულიად უმტიკინეულოდ არ ჩაუვლია. ჯერ არის და, როგორც ჩანს, იოვანე ტათეველს ტერიტორიულად საზღვრის დადება მოუთხოვია სარგის ეპისკოპოსისაგან, რაც ნორაევანელს ერთგვარად, ნებისით თუ უნებლიეთ, დაუქმეყოფილეთა (ისტორიკოსის თქმით ნებისით, ვინაიდან შვედილობის მოყვარე იყო სარგის ეპისკოპოსი).

ძნელბედობის დროსვე სინიეთიდან, კერძოდ ტათევიდან გატანილი სიწმიდეების დაბრუნების საკითხიც, ბუნებრივია, უნდა წამოეჭრა იოვანე ტათეველს საზღვრებთან ერთად. და მართლაც შფოთი და უსიამოვნება ამითაც არ მოკლებოდა სარგისს. ამის გამოა სწორედ რომ ისტორიკოსი ნორაევანის საზღვრების ამბებს უშუალოდ მოაყოლებს წმიდა ჯერის გამო ატეხილ დავას შემდგომი სიტყვებით: *სას ჩჩჩ აყილქ ქსანს სილქ ქსაქჩნ...* (აგრეთვე იქმნა შფოთი წმიდა ჯერისათვის...). ამ სიტყვებიდან აშკარაა, რომ ჰქონია ადგილი სხვა შფოთსა და უსიამოვნებასაც, რომელიც, როგორც ენახეთ, საზღვრის დადებას შეეხებოდა ტათევისა და ნორაევანს შორის. განახლებული ტათევის მესაქე, იოვანე ეპისკოპოსი, ეპარქიის ფარგლების დადგენის შემდეგ, ცხადია, მოითხოვდა სარგის ნორაევანელისაგან სიწმიდეების დაბრუნებასაც, კერძოდ იმ *ასთისაშამილქ სილქ ზეჯან ფიქრ მიქსანჩჩქ ფაღაფ ქსაქჩნ*-ს (ღმერთწებებულ წმიდა ნიშს, ანუ ძელს, უფალ იოვანეს მთავარ ჯვარს), რომელიც სინიეთიდან ჩანს გატანილი<sup>1</sup> ვაიოც ძორს ქვეყნის აკლბის დროს. სარგის ეპისკოპოსი, როგორც ჩანს, არ თმობდა მას ლიპარიტ ორბელიანთან ერთად და ამის გამო მოცილე მხარეებს მიუძღრათვე ივანე ათაბაგისათვის. სიტყვებს: „იქმნა აგრეთვე შფოთი წმიდა ჯერისათვის“, უშუალოდ მოსდევს ფრაზა: „და წარვიდნენ ორნივე ეპისკოპოსნი, ლიპარიტი და მისი ძე ელიგუმი სანსჯავროდ ივანე ათაბაგთან დენსო“ (*და ფსანს ხეციქჩნ საქისიიყიფნ და სქაყარქარნ და ირქქ ქლქ ხქიქიამნ ქ რასთასთასან არა აქმარქქქ ჩქსანჩნ ქ ზქჩნ*). „ორნივე ეპისკოპოსნი“ ამ კონტექსტის თანახმად სხვა არაიენ არიან, თუ არ იოვანე ტათეველი და სარგის ნორაევანელი.

ასეთია ორბელიანის ისტორიის სხვადასხვა თავებში დაცული ცნობები ნორაევანის ჯერის გარშემო ატეხილი დავის შესახებ, რომელიც ივანე ათაბაგის კარს შენდგარი სამსჯავროს განხილვის საგნად იქცა.

შემორე მოტანილი ტექსტებიდან და მათი შემცველი თხზულების სხვა დამატებით მოხმობილი მასალიდან აშკარა სიციხადით ჩანს, რომ ნორაევანის ჯერის გარშემო ანტყდარი დავა ორ სონხეურ მონასტერსა და ორ სომეხ ეპისკოპოსს შეეხებოდა, როგორც ეს საძართლიანად აქვს შენიშ-

<sup>1</sup> გატანილი უნდა იყოს ტათევიდან, ვინაიდან სტეფანოს ორბელიანი თავისი ისტორიის VIII თავში იხსენებს ამ სასწაულმოქმედი ჯერის შექმნასა და მოკახშვას ტათევის ეპისკოპოსის, უფალ იოვანეს მიერ. ეს ჯვარი გამოიხსნეს სარგის ეპისკოპოსმა და ლიპარიტ ორბელიანმა ივანე ათაბაგისაგან, როგორც ეს მოთხრობილია ისტორიის 64-ე თავში.

ნული დასახელებული ცნობების საფუძველზე მათით ყველაზე უწინარეს დაინტერესებულ მკვლევარს, აკად. ივ. ჯავახიშვილს.

ამრიგად, პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის ბრალდება, რომ აქ „ქართულ ისტორიოგრაფიაში დაშვებული მცდარი ინტერპრეტაცია“ იყოს, უსაფუძველოა.

ვინ ეცილება ერთმანეთს დასახელებული სიწმიდისათვის? ზემომოყვანილი ჩვენი ანალიზის მიხედვით ერთმანეთს ეცილებიან ნორაევანი და ტათევი იოანე ტათეველისა და სარგის ნორაევანელის სახით, ორივე ანტიქალკედონიტ სომეხთა სავანე.

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის ქართულად დასტამბული თეზისებისა და სომხურად გამოქვეყნებული ნარკვევის მიხედვით კი დავა ატეხილა „არა სომეხთა მონასტრების შორის, არამედ ქალკედლიანთა და ანტიქალკედონიანთა სომეხთა შორის“, სახელდობრ ნორაევანსა (ანტიქალკედონიან სოფებთა სავანესა) და პელნიქანქს (ქალკედონიან სომეხთა სავანეს) შორის.

საიდან გააკეთა ასეთი დასკვნა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა? ეს ხომ სტეფანოს ორბელიანის ისტორიის არც ერთი ცნობიდან არ გამომდინარეობს და მით უმეტეს მის მიერ დასახელებული 64-ე და 65-ე თავებიდან?

საერთოდ, არა აქვს მართებულად გაგებული პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს მოხმობილი ადგილები და ცხადია. ანალიზის შედეგიც ასეთ ნიდაგზე ვერ იქნება დამაკმაყოფილებელი. ჩვენ მიერ თქმული რომ ლიტონ განცხადებად არაფერი მიიღოს, ამისათვის აქ წივიყიანთ ჯერ პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის ნაშრომიდან სათანადო ამონაწერს და მერმე წარმოვადგენთ ჩვენს საბუთებს, რომლებიც სრულიად საწინააღმდეგოს ლაღადებენ იმისა, რასაც შრომის ავტორი მოგვახსენებს.

თავისი ნარკვევის ერთ ადგილს პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი წერს: „საცილობელი სავანი იყო ლიპარიტის მიერ ნაგები ნორაევანის ესახელგანთქმულისა და დიდებული მონასტრის“ (sic<sup>1</sup>) კუთვნილი «დმრთის შემწყწინარებელი (თუ ღმერთშებებელი) წმიდა ნიში», ე. ი. ესაკირველმოქმედი ჯვარია», რომელიც ერთ დროს გირაოდ ყოფილა დადებულ ხსენებულ ვანქში (sic<sup>2</sup>), ხოლო 1216 წ. ვასაკ მთავარს, დაურღვევია რა პირობა (sic<sup>3</sup>), გამოუღია ფიკ იმ ადგილიდან (sic<sup>4</sup>) და უჩუქებია ივანე ათაბაგისათვის, რომელსაც ის დაუდევს ესაკეხს პელნიქანქსში (ან, როგორც ქართულად დასტამბულ თეზისებშია ნათქვამი, — დაუთმია პელნიქანქსისათვის). მოსარჩლის როლში გამოდის სტეფანოსი (sic<sup>5</sup>) და სარგისი, ნორაევანის ეპისკოპოსები, ლიპარიტი, სიციხეთის მთავარი, და მისი ძე ელიგუმე, მოპასუხის როლში კი პელნიქანქსი“ (sic<sup>6</sup>).

<sup>1</sup> ლიპარიტის ნაშენი ეკლესია დავის გადაწყვეტის შემდეგ აიგო მხოლოდ.

<sup>2</sup> ამაზე ცოტა ქვემოთ

<sup>3</sup> რომელ პირობაზეა საუბარი? ვასაკ პირობა არავისთან არა ჰქონია დადებული.

<sup>4</sup> ვასაკმა ეს სიწმინდეები აწოპიდან წაიღო და არა ნორაევანიდან.

<sup>5</sup> სამსჯავროში სტეფანოსი ვერ წადგებოდა რადგან მიცელილი იყო. ის ხომ ივანე ათაბაგისაგან დაბრუნებულ ჯვარს ნორაეხს ცხელი არ დახვედრიდა (იხ. ზემოთ გვ. 106. 6—19).

<sup>6</sup> *ლ. მელიქსეთ-ბეგის ანტიქალკედონიტ სომეხთა სავანის შესახებ*

როგორც ვხედავთ, აქ გადმოცემულია სტეფანოს ორბელიანის 64-ე თავში აღწერილი თხრობის ის ადგილი, რომელიც ზემოთ მოთავსებულია 105 გვ., 5 სტრიქონიდან — 31 სტრიქონამდის. ამ ადგილს ის კი არ არის ნათქვამი, „რომ აქ (ე. ი. ნორავენს) იყო ამვე მოსასტრის კუთვნილი ჯვარი დავირა-ვებული, არამედ ის, რომ ეს ჯვარი ნორავენს მოსულ სტეფანოს ეპისკოპოსს ჰქონდა დავირავებული ვინძე პეტროს ეპისკოპოსთან აწოპს, შაჰაპონის მხარეში. ნორავენს ვერ ხელჰყოფდა ვასაკ სიენიელი და ვერ ჩამოართმევდა სიწმიდეებს, იმიტომ რომ ეს ადგილი ლიპარიტ ორბელიანის სამთავროში შედიოდა. წმიდა ნიშები მან პეტროს ეპისკოპოსისაგან წაიღო (ერთი ივანე ათაბაგს აჩუქა, ხოლო ორი სხვა თავის სავანეში კეჩარუს დაასვენა), რადგან, როგორც სამართლიანად აღნიშნავს გარეგინ ოვსეფიანი<sup>1</sup>, შაჰაპონი ვასაკის საგამგებლოში უნდა ყოფილიყო შეშავალი.

მოსარჩლეზად სტეფანოსი და სარგის ეპისკოპოსები იყვნენ სიენეთის მთავარი ლიპარიტთან და მის შვილ ელიგუმთან ერთადო რომ აცხადებს პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, არც ეს არის სწორი. საქმე ისაა, რომ ნორავენს დამკვიდრებულ სტეფანოს ეპისკოპოსს მოსარჩლეზობა არაეის წინაშე არ გაუწევია. მას მხოლოდ, როგორც ეს არის აღწერილი ზემორე მოყვანილ ტექსტში (იხ. გვ. 105, 9—106, 22), იმ ჯვრის დასაბრუნებლად, რომელიც პეტროს ეპისკოპოსისათვის დაეგირავებინა, ხოლო უკანასკნელისათვის ვასაკ სიენიელს ჩამოერთმია და ივანე ათაბაგისათვის ეჩუქებინა, გაუგზავნია ათაბაგთან თავის სიცოცხლეში იქვე ეპისკოპოსად დადგენილი სარგის ეპისკოპოსი. ამას კი სტეფანოსის წერილობითი სათხოვარი გადაუტია ათაბაგისათვის და ნივთიერი შემწეობით ლიპარიტ ორბელიანისა, რომლის საგანგებლო ნორავენს ეკუთვნოდა, გამოუხსნა ეს სიწმიდე, რაც დასაცავად პლნძაპანქისათვის (ქალკედონიან სომეხთა მონასტრისათვის) ჩაებარებინა ივანე ათაბაგს. ივანე ათაბაგის განკარგულებით უბრუნდება ეს ჯვარი ნორავენს პლნძაპანქიდან და ამის მეტად ეს უკანასკნელი დოკუმენტში აღარსად იხსენიება. რად უნდა დასცილებოდა ეს მონასტერი ნორავენს, გაუგებარია. მას ივანე ათაბაგმა მიიბარა ჯვარი და, როდესაც მან საჭიროდ დაინახა, კიდევაც დააბრუნებინა ის, რომლის ნორავენს მოქცევის სტეფანოს ეპისკოპოსი ცოცხალი აღარ მოსწრებია. ამნაირად, დასახელებული ადგილიდან სრულიად არა ჩანს არც ვისიმე მოსარჩლეზობა და არც ვისიმე მოპასუხეობა.

დავა სიწმინდისათვის, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ (იხ. გვ. 111-112) სულ სხვა დროსა და პირობებში ჰდება. ლიპარიტთანა და მის შვილ ელიგუმთან ერთად, როგორც მოყვანილი დოკუმენტის სათანადო ადგილიდან ჩანს (იხ. 107, 9—108, 7), სამართლის განჩინებისათვის ივანე ათაბაგთან მიდიან მას შემდეგ, რაც ტათევის საეპისკოპოსო თემი ანუ ეპარქია იქმნა აღდგენილი, სარგის ეპისკოსი და მეორე ეპისკოპოსი, რომელიც, როგორც კონტექსტიდან და დამატებით

*ქოქიძის ძასის მკვლევან ჯაყათიანი. ლაკაკიან შიშ რუხილკაქე. 3—4, გვ. 75, ძესან, 1945.*

<sup>1</sup> *გარეგინ ოვსეფიანი, მადრიდის კამ რაიუნგ ლაიე ალამიქოს ძილ... ძასი 1, ლადილავთი 1927, გვ. 49.*

შობაშობილი ადგილიდან ჩანდა, იოანე ტათეველი, და არა სტეფანოს ეპისკოპოსი, ჯვრის დაბრუნებას რომ ველარც კი დაესწრო. ვერ მორიგდნენ ურთიერთ შორის დასახელებული ეპისკოპოსები და ამიტომ მიჰმართეს ქვეყნის განმგებელს, რომელმაც დავის განკითხვა მიანდო კომპეტენტურ პირებს, საქართველოს სახელმწიფოებრივ ფარგლებში შემაჯალ სხვადასხვა კულტის აღმსარებელთა და ზოგიერთ წარჩინებულ ქართველ და სომეხ საერო წრის წარმომადგენელთ.

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის ნარკვევში აღრვეას სხვა მხრითაც აქვს ადგილი. ასე, მაგალითად, სამსჯავროს მონაწილეთა შორის მას დასახელებული ჰყავს ონოფრე ჭყონდიდელი. ჭყონდიდელი მართლაც იღებდა მონაწილეობას საქმის განხილვაში, იგი ისტორიკოსთან იწოდება, როგორც *ჟამხ ზღასაღჩითქუნ, ირ ხხხაღ ჯრ ჰ მადაღორიქხუნჯუნ* (დიდი ჭყონდიდელი, რომელიც მოსული იყო სამეფოდან), მაგრამ რა ერქვა მას სახელად, დოკუმენტში დასახელებული არ არის. სტეფანოს ორბელიანის ცნობაში მოხსენებული ონოფრე კი (იხ. 106, 7-12) ჭყონდიდელი კი არაა, პრამედ, როგორც იქაა თქმული, იგია *ასაღ ბქხასაღაღ ჰღრქი ჟღასაღუნ* (მთავარი მწიგნობარი მისი დიენისა, ე. ი. სამდიენოსი). მისიო, აქ რომ არის აღნიშნული, ივანე ათაბაგს შეეხება მხოლოდ. თავისი სამდიენოს მთავარ მწიგნობარს, ონოფრეს, ივანემ უბრძანა გაჰყოლოდა ჯვრის დასახსნელად. მოსულ სარგის ეპისკოპოსს, გადაეცა მისი განკარგულება პლენძაპანქის ძმობისათვის, რათა უქანასენელს მიეცა სარგის ეპისკოპოსისათვის ათაბაგის მიერ იქ დასაცავად შენახული ჯვარი. ყველაფერი რომ თავი დაეანებოთ, უბრძანაო (*არამაქ*) გამოთქმას ისტორიკოსი ვერ იტყოდა დიდი ჭყონდიდლის მიმართ ივანეს მხრით.

ეხლა რომ შევაჯამოთ ყოველივე ზემოთქმული, მივიღებთ შემდეგ მთავარ დასკვნებს:

1. ივანე ათაბაგის მიერ მოწვეული სამსჯავროს განხილვის საგანს წარმოადგენდა ნორაგანის საეპიკრეველმოკმედი ჯვრის გარშემო ატეხილი ცილობა, — ეკუთვნის ის ნორაგანსა თუ ტათევს.

2. ჯვარს ეცილება ერთმანეთს ეს ორი ანტიქალკედონიტური სომხური მონასტერი იოვანე ტათეველისა და სარგის ნორაგანელის სახით.

3. არსიდან არა ჩანს, რომ ცილობა წარმოებდეს სომეხ ანტიქალკედონიტურ მონასტერს, ნორაგანსა, და ქალკედონიტურ მონასტერს, პლენძაპანქს, შორის. ამდენად მოსარჩლე-მოპასუხე მხარეებისა და პირების პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგისებური დასახელება მართებული არაა.

4. სამსჯავროს მონაწილე დიდი ჭყონდიდელი არ არის ონოფრე. ასეთი ვინმე ჭყონდიდელად ისტორიამ არ იცის. ისტორიკოსის ცნობით ონოფრე ივანე ათაბაგის სამდიენოს მთავარი მწიგნობარია. იგი სამსჯავროს მონაწილეთა შორის დასახელებული არაა.

სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ძველი ქართული ენის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1947. XII. 13).

## По поводу толкования одного свидетельства из истории Степаноса Орбеляна

### Резюме

В сочинении армянского историка Степаноса Орбеляна (XIII в.) рассказывается об одной святыне, чудотворном кресте, вокруг которого возникла тяжба; и для разрешения спорного вопроса пришлось Иване Мхаргрдзела, атабегу грузинского царского двора, созвать судилище в Двяне, в 1216 г. Свидетельство это, на которое раньше других обратил внимание акад. И. А. Джавахишвили, было использовано им как один из редких примеров, характеризующих политику Грузинского государства в дни царицы Тамары по отношению к тем народам, которые принадлежали к разным конфессиональным течениям, входившим в состав грузинского царства.

Новое толкование этого свидетельства, в противовес якобы „ошибочно укоренившейся интерпретации в грузинской историографии“, попытался осуществить в последние годы проф. Л. М. Меликсет-бег (см. его статью: „По поводу одного свидетельства об устройстве и процессе высшего суда в Захаридской Армении“ в органе АН Армянской ССР, на армянском языке. № 3—4, 1945, стр. стр. 73-81), что было доложено им и на научной сессии Тбилисского государственного университета им. Сталина в 1947 г. (29. X—3. XI. См. Тезисы и доклады, стр. 14-16).

Анализ доводов нового толкования проф. Л. М. Меликсет-бега и подробный разбор всех нужных мест из упомянутого источника привели автора настоящей статьи к тому, что попытка устранили якобы «ошибочно укоренившейся интерпретации в грузинской историографии» является неудачной, как в смысле понимания текста, так и в смысле исторической правдивости, что и не могло быть иначе, ибо этому мешали, во-первых, неправильное понимание привлеченных мест из истории Степаноса Орбеляна и, во-вторых, игнорирование полностью и других мест из того же источника, имеющих важное значение для уяснения действительной сущности дела.

Подробный же анализ всех этих мест уясняет, что:

1. Предметом созданного Иване атабегом судилища являлась тяжба между Нораванком и Татовом из-за чудотворного креста, которым одно время владел Татов, но после разорения этой области сельджуками, как выясняется, был вывезен в Вайоц-дзор, откуда он в конце концов поступил в Нораванк. По восстановлении Татовской епископской кафедры вопрос о возвращении креста, видимо, стал злободневным вопросом, чем и была вызвана упомянутая тяжба.

2. Спорили между собою эти два антихалкедонетских армянских монастыря в лице епископов Иоанна Татевского и Саргиса Нораванкского.

3. Нет фактических оснований предполагать, что тяжба шла между антихалкедонитским монастырем, Нораванком, и халкедонитским монастырем, Пгндзаанком, как это пытается установить проф. Д. М. Меликсет-бег.

4. Участие судилища великий Чкондидели не есть Онуфрий. Такого Чкондидели история не знает. По сведению историка Ст. Орбелиана Онуфрий является главным книжником (или секретарем) Иване атабега. Среди участников судилища поэтому он и не упоминается.

---

## ქველი ქართულისა და ქველი სომხური სამედიცინო მწერლობის ურთიერთობისათვის

ხანგრძლივი ისტორიის მქონე ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობას, რომელსაც შეიძლება თვლით მივაღწეოთ ჯერ კიდევ V—VI სს-დან ჩვენი წელთაღრიცხვისა, უკვალოდ არ ჩაუვლია არც სამედიცინო დარგში. მართალია, წმინდა სამედიცინო მწერლობის ძეგლები როგორც ქართულ, ისე სომხურ ენაზე, XII—XIII სს-ზე ადრინდელი ჯერხნობით არ მოიპოვება, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ადრე ან სამკურნალო ნაწერები, ანდა განსწავლული მკურნალები არ არსებობდნენ.

სომხურ მწერლობას ერთი ავთოგრაფიული ძეგლი გააჩნია, ე. წ. ფსევდო დიონისე არეოპაგელის ავტობიოგრაფია, რომლის მთარგმნელი იოანე მკურნალად იწოდება. თარგმანი, როგორც ნუსხათა ანდერძებიდან ჩანს, IX ს-ის 70-იანი წლებისათვისი შეუსრულებია იოანეს იერუსალიმში. თავისი ასეთი თარიღით, ცხადია, ეს ძეგლი წარმოადგენს იმის ერთ უადრინდელს მოწმობას, რომ ძველ სომხეთში მკურნალოდ ფართოდ განსწავლული მწიგნობარი ყოფილა, რომლისათვის, თუ მისი პირდაპირი დანიშნულება ქრისტიანული მწერლობის სამსახური იყო, უცხო არ ჩანს მკურნალობა, ხოლო, თუ მის უშუალო საქმიანობას მკურნალობა წარმოადგენდა, სახელის შემძენი მწიგნობრობა გახდებოდა.

არაბოის ბატონობის ხანის სომეხი მკურნალ-მწიგნობარი, რომელიც მთარგმნელობას ავიოგრაფიის დარგში ეწევა, უნდა გვეფიქრა, მკოდნე იქნებოდა მისი პროფესიისათვის იმ დროს მეტად საუკრო არაბული ენისა, საიდანაც ის, ალბათ, სხვა ნაწერებსაც გადმოიღებდა, თუკი მისთვის დროს იმოვიდა. ასეთი ვარაუდი გასწია, მართლაც, სომეხმა ცნობილმა ფილოლოგმა ნ. აკინიანმა, რომელმაც იოანე მკურნალის დასახელებული თარგმანი 1914 წელს გამოცა. 2 ამ ვარაუდს ადრევე არ თანაუგრძნობდა ცნობილი ბელგიელი ორიენტალისტი პ. პეტერსი, რომელმაც ის შეუწუნარებლად მიიჩნია მაშინაც, როცა სომხური ტექსტის გამოცემის შემდეგ გადაწყვიტა ქართული ტექსტი გამოეკვეთებინა. გულდასმით შეჯერების შედეგად ამ ორივე ტექსტისა ერთმანეთთან ის იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სომხური თარგმანის დედანა, როგორც საფიქრებელი იყო, არაბული კი არ გამოდგა, არამედ ქართული. 3 ასეთი გადაწყვეტილების შემდეგ ადვილად შესასწორებელი დარჩა სომხური ნუსხების ანდერძების ერთი სიტყვა, რომელიც ასახელებდა იმ ენას, საიდანაც იოანეს თარგმანი შეუსრულებინა; *ქ ქართლისა ცხვილქ* შესწორდა *ქ ქრასისა ცხვილქ* - დ (ე. ი. ქართული ენიდან), რის შესაძლებლობას პ. პეტერსთან ერთად სომეხი ცნობილი ფილოლოგი არისტაკეს ვარდანიანიც უშეებდა. 4

არაბთა ბატონობის ხანაში რომ სომეხი მკურნალ-მწიგნობარი (რომელსაც, თუ მასი დანიშნულება ძირველ რიგში მკურნალობა იყო, არაბული უნდა სყოფნოდა და, მაშასადამე თავისი მთარგმნელობითი უნარი ამ დარგში უნდა გამოეყენებინა) ქართულიდან თარგმნის ავთოგრაფიულ ძეგლს. იმას გვაუარაულებინებს, რომ მას ქართულის ცოდნის გამო შესაძლებლობა ექნებოდა გაეცნოთ არაბული სამკურნალო დარგის ნაწერები ქართული იმ წრისათვის, რომელთანაც ის დაკავშირებული ყოფილა, როგორც ჩანს, იერუსალიმს, და რომელთან ურთიერთობის შედეგად მას ქართულიდან დასახელებული ავთოგრაფიული ძეგლის თარგმანი შეუსრულებია. არც ისაა გამორიცხვად, რომ, თუკი სომეხი მკურნალ-მწიგნობარი ქართულიდან ავთოგრაფიულ ნაწარმოებს თარგმნის, ის თარგმნის იმავე ენიდან (თუ უკანასკნელს ექნებოდა) ისეთ ძეგლსაც, რომელსაც უშუალოდ მის პროფესიასთან სჭირდა კავშირი. ერთი სიტყვით, ზემოაღნიშნული ფაქტით, საქმე გვაქვს ძველად, IX ს-ში, ქართულ-სომხური გარკვეული სალიტერატურო წრეების ურთიერთობასთან, რომლის დროს უკულებლყოფილი არ უნდა დარჩენილიყო თანაშრომლობა არც სამედიცინო დარგის მწერლობაში.

1. ზ. მარქაზანსაცხას, *Մատենադարանի Հայկական Թարգմանութեան Կարգադրությունը* (Գար. 7—14), Կենտրոն, 1889, გვ. 381—382.

2. ნ. Ա. Կ. Կ. Կ. Կ. Կ., *Պատմություն արքայի Դիոնիսիոսի եպիսկոպոսի Արեոպագայու. Հռ. և Գ. Ա. Մատենադարան, 1913*, გვ. 641—660 და 1914, გვ. 205—218.

3. P. Peeters, *La version ibéro-arménienne de l'«Autobiographie de Denys l'Aréopagite. «Analecta Bollandiana,» t. XXXIX, Bruxelles, 1921, გვ. 277—313.*

4. *Հանդես Մատենադարանի, 1912, գვ. 281—285.*

სომხურ მწერლობას იმის სამოწმოდ, რომ მართლაც XII—XIII სს-ის უწინარეს სამკურნალო ლიტერატურა გაჩნდა, ფრაგმენტები და მცირე მოცულობის სამედიცინო ნაწერები შეუკოვება. ისინი ენის მიხედვით ბერძნულიდან მომდინარეობს ჩანან.<sup>1</sup>

სამკურნალო ლიტერატურის შექმნას ასეთ ადრინდელ ნაწიში სომხეთს, და მსგავსად, ცხადია, საქართველოში, ხელს შეუწყობდა ე. წ. წმინდა მამათა ნაწერები, როგორცა: 1. ეპიფანე კვირელის „პატრიოსან თეოლათიკის“ (სომხურად ცნობილი იყო ნაწევრები; მოიპოვება ხელნაწერებში ძველი სრული თარგმანიც, ჯერ გამოუქვეყნებელი. ქართული ტექსტი გამოცემულია — ა. ნაწილობრივ მისე ჯანაშვილის მიერ 1898 წ. — *СМОПМ* (XIV), გვ. 1—72) და ბ. ბელაის Epiphanius de Gemmis, London, 1934; 2. ბასილ კესარიელის „ექს-თა დღეთათვის“ (სომხურად გამოცემულია: *Ճառք վասն վեցորդ արարյութեան, Վենետիկ*, 1830, ისე როგორც ქართულად, მხოლოდ უკვე XI ს-ში ნათარგმნი გიორგი ათონელის მიერ—„ექუსთა დღეთა“, მ. კახაძის გამოცემა, თბილისი, 1947); 3. გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმნისათვის“ (სომხური თარგმანი VIII ს-ისა ჯერ გამოუცემელია, ისე როგორც ქართულიც, რომელიც ორი რედაქციით არის მიწვეული, უძველესი 973 წლის ახლო დროის ნუსხით, ხოლო მეორე უკვე XI ს-ში ნათარგმნი გიორგი ათონელის მიერ); 4. ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“

[სომხური თარგმანი VIII ს-ისა გამოცემულია: *Մաղագո բնութիան մարդի, Վենետիկ*, 1889, ისე როგორც ქართულიც, რომლის თარგმანი, მაგრამ XI ს-ში შესრულებული, ოთხეუ პეტრიწს (XI—XII ს.) მიეწერება: „ბუნებისათვის კაცისა“, ნ. გორგაძის გამოცემა, თბილისი, 1914] და სხე

წმინდა სამედიცინო ლიტერატურის ძეგლები, სამკურნალო წიგნები, როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, სომხურსა და ქართულ მწერლობაში XII—XIII სს-დან მოიპოვება. სომხური ასეთია მსითარ პეტრელის „სომხურელის ნეკეშისცემა“<sup>2</sup> ხოლო ქართულში „წიგნი საქიშობა“<sup>3</sup>. ამ პირველი ორიგინალურ ნაწარმოებად ითვლება. მისი ავტორი, როგორც ეს ნაწარმოების ენიდან ჩანს, არაბული და ნაღვლის განივრდი, ისიც უშეკრესად სპარსულის გზით, რაც მამონდელი დროისათვის ბუნებრივი იყო, რადგან არაბულ ენაზე ამ ხანისათვის არაბებისა თუ არაბულის მომხმარებელ სხვა ხალხთა მონაწილეობით ისეთი მდიდარი ლიტერატურა შეიქმნა, რომ არა მარტო აღმოსავლეთს, არამედ დასავლეთსაც კი ასარღობდა თითქმის XVI ს-მდის. არაბული ენა ქართულსა და სომხურს დაედო მდიდარი ტრადიციების ამოცელების დროისათვის ისეთისა როგორც სპარსულსა და სომხურსა დასავლეთურ ენებსა სამედიცინო საქმიანობაში. მსითარ პეტრელი თავისი დროის ამ მოვლენას ხარკს უხდის და მის ნაწარმოებს უცხო ენის გავლენასთან ერთად, უუკველია, ამ ენაზე არსებული მასალის ერთგვარი შეგავლენაც დატყობობდა.

ქართული „წიგნი საქიშობა“ კი, როგორც მისი უძველესი (ხელნაწერის—1274, XIV ს.) ანდრძი გვამცნობს, ვინმე ქართველი ხოჯა-ყოფილის თარგმანს წარმოადგენს, რომელიც მას შეუსრულებია იმ დღიდან, რაც ხელთ ჩავარდნია ქართველებს რუნდანიან ბრძოლის გადახდის დროს (1205 წ.). ენის მიხედვით თარგმანს წარმოადგენს და არა რაღაც „თავისუფალ თარგმანს, ანუ უკეთ, განცხადებას ქართულ ენაზე“, როგორც ეს მის გამოცემულს, ექმლ. კოტეტიშვილს ეგონა.<sup>4</sup> ნათლად ირკვევა, როგორც ეს ერთხელაც გამოვთქვით წერილობით, შედარებიდან ამირდოვლათის ნაშრომთან („მკურნალობის სარგებლობა“), რომელიც თავისი ზედმიწევნითი წინაარსობლივი შეხედურის გამო „წიგნი საქიშობის“ კ, ყოველივე ექვს გარეშე ორიგინალურ თუ ნაბეჭდ-ორიგინალურ სომხურ ნაწარმოებს კი არ წარმოადგენს, როგორცა მისი სომხური მკვლევარები ამტკიცებენ,<sup>5</sup> არამედ, ამირდოვლათისავე განცხადებით, თარგმანს, ცხადია, იმავე დღიდან, საიდანაც ხოჯა-ყოფილი თარგმნიდა. უცხო ტერმინების ფორმებზე დავიკრებებით ეს საკრთო წყარო XIII ს-ის ქართულსა და XV ს-ის სომხურს დასახელებული თარგმანებისა, საფიქრებელია, სპარსული უნდა იყოს და არა არაბული, როგორც ეს შეიძლება ერთი გამოვლდით კაცმა იფიქროს.

სხენებული საქიშობ წიგნის ქართული თარგმანი თავისი გლოსებით, რომელთაც მთარგმნელი აახლებს დედნის ანა თუ იმ სამკურნალო ტერმინსა თუ მოვლენას, ნათლად მოწმობს, რომ მისი მთარგმნელი შემთხვევითი მწიგნობარ-მთარგმნელი კი არ არის, არამედ მკურნალი-მწიგნობარია, რო-

<sup>1</sup> Проф. Л. А. Оганесян, История медицины в Армении о древнейших временах до наших дней, Ереван, 1946, гл. 150 — 184.

<sup>2</sup> Միսիսիայ բժշկապատկ շքացույց շքրմանց Միսիսիայութեան, Վենետիկ, 1832.

<sup>3</sup> „წიგნი საქიშობა“, გამოცემა ლ. კოტეტიშვილისა, თბილისი, 1936.

<sup>4</sup> იქვე, გვ. XXIII, თბილისი, 1936.

<sup>5</sup> Արուլ ა. ბ. Իրիւ. ՄԱԿԻՐՈՎՍԿԻ ԵՊԻՍԿՈՒՍԻՍԻԱՆ արքրորի հարցի շուրջ. Մուկտ-տախի գրականություն, 1941, № 12.

<sup>6</sup> ՄԱԿԻՐՈՎՍԿԻ ԱՄԱՏԻՅԱԳԻ, Օրդու բժշկութեան... խորագրությամբ Մու. ՄԱԿԻՍԻԱՆԻ Ա. Ն. Ս. Երևան, 1940. წინასიტყვაობა, გვ. 21; Проф. Л. А. Оганесян, История медицины в Армении, III, Ереван, 1946, гл. 14-16.

მელიც განვრთნილია როგორც უცხო, ისე შშობლიურ სამკურნალო მწერლობაში, მისი თარგმანის მაღალი თვისებები ნაყოფია გარკვეული ტრადიციისა, რომელიც საქართველოში წინა საუკუნეებში უნდა შემუშავებულიყო.

რასაკერაველია, თარგმანის მაღალ თვისებებს არც სომხური შესაბამისი წიგნია მოცლებული, რაც თავის მხრივ აგრეთვე ნაყოფია მრავალსაუკუნოვანი სომხური სამედიცინო მწერლობის ტრადიციისა, რომელიც, როგორც ცნობილია, ბრწყინვალედ აქვს შეთვისებული მის მთარგმნელს, XV ს-ის დიდ მკურნალ-წიგნობარს ამირდივლას.

როგორც „წიგნი საკმროთი“ არ დაწყებულა, ისე მასზე არ შემდგარა ქართული სამედიცინო მწერლობა. მის წინ და მისევე გვერდით არა ერთი სამკურნალო წიგნი არსებულა. როცა ასეთ შოააზრებს გამოთქვამთ, მხედველობაში გვაქვს XV ს-ის გასულს შედგენილი ერთი ისეთი სამკურნალო წიგნი, რომელსაც თვითი მოცლებული სწორი არ მოეძებნება ქართულ სამედიცინო ლიტერატურაში. ეს წიგნი ზაზა ფანასკერტელის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით შეკმინილი ნაშრომი, რომელიც, როგორც მისი ტექსტის ახლო შესწავლით ირკვევა, კრებულს წარმოადგენს მეფხთმეტე საუკუნემდე არსებული ქართული სამკურნალო ძეგლებისას. ამ კრებულში შერწყმულია ცალკე არსებული დარგობრივი თუ მოკლე შინაარსის მქონე სამკურნალო წიგნები, რომლებიც გარკვეული წუთობით არიან წესრიგში მოყვანილი. იგი ორი მთავარი ნაწილისაგან შედგება. თვითუც მთავანს საკმაოდ რომანარის სარჩევი მიუძღვის წიგნს. პირველში საუბარია ზოგადად ექიმის დანიშნულებაზე, ავადმყოფობის გამოცნობაზე, სამკურნალო მთავარ საშუალებებსა და უმთავრეს სწულელებზე. მეორე კი განიხილავს დაწერილობით აღმანილის სხეულის ყოველ ორგანოს თავიდან ფეხის ფრჩხილებამდის, აღწერს ერცლად თვითული მათგანის აგებულებას, ხასიათს, დაავადებასა და სამკურნალო კარაბადინს. ბოლოს განიხილილია ჰიგიენის საკითხები და მოცემულია სამკურნალო ნივთის თვისებების აღწერილობა.

ზაზას კრებულში შერწყმული ზოგიერთი ცალკე, არსებული სამკურნალო წიგნების გამოცნობა ზერხდება, რამდენადაც ამით ერთ ნაწილს ზაზას მოღვაწეობის უწინარესი ხანიდან მოუღწევია ჩვეულობის. ასეთია, მაგალითად, ტიმოთარი ზაზას ნალეაწის მსგავსი ე. წ. უსწროო კარაბადინი<sup>1</sup>, რომლის უძველესი ნაკლებეწენი ნუსხა, ნუსხა-ხეცურით ნაწილი, პალეოგრაფიული ნიშნებით XIII — XVI ს. კუთვნიან. რამდენადაც გამოყენებულია ზაზას მიერ ტიმობრივ მისი კრებულისაგან განსხვავებული ისეთი ქართული სამკურნალო წიგნიც, რომლის ნუსხა სომხეთის ხელნაწერთა საცავში, ე. წ. მატენდარანშია დატული და პალეოგრაფიულად ზაზას ხანისა ანდა რამდენადაც მასზე აღრიცხული უნდა იყოს. იგი შედარებით მოკლე ჩანს უსწროო კარაბადინზე და, როგორც უცხო ტერმინების ფორმა გვიკარნახებს, სპარსულიდან უნდა მომდინარებოდეს. როგორც მის ზოგიერთ ადგილს იკითხვის, იგი წიგნი ყოფილა „ხორაზმამაჰისა დახირისაგან“<sup>2</sup>.

ზაზას კრებულში სხვა სამკურნალო ნაწილებიც ჩანს შესული, და, რაც მეტად საკულისხმაა, ზოგიერთი მათგანი სომხურ სამკურნალო ლიტერატურიდან მომდინარეობაზე უნდა მიგვიითთებოდეს.

როდესაც ასეთ დებულებას ვაყენებთ, მხედველობაში გვაქვს ზაზას კარაბადინში (II ნაწილში) შესული ერთი სამკურნალო წიგნი, „ნუსხა ლიქძის ტკივილისა“, რომელიც, როგორც მის სათაურშია აღნიშნული, დაუთვინია „ბუსით აქიმს მოეარყინელს“ და მიუყლა „გრაციოლ ვარმის შვილისათვის“. გრიოლ ვარმის შვილი არის სომხეთის ისტორიაში კარგად ცნობილი გრიოლ ფაპლაუენი, ძე ვარამ სპარაბეტისა, რომელიც მამასთან ერთად მოიკლა ბერძენების ბრძოლაში დინის ამირას წინააღმდეგ და მამასთან ერთად დაეფლა კარამაშენის ვანქს. 1045 წ. 4 ცნობა, რომ ბუსილმა დაუწერა გრიოლს რჩევა-დარიგება ღვიძლის ტკივილის შესახებ, მართლაც არსებობს სომხურ სამედიცინო ლიტერატურაში. როგორც სომხეთის მეცნიერებთა აკადემიის აკადემიკოსის ლ. ოპანესიანის შრომიდან გვეცნობილობთ, სომხ მკურნალს იოანეს 1438 წ. დაწერილს თავის სამკურნალო წიგნში ჰქონია დატული ბუსილის ეს შრომა, რომელიც ამას გრიოლის ვარამის ძის თხოვნით დაუწერია 1037 წ. გრიოლ ფაპლაუენი საერთოდ მკურნალობით დინეტრესებულ ამირ ყოფილა და, როგორც სომხური ხელნაწერებიდან ჩანს, მას ვინმე იესე მკურნალისათვისაც მიუშარათავს სხვადასხვა ტკივილისა და წამლის შესახებ, რომელთა ზოგიერთი რეცეპტი სომხურ კარაბადინებში დატული ყოფილა<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ზაზა ფანასკერტელი, სამკურნალო წიგნი (კარაბადინი), თბილისი, 1950 წ., შესავალი, II (ილ. აბულაძისა), გვ. XXI—XXIV.

<sup>2</sup> ჯანანელი, უსწროო კარაბადინი, ევ. ლ. კოტეტიშვილის გამოცემა, თბილისი, 1940წ.

<sup>3</sup> „მატენდარანის“ ხელნაწერი.



<sup>4</sup> ჯრ. მ. ნ. ა. ხ. ხ. ს., *საქონე ანბანის სსსრ-ის რეკრავსი*, ტ. I, ერევანი, 1942 წ., გვ. 548.

<sup>5</sup> Проф. Л. А. Оганесян, *История медицины*, ч. II, ერევანი, 1946 წ., გვ. 50 — 55.

<sup>6</sup> ეს ნუსხა გამოქვეყნებული არის, იხ. ვ. ი. ა. ხ. ხ. ხ. ს., *საქონე ანბანის სსსრ-ის რეკრავსი*, ტ. I, ერევანი, 1942 წ., გვ. 548.

<sup>7</sup> ვ. ს. ა. ხ. ხ. ს., *მოცულ ჩივილებს დახორავნ მათხნარარანის შჩხეპარანე ჯ. ა. ხ. ხ. ს.*, 1895, გვ. 738; ვ. ა. ხ. ხ. ხ. ს., *შაჩაიანისა და სპარსის ხელნაწენი ადვარანისი*, *დასიცი სპარსიკა*, 1954, გვ. 23.

ადვილად შესაძლებელია, რომ ბუისი აქიმის ხსენებული წერილი სომხურიდან იყოს ეართულად გადმოთარგმნილი რომელიმე სამკურნალო წიგნიდან ერთად, რადგან იგი სომხურად ცალკე კი არა, არამედ სამკურნალო წიგნებშია წარმოდგენილი. თუ ასეა, მაშინ ზაზას კოლექციაში სხვა მასალასთან ერთად სომხურიდან მიმდინარე ზოგიერთი სამედიცინო ნაწერის ქართული თარგმანიც აღმოჩნდებოდა შერწყმული.



„მატენადარანის“ ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში დატული კარაბაღინის ერთი გვერდი, 131 f.

„მატენადარანის“ სომხურ ხელნაწერთა კოლექციაში დატული კარაბაღინის (№ 412), რომელიც ქართულიდანაა ნათარგმნი, 139 v.

ქართულ სამედიცინო ლიტერატურაში, როგორც ზემოთქმულიდანაც ჩანდა, რამდენიმე სახის სამკურნალო წიგნი მოიპოვება. ამათგან უფრო გავრცელებულია ის ტიპი, რომელსაც ჩვეულებრივ „კარაბაღინი“ ეწოდება. კარაბაღინი თავისი მოცულობით ორნაირია: ვრცელი და მოკლე; უკანასკნელი პირველისაგან იმითაც განსხვავდება, რომ მას წამლეულობის სიმკირვითან ერთად მცირე ხსენებები აქვს დართული. თეორიული რიგისა და უფრო მეტად პრაქტიკული დანიშნულებისა არის. ხელნაწერებს შორის ასეთი კარაბაღინები უფრო მეტად გვხვდება. იგი, ისე როგორც ვრცელი კარაბაღინიც, ორი ნაწილისაგან შედგება; პირველში, როგორც ამ ტიპის კარაბაღინის გამომეყვანილი ექ. ლ. კოტეტი-შვილი აღნიშნავს, 1 წარმოდგენილია ფარმაკოლოგიური ცნობები და ზოგად დაავადებათა აღწერილობა მათი კლასიფიკაციით. მეორე ნაწილში კი მოცემულია „ზოგადი მკურნალობის, ანატომიური, ფიზიოლოგიური, ბიოლოგიური-ფარმაკოლოგიური ცნობანი... ზოგად ემზორიოლოგიური ცნობანი, ზოგადი გინეკოლოგია... ცხრონიანი დაავადებანი... კურძო მათილოგია... თერაპია... გარკვენი ავადმყოფობანი... ზოგად ჰიგიენური და დიტეტუტური ცნობანი და ცალკეულ წამლეულობათა აღწერა“.<sup>2</sup>

სომხური სამედიცინო მწერლობისათვის ქართულ სამკურნალო გავრცელებული სამკურნალო წიგნის ეს ტიპი, კარაბაღინის ეს სახე, შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მას იგი უთარგმნია. შენახულია სომხეთის სიძველეთა საცავში, ე. წ. მატენადარანში, XVII ს-ის ერთი ნუსხა, რომელიც როგორც ქვემოთ ვნახავთ, ისეთი ნიშნების მატარებელია, რომლებიც მოწოდებენ მის გადარღვას ქართულიდან სომხურად.

(გაგრძელება შორეი ნომერში).

<sup>1</sup> ქანანელი, უსწორო კარაბაღინი. ტექსტი დაამუშავა და წინასიტყვაობა დაურთო ექ. ლ. კოტეტი-შვილმა, თბილისი, 1940 წ., გვ. XI v.

<sup>2</sup> იქვე, გვ. XVI—XVII.

## ქველი ქართულისა და ქველი სომხური სამედიცინო მწერლობის ურთიერთობისათვის \*

სომხური ხელნაწერი, რომელიც მატენადარანის ხელნაწერთა კოლექციაში ამჟამად წარმოდგენილია № 412-ით, შედგება 242 ფურცლისაგან. ხელნაწერი დიდი ზომისა და მოცულობისაა. მისი ზომაა 32 X 21 სმ. ნაწერია ქალღღუწე ორ სვეტად, რომლის ზომაა 25 X 7 სმ. კაბადონზე საშუალოდ 34 სტრიქონია. ნაწერია ე. წ. „ნოტრი“ ხელით. სათაურები სინგურით არის შესრულებული, ხოლო ტექსტი შავი საწერლთ. ხელნაწერს ბოლოს, სადაც ჩვეულებრივ მოთავსებულია ხოლმე ანდერძი, რომელშიც მოაპლოვანელი იყო, ნაამბობი იქნებოდა სხვათა შორის ხელნაწერის დაწერის თარიღის შესახებაც, აკლია ფურცლები. ამიტომ ხელნაწერის დაწერის დროს განსაზღვრა მხოლოდ პალეოგრაფიული ნიშნებით ხერხდება. საქვიალისტებს და მათ შორის პირველ რიგში სომხურ ხელნაწერთა აღმწერელს, ცნობილ ფილოლოგს მესროპ ტერ-მოვსესიანს, ნუსხის დაწერის დროდ XVII საუკუნე აქვთ მიჩნეული.

ხელნაწერი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი, რომელსაც ფფ. 2 V — 18 V უკირავს, იწოდება *ღებღერიყ დასერიქჩის*-ად, ე. ი. „წამლების ძალ“-ად. მეორე ნაწილს, რომელიც ფფ. 22—95 რ მოიცავს, ეწოდება კარაბადინის პირველი წიგნი, ხოლო მესამე ნაწილს, ფფ.-ის 95 V — 242 V შემოკლებს, კარაბადინის მეორე წიგნის სახელწოდება აქვს წარწერილი. კარაბადინის შემადგენელ წიგნებს მიუძღვის თავ-თავისი სია, რომელშიც წიგნის შემადგენელი კარებია აღნუსხული. მოვიყვანთ კარაბადინის პირველი და მეორე წიგნის შემადგენელ კართა სიას. როგორც აღვნიშნეთ, ეს კარაბადინი ქართულიდან არის ნათარგმნი, რის საჩვენებლად სომხური სარჩევის გვერდით ეათავსებთ მის შესაბამის ქართულსაც, რომელიც ალექსანდრე გვაქვს ე. წ. უსწორო კარაბადინიდან.

**მთხს ვრიყ, ირ ლიქი აქორდაყაძინ**

**ა. მქ ბრყაყს აყაროჯ ჯაგჟიქის გსაყ**

**ქხრაყ ჩქასხიქის**

**ბ. შანსაქხეს ს თხსხეს ლარიქის**

**გ. სჯანს ათიჯიქხანს ს თხსხიქს**

**დ. ხრხსქ გოქის ნასსაქხეს, მქ ირყაყს ჯ**

**ხ. ზოქხდგოქს ხრყა თხსხიქს ჩქასხიქის**

**ყ. რირჯანს, ირ მართი მაროჯ**

**ჯ. სოისქს ირ ჯყარხნაყ არხიქს**

**ღ. შაროქ ნასსაქიქანს ს ამართიქ**

**წ. მიჯიჯაბჯს, ირ ქარჯაყ**

**ძ. შანსქ ვსა ლაყ, ირ ნაროქ ჯიქისქი**

**ჭა. ზხეღ ქბრ არხხიქს**

**ჭბ. აქქიქი გბრ არხხიქს**

**ჭგ. შანსქ რეგბროს არხიქს**

**ჭდ. აქარჩნხხრ გაყ ასხიქს**

**ჭხ. შართიქსხხროს**

**ჭყ. ლიქხხროს**

**ჭჯ. ლაყხროს**

**ჭდ. ლიქხხროს**

**ჭე. შაყა თაგოქხხხიქს**

**ჭვ. შანსხხროს ს გოქიქხხროს ს ქორქიქხხროს**

აკიმისაგან სნეულისა მოკითხვა რა გვარად უნდა.

ბ. შეტყუება და ნახვა ყოვლისა ფერისა კარულისა.

გ. ნიშანი განაჯალისა.

დ. ნიშანი ცნობისათვის და შეტყობისათვის.

ე. ნიშანი რომე სნეული ფერად-ფერადსა საზმარსა ნახვილეს.

ვ. ნიშანი, რა ბურანსა შევიდეს კაცო.

ზ. სულს რომ ვერ ისულთქვიდეს.

თ. წელიწადთა ცნობისა.

ი. კაცის რომე ასოები ემღეროდეს.

იი. რასთენი სენი არ ეშუელების კაცსა.

იბ. წამლების აღებისა.

იბ.

იგ. წერილის წამლებისა.

იდ. იარაგების გასასხნელისა.

იე.

ივ.

იზ.

იი. ყურსებისა.

იი. სიციხის ტლებებისა.

ი.

\* დასასრული. დასაწყისი იხ. „საბჭოთა მედიცინა“ № 4, 1959, გვ. 57.





*ბგ. ხასაქაჲს კაჲსიხს;*  
*ბგ. სხერხეო ქასაქაჲს;*  
*ბგ. ჳარსიღონჳ ქასაქაჲს;*  
*ბჟ. ჴან და ჴორ აჯერხილს;*  
*კ. შაგვიონჳ და ჳეროთსხერონჳ;*  
*კა. ჴხისიხ და ჳერხს;*  
*კრ. შანსაკ გეგხერონს;*

ნვ. რძის ხასიათი.  
ნწ. თესლების ხასიათი.  
ნშ. ბოსტნეულთ ხასიათი.  
ნთ. ახლისა და ქმელისა ხილისა.  
ნკ. ტებილთა და შჳქრიანთა.  
აა. ლენისა და წყლისა.  
აბ. მარტო წამლებისა.

დიდი ყოყმანი არ სპირდება კაცს ამ დაპირისპირებული მასალიდან ის დასკვნა გააკეთოს, რომ სომხური ტექსტი ქართულზეა დამოკიდებული. ეს დამოკიდებულება აშკარა ორივე წიგნის კარგ-ბის სარჩევთა შედარებითან, განსაკუთრებით მეორე წიგნის კარგებშიც, რომლებშიც შედმიწვების ხედვბა ურთიერთს. პირველისა და მეორე წიგნის კარგების ნუსხათა შედარებების სომხურის დამოკიდებულება ქართულზე ნათლად ჩანს ისეთი ადგილებიდან, სადაც ქართულის გადაღებვისას დაცუ-ლია ზედმეტი ზედმწიფევილობა, რაც არამარტო სიტყვის შინაარსის დაცვაში ჰდომარეობს, არამედ სიტყვის აღნაგობის შენარჩუნებამოც ამავე დამოკიდებულებებზე მეტყველებს ქართული ტერმინების უცვლელად გადატანაც სომხურში, ე. ო. ტრანსკრიბიცია. პირველის სახელდასახურ ნიშნებია მაგ., 1 წიგნის 28-ე კარის სახელწოდება „წყლით ორსულობისა“, რომელიც ისეა გადაღებული სომხურად — *გრილ რ'ნიგაიქჩქს*, რომ მიღებულია სრულიად ახალი სიტყვა, რომელიც სომხურმა ლექსიკამ არ იცის (*რ'ნიგაიქჩქს*). მეორის ნიმუშად გამოდგება ქართული ტერმინების უცვლელად გადატანა სომხურში, მაგ.: სახა (სასისა — *სასაქს*), ხახა (ხახისა — *ქასაქს*); ქანთელი (ქანთელისა — *ქანსქსქს*), მორიალი (მორიალისა — *მორჩაქს*).

თუ როგორია გაბმული ტექსტის თარგმანი, ამის საჩვენებლად კარაბაღინის მეორე წიგნიდან მოვიყვანთ შემდეგი თავის ნაწყვეტს.

ი. კარი, რომე წყლიხა სუმაშიგა წურბე-  
ლი ჩაჳოლოდეს, მისი ნიშანი შეიტყუვა.

წყალი იქნების, რომე წერილი წურბე-  
ლი ისხდეს და კაცი პირდაპირ წყალსა სუამს  
და ჩაყეების. ამა ნიშნითა შეიტყოების, რომე  
ხმაა ჩაყარდების და ქავა წყსა დაუწყებს  
და ყელიდაღმა სისხლსა ღუევედეს, ან  
წითელი სისხლი ამოვიდოდეს პირით და სა-  
კმელსა ვერას კამდეს.

მას ესე უნდა: პირაღმა დააწვიონ და  
პირი დაუღრიონ და ოქრომქედლისა წური-  
ლი და გრძელი მარწუხი რომე არის, ისი ჩა-  
უყავით და მოკიდეთ იმა წურბელსა, როგო-  
რაცა მოკიდონ, მოუქირონ კარგად, რომე  
ერტიოდს ნუ თუ წურბელსა და თავის მა-  
კიანად მოსწყუდეს და წყნარად და ერქერ-  
კიანად მოსწყუდიდ, ასრე რომ არ მოკლა.  
თუ მოკლა, მანკი რამე დარჩევის შიგა.

თუ ვერცა ნახო და ვერცა მარწუხი მო-  
კილო, აიღე ხარდილი დანაყილი და ძმრითა  
გაურივე და მითა დარღრა აქნევინე. ცოტა  
ნიშადური დანაყე, წყლითა გალესე და ყელ-  
ზედა შესესე.

თუ არა ამოვიდეს, მოიღე ჯარიოტი და  
ძმრითა გალესე. და მითა დარღრა აქნევინე.  
მერტე მოიღე ხახუსისა და კარისა წუენი და  
ცოტა მარილი გაურივე და ცოტა ძმარიცა  
გაურივე, მითაცა დარღრა აქნევინე.

თუ არცა ამით იქნას, ცოტა სონიცი, ცოტა  
მლოგუი დანაყე, ორივე, და ერთმანეთისა  
გაურივე, წყლითა გალესე და შეასუი...  
(ქსწორო კარაბაღინი, გვ. 252...).

ზიონ და ნუან, ორ მარე ჴიქ ქანქი  
ჩხან თგვიც მონი და აქნორ ეღენ და  
გორაქჩინე:

*შვიცი, ირ მარგიი ყიოჯან მთხილ ჴიქ  
გხო, ახერ ჴუასს ქიძაგვი;*

*შიორ ჴილ ქიქ ჩანგ, ირ ძიქს მთხრ  
თგვიც ქიქ სათახ. და მარე, ირ ხერხი  
ქიქ ქიქ ვიქ ქიქ, ახერ ჩხან ჴილ მთხილ  
ხხრისა მკა სუახიძა ქიძაგვი, ირ მკანს  
ხხრს ჴილ გსიქს და ყიოჯან აქიქს ჴილ  
ღსიქს, და გიქს არჩის ქიქ მქიამ ჴამ  
ჴარძიქ არჩის ქიქ ქიქ გვიქს გერახიქს  
და ჴერაქიქს ჴარხხაქ ოთხი;*

*მსხირს გვიქ არა. გერახის ქიქ ყოა-  
კხვიორ, და გერახის გავ არა, და თიქხიქს  
გერახს და ხერკანს მარძიქს, ირ ჴ... ხხრს  
თარ და ჴყვიორ აქს თგვიქჩხი ხერ ჴყვე-  
ნხსა, ჴიოჯ თორ ჴაი, ირ გვიქს, ექიქს მქ  
თგვიქჩხს გვიქს ჴორხს, ჩანგვიორ და  
ხხვიორ თიქ ჩანგ, ირ ჴყახხხხა. მქ  
ჴილ თყახხხა მანსქ ჴილ მთხილ მქხა;*

*მქ ილ მთხილსა და ილ მარძიქს, ირ  
ღ... ჴყახხხა. აი ჴარგიქს ბხბახ და გავ-  
ქიქ ჴაგილ და გარგიქს ახს. გიქ მქ  
ხხვიორ ბხბქ, გვიქ იოქ და გიქს ქს-  
ქაქ ოქს;*

*მქ ჴვიორ გვიქ, თი ჴარჩიორ და გავქიქ  
იოქ და აქნიქ გარგიქს ახს თორ. მთიქ  
აი თიქს და გავარქ ვიქ და გიქ მქ თქ  
ქაიქს და გიქ გავარქ ახს ქაიქს და გარ-  
გიქს თორ;*

*მქ და აქიქიქ ქიქს, გიქ მქ თიქს, გიქ  
მქ ჴარგიქს ბხბქ და მქათიქს ქაიქს,  
გვიქ იოქ და ქანქვიორ...  
(ბატენ. № 412, 139v-140r).*

თარგმანი ზედმიწევნითა, სიტყვა-სიტყვით ვასდევს ქართულს. მთარგმნელი საგნის სპეციალისტია. იგი გარკვეული მეთოდით ასრულებს თავის თარგმანს. რადგან უღირსად პრაქტიკულ მხარეს ეტება მის შიერ არჩეული სთარგმნი მასალა, „სამკურნალო წიგნი“, რომლის მონაწილეები ხნულად აღამიანზე უნდა იქნეს გადატანილი, ამიტომ ის, ეტყობა, სიფრთხილით ეკიდება თარგმანს, ექვლადური ზედმიწევნით აქვს გადაღებული; თუ არ ჩავთვლით თითო-ორულა უნებლიე წყაცდენას, რეიტინობობას არასად ეწევა.

მთარგმნელი რომ სპეციალისტია, იქიდან ჩანს, რომ ის ძველ საერთაშორისო სამკურნალო ტერმინებს, რომლებიც უწინ საქართველოსა და სომხეთში არაბულ-სპარსულ სამყაროდან იყო მომდინარე, იმ სახით იძლევა, რა ფორმითაც ისინი შეთვისებულა ჰქონდა ძველ სომხურ სამედიცინო ლიტერატურას. მისთვის რომ უცნობი ყოფილიყო სამკურნალო დარგის სომხური ლიტერატურა, მაშინ ის ხსენებული ტერმინების ხმარებისას მათ ქართულ სახეს წარმოადგენდა.

სომეხი მთარგმნელი რომ ამასთანავე ზედმიწევნილობის დამცველია, იქიდან ჩანს, რომ ქართული წყაროს ეროვნული, წმინდა ქართული, სამედიცინო ტერმინები, არიან ანეხი ანატომიის, სამკურნალო მცენარეულობის, წამლეულობის, ხელსაწყო-იარაღებისა თუ სხვა რამ მსგავსი დარგიდან, ტრანსკრიბციით გადააქვს და გვერდით, როგორც მის მშობლიურ სპეციალურ ლიტერატურაში ვაუერცდებულთ, ან ახსნას ურთავს (როგორც მაგ., ცხრო—*გუჩრიკი, ირ ჭ ჯხრამს*. — რომელ არს მხურვალება), ანდა თავისუფალ ადგილს უტოლებს, რომ შემდეგში ან თვითონ, ანდა სხვებმაც დაადგინონ მათი შესატყვისობა და თან მიუწერონ.

სომხური თარგმანის ენის თვისებებს თუ გულდასმით დაუდვირდებით, შევნიშნავთ, რომ ის ე. წ. „გრაზარაი“, ე. ი. ძველი სამწერლო სომხური, არაა. იგი ახალია, რომელსაც „აშხარაზარა“, ე. ი. საეროს ეტახიან. სულ ახალი, რასაკვირველია, არაა. ის საშუალო სომხურის დამახასიათებელ ნიშნებსაც ატარებს.

მოყვანილი ნაწყვეტის სომხურ ტექსტში არსად ვხვდებით პირდაპირი ობიექტის ბრუნვის, აკუზაციის, დამახასიათებელ *გ-* წინდებულს, რაც ჯერ კიდევ „ხმარებაშია საშუალო სომხურში, სოლო ხმარებიდან გამოსულია ახალში. მასში ეყვლებან ვხვდებით, სადაც კი საჭიროა ახალი სომხურისათვის დამახასიათებელ ადგილობრთ ანუ ლოკატივ ბრუნვას, რომელსაც აქ, ერთი მხრით, ნიშნად აქვს— *იამს* დაბოლოება, ხოლო, მეორე მხრით, ის წარმოებულია მიცემით ფორმებზე *მქ-ს* თანდებულის დარებით. აქვე დაწყებითი ბრუნვა, აბლაცივი, სისტემატურად *ჩ* წინდებულის გარეშე იხმარება, რაც მხოლოდ ახალ სომხურს ახასიათებს. ახალივე სომხურის დამახასიათებელია კუზაციური ზმნების ბრძანებითი—*გვიკ* დაბოლოებების ხმარება მხოლოდით რიცხვში (მაგ—*ყაიხიხვირ, კაყვირ, ჯამხვირ*) რასაც აგრეთვე აქ სისტემატურად ვხვდებით და რაც საშუალო სომხურში კანტიკუნტად გვხვდება.

საშუალო სომხურისათვის დამახასიათებელი ნიშნებიდან თარგმანის ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტში ვხვდებით: ა. აწმყოს საწარმოებლად ეყვლებან *კილ* ნაწილაკი (მაგ.: *კილ ქისჩი, კილ მათისი, კილ რსხჩი, კილ რსხჩ, კილ ოყსჩ, კილ ოყსხსა, კილ მსხაქ*); ბ. ძველი სომხურის—*ასხჩ* და მერმინდელის—*სხჩ* დაბოლოებიანი ზმნების—*სილ* დაბოლოებიანი ზმნების უღლებზე გადაყვანა (მაგ.: *მთასხჩ—მთასჩ—მთისლ—მთისლ. მქასხჩ—მქ(ს)—ილ—მქილ. თხასხჩ—თხასხჩ—თხასილ—თხასილ*); გ. მითითებითი *აქს* ნაცვლასხელის ნათესაობით-მიცემითი *აქსირ* ფორმა და *ჩასხ*—„ასრე“ და *აქქჩი*—„კიდევ“ ზმნიშედების უფარიატოდ ხმარება\*

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელნაწერი XVII ს-ის ნუსხად მიიჩნება. მაშასადამე, ის სომხური, რომლითაც თარგმანია შესრულებული, ამ საუკუნეზე გვიანდელი ვერ იქნება. წარმოდგენილი ვრამატული ნიშნების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ის XVI—XVII—ს-ის თარგმანია.

ამრიგად, ქართულ სამედიცინო მწერლობაში საკმაოდ გავრცელებული სამკურნალო წიგნის ერთი სახე, რომელიც „უსწორი კარაბაღის“ სახელწოდებით იყო ძველად ცნობილი, სომხებს უთარგმნიათ ქართულიდან XVI—XVII ს-ში, რასაც ამტკიცებს ქართულისა და სომხური წიგნების ტექსტობრივი შეჯერება.

ასეთია მოკლედ ის სურათი, რომელიც დღესდღეობით მქვადდება ქართულისა და სომხური სამედიცინო მწერლობის გამოუქვეყნებელი ძეგლების მიხედვით ძირითადად. მდინარია აღნიშნული დარგის მწერლობა ორსავე ენაზე. მისი გამოუქვეყნებელი მასალების შემდგომი შესწავლა, ეუბნეულია, ქართულისა და სომხური სამედიცინო აზრის განვითარების არა ერთ საინტერესო საკითხს მოჰდენს სინალოეს და ამით ურთიერთობის სურათსაც უფრო ცხოველს გახდის.

\* ენობრივი დახასიათებისათვის იხ. *ჯ. მკრთაყანა, ლაქივ ქხეჩქი ყასთიმიქის. II მას. ხერხან, 1951, გვ. გვ. 243 — 253 და 433 — 444.*

## აგათანგელოსის «რიფსიგმანთა გარტვილოზის» ძველი ქართული თარგმანი

### 1. შესავალი

ძველ სომხურ საისტორიო თხზულებათა შორის ცნობილია აგათანგელოსის ისტორია, რომელიც „სომეხთა მოქცევას“ მოგვითხრობს<sup>1</sup>. სომხურს გარდა ეს ძველი შენახულია ბერძნულად. ამ ენაზე ორი რედაქციაა ცნობილი: ვრცელი და მოკლე<sup>2</sup>. მკვლევართა აზრით, ბერძნულის ვრცელი ტექსტი სომხური ე. წ. ნაციონალური რედაქციის თარგმანია, რომლის შესრულებას მეცხრე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედს მიაწერენ. მოკლე რედაქცია კი, რომელიც მეტაფრასს წარმოადგენს, სვიმეონ ლოგოთეტის სახელთანაა დაკავშირებული და, მაშასადამე, X საუკუნის უკანასკნელ მეხუთედშია აღმოცენებული.

„სომეხთა მოქცევა“ შემონახულია არაბულადაც<sup>3</sup>. მისი გამომცემლის აკად. ნ. მარის აზრით, აგათანგელოსის არაბული ტექსტი VII--VIII ს-ში უნდა იყოს თარგმნილი ერთ-ერთი ბერძნული ქალკედონიტური რედაქციიდან, რომელსაც ჩვენამდის არ მოუღწევია.

1892 წლიდან ცნობილი შეიქმნა აგრეთვე ქართული ტექსტი «სომეხთა მოქცევისა». ამ წელს თ. გორდანიამ მოათქმნა თავისი «ქრონიკების» I წიგნში მისი ერთი ნაწილი<sup>4</sup>, რომელიც შემდეგ, 1920 წ., მთლიანად გამოაქვეყნა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა<sup>5</sup>.

<sup>1</sup> არსებობს მისი კრიტიკული გამოცემა: *Ագաթանգեղոսայ Գաղտնիքի Նկարագրությունը* Գ. Տ. Մկրտչյան և Ս. Կասախյանից. *Տիֆլիս, 1908.*

<sup>2</sup> ვრცელი პირველად Acta Sanctorum-ის VIII ტომში დაიბეჭდა 1762 წ. შემდეგ ეს ტექსტი სომხურთან დაპირისპირებითა და ბერძნულის ლათინურ თარგმანთან ერთად ვ. ლანგლუმ დაბეჭდა კრებულში: *Collection des Historiens anciens et modernes de l'Arménie*, პარიზი, 1867, გვ. 97—194. უკანასკნელად ამ ძეგლისაზლად აღმოჩენილი ტექსტი გამოაქვეყნა პოლ დე ლაგარდმა 1888 წ.: *Abhandl. d. königl. Gesellsch. d. Wiss. zu Göttingen*, 35 (უკანასკნელი და Acta Sanctorum-ის აღნიშნული წიგნი თბილისს არ იშუებია).

<sup>3</sup> Н. Марр, Крещение армян, грузин, абхазов и албанов св. Григорием (Арабская версия), ЗВО, т. XVI, стр. 63—211.

<sup>4</sup> ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. გორდანიას მიერ, ტფილისი, 1892, გვ. 19—27.

<sup>5</sup> ცხორებაა წმ. გრიგოლ პართელისა, გამოსცა ლ. მელიქსეთ-ბეგმა, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა: *Monumenta georgica, I, Scriptorum ecclesiasticorum, № 2, 1920.*

დასახელებულ ენებს გარდა «სომეხთა მოქცევა», მოკლე წიგნის სახით, მოიპოვება აგრეთვე ლათინურად და ეთიოპურად. როგორც ე. გარითი არკვევს, ორივე დამოკიდებული ყოფილა ბერძნულ ვერსულ რედაქციაზე.<sup>6</sup>

აღნიშნულ ყველა წყაროში შემადგენელ ნაწილად შესულია «რიფსიმეანთა წამება». ზოგიერთგან ეს ნაწილი ცალკე წიგნადაც მოიპოვება. ასეა მაგ., სომხურში, სადაც რიფსიმეანთა მარტვილობის წიგნი, უნეტესად «მრავალთავებში» (*Հարկնսիր-ებში*) საკითხავად წარმოდგენილი, ზოგჯერ თითქმის ზედმიწევნით ხედება „სომეხთა მოქცევის“ იმ ნაწილს, რომელიც რიფსიმეანთა წამებას ეთმობა.

რიფსიმეანთა მარტვილობა ცალკე წიგნად ქართულადაც შენიშნეს 1915 წ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა ამ წლის ეურნალ „Христианский Восток“-ში ცნობა მრათავსა (ტ. III, გვ. 313—314) იმის შესახებ, რომ სააზიო მუზეუმის აქამომდე ცნობილი № 56 ხელნაწერის გარდა რიფსიმეანთა წამება შემოუნახავს თბილისის საეკლესიო მუზეუმის № 1043 ხელნაწერსაცო. აქვე ლ. მელიქსეთ-ბეგმა თავისი დაკვირვებაც გაუზიარა მკითხველს, თუ რა წარმოდევლობისა არის რიფსიმეანთა ქართული მარტვილობის წიგნი. იგი მისი, აზრით, „აღის ბერძნულ (და არა სომხურ) რედაქციასთან აგიოგრაფიული ძეგლისა—მეტაფრასისა“<sup>7</sup>.

იზიარებდა თუ არა ამ ცნობის განმომქვეყნებელი, ეურნალის რედაქტორი ნ. მარი ცნობის მომწოდებლის, ლ. მელიქსეთ-ბეგის აზრს, არ ირკვევა. ცნობას ის მხოლოდ იმ შენიშვნას ურთავს, რომ სააზიო მუზეუმის № 56 ხელნაწერის მიხედვით მარტვილობის წიგნი დიდი ხანია მომზადებული მაქვს გამოსაცემადო<sup>8</sup>. რამდენადაც ვიცით, აკად. ნ. მარს არც მარტვილობის ტექსტი და არც რაიმე სხვა მისი დაკვირვება ამ ძეგლთან დაკავშირებით არ გამოუქვეყნებია.

მომდევნო ხანებში აქა-იქ ჩნდებოდა რიფსიმეანთა მარტვილობის წიგნის ზოგიერთი ხელნაწერი. უალრესი მნიშვნელობისა იყო მათ შორის მარტვილობის წიგნის ერთი ფურცელი. რომელიც კემბრიჯს მიაკვლია 1932 წ. ცნობილმა ორიენტალისტმა R. Blake-მა და იმავე წელს გამოაქვეყნა<sup>9</sup>. მნიშვნელოვანი იყო ეს ფრაგმენტი მით, რომ XI საუკუნეს ეკუთვნოდა ხელის მიხედვით.

აი ძირითადად ის, რაც აგათანგელოსის „სომეხთა მოქცევისა“ და მასში შემავალი „რიფსიმეანთა მარტვილობის“ შესახებ იყო ცნობილი 1932 წლისათვის.

რიფსიმეანთა მარტვილობის წიგნთა განოვლინებისა და შესწავლის შედეგად 1934 წ. გამოსაცემად ზოვამზადეთ ტექსტი ჩვენ მიერ მოძიებული ყველაზე მეტად სანდო ნუსხების მიხედვით და შევეცადეთ გაგვერკვია ძეგლის წარმომავლობა, აღმოცენების ხანა ქართულად და გამოძახილი ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში.

არც მარტვილობის წიგნი და არც ჩვენი დაკვირვებანი მის გარშემო სხვადასხვა მიზეზის გამო აქამომდის არ გამოქვეყნებულა. მხოლოდ ზოგიერთი

<sup>6</sup> G. Garitte, Documents pour l'étude du livre d'Agathange, გვ. 6—7.

<sup>7</sup> Христианский Восток. т. III, 1915, стр. 314.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 313, შენიშვნა.

<sup>9</sup> Harvard Theological Review, t. XXV, 1932.

შენიშვნა შევიტანეთ წამების ამ წიგნთან დაკავშირებით ამა თუ იმ ნაშრომში. ასე მაგ., 1935 წელს გამოცემულ ერთს ჩვენს წიგნში: «ძველი სომხური ენა: ქრესტომათია წერის ნიმუშებითა და ლექსიკონით» შევიტანეთ ძველ სომხურ ტექსტთა შორის ავთანგელოსის „რიფსიმეანნიც“, რომლის შესახებ ერთგან შევნიშნავდით, რომ ეს ნაწარმოები თარგმნილია ძველად ძველ ქართულზედაც-მეთქი<sup>10</sup>. როცა ამას ვაქვეყნებდით, მხედველობაში გვქონდა „რიფსიმეანთა წამების“ ის წიგნი. რომელიც ჩვენთვის ხელმისაწვდომი ნუსხების მიხედვით წინა წელს გვქონდა მომზადებული გამოსაცემად და რომლის ზოგიერთი ნუსხა, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენაჰდის ქონდათ შენიშნული პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგსა და აკად. ნ. მარს (უქანასენელს ის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოსაცემადაც კი ჰქონია მომზადებული).

მარტილობის წიგნის შესახებ ზოგიერთი სხვა დაკვირვება 1938 წელს მოვათავსეთ შენიშვნის სახით შრომაში: „იაკობ ტურტაველი, მარტილობა და შუშანიკისი“. აქ ერთგან ვწერდით: „რიფსიმეანთა წამების ძველი ქართული თარგმანიც არსებობს, ჩვენი ვარაუდით არა უგვიანეს IX ს-ისა. საქართველოს სიძველეთსაცავეებში დაცული ყველა ხელნაწერის მიხედვით, იგი, სათანადო გამოკვლევითურთ, მომზადებული გვაქვს გამოსაცემად. უძველესი ნუსხა XVI—XVII ს-ისაა, ხოლო ფრაგმენტი XI ს-ისაც მოიპოვება, რომელიც R. Blake-ს აქვს გამოცემული წყაროს მიუკვლევლად „Harvard Theological Review“-ში (ტ. XXV, 1932 წ.). გამომცემლის „მიერ recto-დ მიჩნეული გვერდი ჩვენს ხელნაწერთან მიყენებით verso გამოდგა, ხოლო verso—recto“<sup>11</sup>.

ჩვენმა ზოგიერთმა დაკვირვებამ მხარდაჭერა პოვა სპეციალისტებს შორის. ის დასკვნა, რომ XI ს-ის მეორე ნახევრის ქართველი ისტორიკოსი ლ. მროველი თავისი ისტორიისათვის „რიფსიმეანთა წამების“ წიგნს ავთანგელოსის ისტორიის ბერძნული ვერცხლი რედაქციიდან იყენებს, აკად. კ. ქეკელიძემაც გაიზიარა და კიდევაც აღნიშნა თავის ნაშრომში: ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I<sup>12</sup>.

რაზე ვამყარებდით ჩვენს ზემოთ აღნიშნულ შეხედულებებს ან, საზოგადოდ, რა საკითხებს ვარკვევდით „რიფსიმეანთა წამების“ ქართულ წიგნთან დაკავშირებით, ამას შევებებით ეხლა.

## 2. „რიფსიმეანთა მარტვილობის“ ქართული ხელნაწერები და მარტვილობის წიგნის წარმოშობა

პირველ რიგში ჩვენ ხელი მივყავით „რიფსიმეანთა მარტილობის“ წიგნთა ხელნაწერების აღნუსხვასა და ერთმანეთთან მიმართებით მათ შესწავლას. საქართველოს სიძველეთსაცავეებში სულ 6 ხელნაწერი აღვნიშნეთ და შევისწავლეთ. ესენია: 1) A (ყოფ. საეკლესიო მუზეუმის) № 511; 2) იმავე კოლექციის № 1043; 3) კვლავ იმავე კოლექციის № 1121; 4) S (ყოფ. წერა-

<sup>10</sup> ილ. აბულაძე, ძველი სომხური ენა, ქრესტომათია, წერის ნიმუშებითა და ლექსიკონით, ტფილისი, 1935, გვ. 180, შენიშვნა.

<sup>11</sup> იაკობ ტურტაველი, მარტილობა და შუშანიკისი, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილ. აბულაძემ, ტფილისი, 1938, გვ. 040—041.

<sup>12</sup> კ. ქეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, მესამე გადაშუქებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 1953, გვ. 215.

კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების) კოლექციის № 3640; 5) ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის № 193<sup>13</sup> და 6) ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის № 87.

დასახელებულ ნუსხათა შორის უძველესია A—511, რომელიც XVI—XVII ს-ისა ჩანს ხელის მიხედვით. ეს ხელნაწერი, რომელშიც «რე სიმეანთა წამებაჲ» არის შეტანილი, „მრავალთაჲს“ ან, როგორც მისი გადაწერის ხანაში ეძახდნენ, „მეტაფრასს“ წარმოადგენს. კრებული, ზოგიერთ მკვლევართა დაკვირვებით, რამდენიმე ხელნაწერის ნაწილებისაგან შედგება. დაულაგებელი და დაუნომრავი ჰქონია იგი ხელთ მის აღმწერელს თ. ჟორდანისა<sup>14</sup>, რომელმაც ამის გამო ჩვენთვის საგულისხმო აგიოგრაფიული წიგნი უპაავინციოდ შეიტანა თავის აღწერილობაში. იგი მას ნაწყვეტად (отрывок) თვლის, მაშინ როცა ნაშედილად ნაწყვეტს კი არა, ნაწყვეტებს წარმოადგენს, რომელთაც მხოლოდ ერთი ფურცელი, ე. ი. 1/3 აკლია.

ამ უძველეს ხელნაწერს რომ სხვებს, ზემოთქველ ჩამოთვლილებს, ვადარებთ ტექსტობრივად, ირკვევა, რომ იგი უფრო მეტი სისწორით იცავს ტექსტს, ვიდრე სხვები, რომლებშიც, თუ არას ვიტყვით ორთოგრაფიაზე, ხშირად დარღვეულია ძველი ენის ფორმები და შებლაღუღლია ზოგიერთი სიტყვა გაუგებრობის გამო. გამოცემა, ცხადია, ამ უძველესი ნუსხის მიხედვით დაეამზადეთ (თუმცა ერთხანს სხვა ნუსხების განსხვავებულ წაკითხვებსაც ვურთავდით, მაგრამ, რადგან ესენი ძირითადად ორთოგრაფიული ხასიათისა იყვნენ, ისიც გვიანდელი ხანისა, მათზე ხელი ავიღეთ). გამოსაცემად შერჩეული ნუსხის (A—511) დანაკლისი ადგილი სხვა, XVIII ს-ის ხელნაწერებით შევავსეთ.

ნუსხების ერთმანეთთან დამოკიდებულების გარკვევის შემდეგ კითხვა შეგობ იმას, თუ რა წარმოშობისაა «რიფსიმეანთა მარტვილობისა» ქართული წიგნი. ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი მოიპოვებოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (გვ. 146), იგი პროფ. ლ. მელიქსეთ-მეგს ეკუთვნოდა. ამ ავტორის განცხადებით, «რიფსიმეანთა წამების» ქართული წიგნი თითქოს ბერძნულამდის აღის და ისიც მეტაფრასამდის.

ქართულ-სომხური ტექსტების გამოწვლილვითმა შეჯერებამ აღნიშნული შეხედულება არ გაამართლა. პირიქით, საწინააღმდეგო გვიჩვენა, — «რიფსიმეანთა მარტვილობის» ქართული წიგნი სომხურზე დამოკიდებული და მისგან მომდინარე აღმოჩნდა. მას ისეთი ნიშნები აღმოაჩნდა, რომლებიც ბერძნულიდან მომდინარედ ვერ მიგაჩნვეინებთ.

რანაირ მიმართებაშია ერთმანეთთან ქართულ-სომხური ტექსტები ან რა ნიშნებია ისინი, რომლებიც მას ბერძნულიდან წარმოშობილად ვერ გამოგვაცხადებინებთ?

ქართული და სომხური ტექსტი საერთოდ ერთიმეორის მიმდევარია. თხრობის მხრით არსად არ გვხვდება მათში ისეთი რამ, რაც ერთს გააჩნდეს და მეორეს არა. მიუხედავად ამისა ტექსტობრივი შედარების დროს ქართული ბევრ შემთხვევაში თავისებურია.

აგათანგელოსის სომხური ტექსტი სხვა სომხურ საისტორიო ნაშრომთან მიმართებით სტილის მხრით, როგორც ეს უკვე შენიშნულია ფილოლო-

<sup>13</sup> ქუთაისის ნუსხა გადომიწერა კოლ. ქ. სანაკიძემ, რომელსაც მადლობას ვსწირავ.

<sup>14</sup> Ф. Жордания, Описание рукописей Тбилисского Церковного Музея., книга II, Тифлис, 1902.



მაგრამ სად აჩვენა მან ეს ძალი, არაა დასახელებული ქართულში, სომხურში კი ოლიმპიადი არის ნახსენები.

ამათ გარდა ქართულში სრულიად არა აქვს შესატყვისი სომხურის ერთ ადგილს: *Ուս նդեպ ՚համրահայր հարկանել ընդ վիմին հաստասնոյ, ընդ հաւատոցն ինկղեցոյ. վիմին ինչ ոչ սանանել կարացեալ՝ ինքն աւ վիմին խորտակեալ: Սակայն յամբարհաւանութիւն միւլգնիւթիւնսն վատահացեալ՝ բազում է անչափ էր այն, որ ի նմանէ անցանէր ընդ ինկղեցիս Աստուծոյ* (გვ. 80,16—81,3).

რით აიხსნება ასეთი ხასიათის სხვაობა და დაკლება, ძნელია თქმა. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ქართული თავისებური სომხური ვარიანტიდან მომდინარეობდეს.

ძნელია აგრეთვე ისეთი ადგილების ახსნაც, სადაც ქართული სომხურ ტექსტს ყოველთვის არ უჭერს მხარს. მაგ.:

1. ...*որ ի վերջս ապոյն շինեալ էր, զոր զդրուցեն խոփութիւնք նեղութեանց պնդես փորձութեանց:*

(გვ. 83,9).

2. ...*և արժանիս արա զմզ գէշերոյն լուսոյ հորտանեաց. յորում զգէշերն իբրև զաւել լուսաւոր տոնիչես ի ծագել ճառագայթից յերեսաց փառաց քոց.*

(გვ. 38,12-14)

3. *Դու եւ Աստուած նշարիտ, որ և զԴանիէլ, կուր արկեալ զազանաց—ապրուցիւք յանազն ժանեացն, և կացուցիք զբարութեանս աստի նեղացն փառաւորութեամբ:*

(გვ. 98,15-17).

4. *Դու և զախაզին քո Շուշան կրկին սպրեցուցիք, յերկուց մահուց փրկեալ:* (გვ. 99,4-5).

5. ...*խօսեցաւ սուրբն Մայკոնէ ի բարբառ ლომայեցուց...: Իայց զոյին անդ იմանք ի սպասատրացն արքունի, որ լսէին զայն ամենայն ի բարբառ ლომայეցուց:*

(გვ. 103,7-11).

6. ...*ორ მონგანს ի քիւ վկայեցին՝ ընդ ամենայն սպանեալսն երեսուն և եօթն մարդ:*

(გვ. 112,13-14).

რომელი კვშასა ზედა დაშენებულ იყო რომელსა ვითარცა ეცნეს ქარნი, დაემგუა: და იყო დაკემა იგი მისი დიდ.

(გვ. 165,7-8).

და ღირს მყვენ ჩუენ ხუთთა მათ თანა ქალწულთა, რომელთანი არა დაუშრტეს სანთელი მათნი ჳორწილსა მას, და ღამესა ვითარცა დღისი გჳლოდემ გამობრწყნივებასა ჩუენ ზედა პირსა შენისასა დიდებითა.

(გვ. 165,10-13).

შენ ხარ, რომელმან განარინე დანიელ, რომელი-იგი მისცეს შესაკმელად მვეტთა, და დაიცევ იგი მღვრესა მას შინა.

(გვ. 171,14-16).

შენ ხარ, რომელმან განარინე სუსანა, მვეჯალი შენი, ორთა მათგან ცრუთა მონაშეთა. (გვ. 171,23-24).

წმიდა იგი გაიანე ეტყუადა სიტყუათა ამათ ებრაელებრ... იყენეს ვინმე მუნ მტარეალებრ თაგანი მეთისანი, რომელთა ესმოდა ყოველი იგი სიტყუა ებრაელებრ.

(გვ. 173,24-27).

...რომელნი შეერაცხნეს რიცხუსა მონაშეთასა, ყოვლითურთ იყენეს რიცხუთ ოცდაათურამეტ კაც.

(გვ. 177,26-27).

აღნიშნულ მოწმობათაგან პირველი ოთხი, რომლებიც ბიბლიის ეპიზოდებს ეხება და განსხვავებულია სომხურისაგან, შეიძლება მთარგმნელის საკუთარი შემოქმედება იყოს, ანდა აღებული ჰქონდეს რომელიმე მისთვის ცნობილი ნაწარმოებიდან (ასეთ მომენტებს ქართულ სხვა ნაწარმოებშიც ვხვდებით). გადმონაკეთები ან, მით უმეტეს, თარგმანი არა ჩანს. რაც შეეხება დანარჩენ ორ მოწმობას, იქ ფაქტურის მომენტები შეცვლილია: 1. ლტოლ-

ვილნი ებრაელები მეტყველებენ და არა რომაელები, როგორც ეს სომხურ-შია; 2. მოწამეთა რიცხვი ქართულში ოცდათვრამეტია წყაროს ოცდაჩვიდმეტის ნაცვლად. აქაც შესაძლოა რაიმე განსხვავებული მოსაზრებით ხელმძღვანელობდა მთარგმნელი (თუ იგი მას ეკუთვნის და არა გადამწერით), ანდა ეს სხვაობა კვლავ თავისებური სომხური ვარიანტიდან მომდინარეობდეს.

სომხური ტექსტის კრიტიკული გამოცემის ერთ ადგილს არ უკერს მხარს ქართული მარტივობა. მის ნაცვლად იგი სომხური ტექსტის შენიშვნაში გატანილ ზოგიერთ ნუსხასა და აგრეთვე უძველეს პალიმესტურ ხელნაწერს ემხრობა<sup>18</sup>. ეს ადგილია:

...սպა ეს ხრციღყნ აოიღყნ  
ნამჟანს ჩიკასკსა...

(გვ. 90,9).

და შედგომად სამისა დღოსა ჰამბავი  
იგი განმრავლებოდა.

(გვ. 167,31).

ქართულის მსგავსად ხსენებულ ნუსხებსა და პალიმესტურში „ხრციღყ“—ოთა-ს ნაცვლად „ხრცი“—სამთა არის.

ქართულისა და სომხური ტექსტების შედარებისას ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი გარემოება. ქართულში თხრობა ზოგან მესამე პირის ნაცვლად პირველი პირით მიმდინარეობს:

1. *ქაანს აყოიჩქ მთილს ვეჩქიქ  
ბნეხანს ჩიქანს, ვიხუა კ ვათაფილათა  
კ ვამრბაიღ ვაფაქიჯუა კ ვოთჩაკანსა  
ქაანს აათოიბანქანს ჩრამანჩის ვანბჩის  
ჩიქანს ვიხუთაქანს ვიღარქანს კარ-  
ფაქ ილათიროსაქ ვაროიღს ვაქიღქანამქ,  
ვიქ ვსათილათ თსასანქ კარათანს;*

(გვ. 25,8-12).

2. *...ვაქე მჩაკე მქ იქ ზქ, იქ  
ყაჩიქე ვანსი ზორა, ჩირს ვამრვარჩი  
ყათილანს ვათხაქ ჩიქიღქანამქ, ვანსაქ კ  
ვვიღავსლქ ქჩჩი ზამ, ათხაქ ვიხუანს ყა-  
თილჩს, ვყათანქ მავალიროქ მხანს კ ვარვა-  
აკანს მათიღვანჩი; ირყანს ყათილანსთ-  
ქანს იოთიჟ აყოიჩქ ხრესაქ თათქ ჩ-  
ქანსიოთე ლაქათათანს აქიარჩის თსამაქ,  
ჩიქ ქათაღიროქ მხანს თა აათილათიქ მხანს  
ჩიქიღ ქჩჩი ვაჩიღვანს;*

(გვ. 89,12-18).

აღნუსხული შენიშვნებიდან ნათლად ირკვევა, რომ ქართული მარტივობის წიგნი საერთოდ მხარს უკერს არსებულ სომხურ ავთანტელოსს, მაგრამ ამასთან ერთად იგი თავისებურებასაც იჩენს, რაც სომხურის განსაკუთრებული ვარიანტისაგან მომდინარეობაზე უნდა მიგვიითითებდეს და არა რაიმე გაუგებრობის ნაყოფზე.

რიფსიმეანთა წამების ქართული წიგნის სომხურიდან მომდინარეობას მითუმ აღვნიშნავთ ასე დაეინებით, რომ ის ისეთი ნიშნების მატარებელია,

<sup>18</sup> მ. ბილაძის, ვერსიის მივიწყებო... ქცხსა, 1911, 67-100.

რომლებიც სხვა რომელიმე უცხო წყაროდან ვერ შენოვიდოდა მასში. ასეთია პირველ ყოვლისა საკუთარი სახელები. მათი გადმოცემა უმეტესად სომხურ ფორმას უჭერს მხარს და არა სხვა რომელიმეს. გეოგრაფიულ სახელთაგან ასეთებია: 1. „ვალენშეა-ქალაქი“, რომელიც *Վաղարշապատ*—ვალარშაპატ-ის შესატყვისად არის ნახმარი ქართულში. 2. „არტაშა ქალაქი“, რომელსაც სომხური ტექსტით *Արտաշատ քաղաք*—არტაშატ ქალაქი შეესატყვისება. 3. „ნოროქალაქი (|| ნორქალაქი)“, რომელსაც სომხურით *Նորաքաղաք*—ნორა-ქალაქი უდრის.

სომხურზე დამოკიდებულების ასეთ აშკარა მაჩვენებელ ნიშანთა გვერდით ვხვდებით აგრეთვე გეოგრაფიულ სახელთა ისეთ ქართულ შესატყვისებს, რომლებიც ტრანსკრიპციას არ წარმოადგენენ. ასეთებია: 1. „კუბანი“ (sic) *Ասորպատական*—ატრაპატაკან-ის შესატყვისად. 2. „არშაკთა სოფელი“ *Պարթև-სայ կղզի*—პართველთა კერძო-ს შესაბამისად. 3. „სარკინოზნი“ *Մանկաստան*—ტუქასტან-ის აღსანიშნავად. 4. „ფრომინი“ *Մուսայ աշխարհ*—იონთა სოფლ-ის გამოსახატავად. პირველს გარდა ყველა დანარჩენი ასეთი შესატყვისობით მოიპოვება ადრინდელ ქართულ მწერლობაში.

მოსალოდნელი იყო აგრეთვე, რომ სომხური საკუთარი სახელის, *Շուշան*-ის შესაბამისად ქართულში „შუშან“ ყოფილიყო, მაგრამ ამის ნაცვლად „სუსან-ს“ ვხვდებით, თუმცა ეს მართო ჩვენი ძეგლის დამახასიათებელი არაა. ასეთი შემთხვევა მოიპოვება სხვა, უმკველად სომხურიდან მომდინარე ძეგლშიც. ესაა: „წამებმა წმიდათა მოწამეთა შესუქავეთა“<sup>17</sup>. აქ ვკითხულობთ:

ისმინე, უფალო, ლოცვისა მოსავთა  
შენთაჲსა, ვითარცა ისმინე ლოცვაჲ დანიელისი  
და სუსანასი და იჯსენ დანიელ პირისაგან  
ლომთაჲსა და სუსანა ცრუთაგან მოხუცე-  
ბულთა<sup>18</sup>...

*სიერ ატერ ავიძიქუ ზოაიქუ გიჲ  
იოსავეციუ ზ ქსე, ირატა ილარ ავიძიქუ  
ზანქქი ჰ სოჯანსაჲ, ძრქელიქ ვოანქიქ  
ქ ვეოჲ ათქიოჲ ჰ ვნოჯან ზ ვან  
ბხრეი<sup>18</sup>*

«რიფსიმეანთა წამების» წიგნში ჩვენ ბლომად ვხვდებით სომხურთან საერთოს მქონე საზოგადო სიტყვებს. დიდი უმეტესობა მკვიდრი სომხური სიტყვები არაა, უმთავრესად ირანული ენობრივი სამყაროდან არის სესხებული. ზოგი ამათგანი, უმკველია, სომხური გზით უნდა იყოს შემოსული ჩვენში ზოგიერთ სხვა წყაროდან მომავალთან ერთად. ამის ამოცნობაში ხელს გვიწყობს ის დალი (ფორმისა და შინაარსის მხრით), რომელიც ასეთ სიტყვებს აზის არაპირდაპირი გზით შემოსვლის გამო. ჩვენი ნუსხიდან ასეთებს ეკუთვნის:

- |                 |                     |                                    |
|-----------------|---------------------|------------------------------------|
| 1. ამბოზი .     | • <i>ამციხ</i> .    | ambōh (ფალ.)                       |
| 2. გჳენია .     | • <i>გხნან</i> . .  | • gei-hinnom (ებრ.), ბერძ. γέεννα. |
| 3. ცამი .       | • <i>ჰამ</i> . .    | • zamān (ფალ.)                     |
| 3. ჟრაქპარაკი . | • <i>ჯრაქაროქ</i> . | • *frapābak (ფალ.)                 |
| 5. ჰროვარტაკი . | • <i>ჰრივაროქ</i>   | • fravartak (ფალ.)                 |
| 6. (სა)ვან(ე) . | • <i>ვან</i>        | • *wahana (ირან.)                  |
| 7. ქალაქი .     | • <i>ქალაქ</i>      | • kalak (ასურ.)                    |

<sup>17</sup> ილია აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში..., თბილისი, 1944, გვ. გვ. 0131—0136; 22—62.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 45, 7—9; 14-19. შდრ. *სიძებრე ჯაქყასანე*, XIX, გვ. 48, 14-19.

უფრო ძნელია რაიმე გადაწვეტილების გამოტანა იმ სიტყვების მიმართ, რომელთა წარმოშობა სომხურისათვის უცნობია. ასეთებია:

1. (კ)ამბავი .	. <i>համբաւ.</i>	6. სენაკი .	. <i>սենსակ.</i>
2. დასი .	. <i>դաս.</i>	7. ტრფ(იალი) .	. <i>տրփ(ող).</i>
3. ბილწი .	. <i>պիղծ.</i>	8. ფოლო(რ)ცი .	. <i>փոփոջ.</i>
4. პარი . . . . .	. <i>պար.</i>	9. ქეშმარიტი . . .	. <i>չէսարիտ.</i>
5. (და)პატრ(ული) .	. <i>պատուհատուհ.</i>	10. ცოფი (სიციფე) .	. <i>ցոփ(ու)թին.</i>

დაეას არ იწვევს, რასაკვირველია, ისეთი სიტყვა, რომელიც საკუთრივ სომხურია, ე. ი. გარკვეული კორესპონდენციის მქონე ინდო-ევროპულ ენებში. ასეთია:

1. სასტიკი... *սասიქ* (←*սასი*).

დანარჩენ სიტყვათა შესახებ გვგონია, რომ ისინი შეიძლებოდა უშუალო და ც შენოსულიყენენ ქართულში:

1. ბუნება) .	<i>բն(ութիւն)</i>	buu (ფალ.)
2. გუნდი .	<i>գունդ</i>	. *gund (ირან.)
3. მარგალიტი .	<i>մարգարիտ .</i>	μαργαριτης (ბერძ.)
4. ნიში .	<i>նշան</i>	nišān (ფალ.)
5. პატივი .	<i>պատիւ .</i>	*patiṽ (ფალ.)
6. როკიკი .	<i>ռոճիկ</i>	*rōnik (ფალ.)
7. ვაპარი .	<i>վանար</i>	. vāčar (ფალ.)
8. ტანჯვა(ნი) .	<i>տանջանք</i>	*tanj (ფალ.)
9. ტაძარი .	<i>տաճար</i>	. tačara (ძვ. სპ.)
10. ტომი ,	<i>տոհմ .</i>	. tohm (ფალ.)
11. შენ (დაშენება) <i>չին(ել)</i>		. šēn (ფალ.) <sup>12</sup> .

რიფსიმეანთა მარტეილობის ქართულ წიგნში ვხვდებით ისეთ სიტყვებსაც, რომლებიც, მართალია, სომხურ ლექსიკაში საბადლოს პოულობენ, მაგრამ შემონახული სომხური ტექსტის სათანადო ადგილის ტრანსკრიბაციას კი არ წარმოადგენენ, არამედ მის სინონიმს. ასეთებია—1. „ნიორაკთ-მოდღუარი“ და 2. „სიმიავთ-მწერალი“. პირველის, — ნიორაკთ-მოდღურის, — შესატყვისად სომხურში *նուիրակակա* იყო მოსალოდნელი, მაგრამ იგი შეცვლილია *դარნიպ-ყს* სინონიმით. *ნուիրակ* ფალაურიდან შემოსულად ითვლება სომხურში, ხოლო ქართულში სომხურიდან შემოსული უნდა იყოს. მეორე სიტყვის, — სიმიავთ-მწერლის, — შესატყვისად მოსალოდნელი იყო სომხურში *սხმագիր*, ხოლო გვაქვს—*նշანագիր*; *Սხմագիր*, ისე როგორც „სიმიავთ-მწერალი“, ბერძნულიდან ჩანს შემოღებული როგორც სომხურში, ისე ქართულში.

აღნიშნული სიტყვების ხმარება მართო ჩვენს ძეგლს არ ახასიათებს. მრავალი მათგანი სხვა თხზულებებშიც იხმარება, როგორც თარგმნის, ისევე ორიგინალურშიც. ყველაზე იშვიათი მათ შორის შემდეგია:

1. ბუნება—სამკვიდროს (წარმოშობის ადგილის) შინაარსით;

2. დაპატრული—დახეულის, დაგლეჯილის აზრით (აქიდანაა. „პატარა“—ნახვის, ნაგლეჯის, ნამცეცის, მცირის, ცოტას გაგებით);

<sup>12</sup> ეტიმოლოგიებისათვის იხ. ზრ. Ա ճ ա ռ ի ն, Հոյնիքն արմատական բուսական. I—VII ტტ. ერევანი, 1926—1935.

3. პარი—ცეკვა-თამაშის ანუ როკვის აზრით;

4. ნიორაკთ-მოძღვარი—მთავარი მსახურის, ბრძანების აღმსრულებლის გაგებით, და

5. სიმიაფთ-მწერალი—ნიშნებითა თუ მნიშვნელოვანი ამბების მწერლის შინაარსით<sup>20</sup>.

იშვიათი ხმარების სიტყვათა ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ „გუთუფარიც“. აი კონტექსტი, სადაც ის გვხვდება:

ვგრე სახედ (ლაპარაკია გველის შესახებ) აწ მეფე ესე უკეთური გუთუფარი იყო და მით ჰბრძავს გელესიათა და მსახურთა ღმრთისათა, *მოქსაჲსა და სათა იქსადაიონს ანორენ დეჲ-ჩანასაჲ ხრესაჲ, ფახაქ' ზიქსა ქართიღესაჲ ენჲ სათოსაბაჲგუნს ხცხეგხესა* (გვ. 80,9-10).

(გვ.163,30-31 ).

ამ აღვლიდან თრდატ მეფე „გუთუფარ-ად“ არის წარმოდგენილი. „გუთუფარს“ სომხურით *ქარანასაჲ ხრესაჲ*, ე. ი. „ფარი სახეთა“ შეესატყვისება. რომ მართლაც „გუთუფარი“ საბრძოლო იარაღია, ეს ერთი სხვა ძველი ქართულის ძეგლიდანაც ჩანს. ესაა იპოლიტე რომაელის განმარტება „დავითისა და გოლიათისთჳს“, რომელიც მოთავსებულია შატბერდის კრებულში (X ს-ის ხელნაწერში, S—1141). აქ ვკითხულობთ: „შესძრვიდა [გოლიათი] ჯაქუ-ქურსა თჳსსა და თავსა ყრიდა, უთქუმიდა, გულსა შინა იმულრობდა ვითარცა ზუარაკი, მუოდა ვითარცა ლომი, და აღიპყრა ვიდრე სიმალლედ თჳსადმედ გუთურფარი თჳსი და აჩუენებდა მარჯუენესა გელსა ბრკიალებითა ჰოროლსა მას...“ (S—1141, გვ. 324).

როგორც ვხედავთ, რიფსიშვიანთა მარტვილობის „გუთუფარი“ აქ წარმოდგენილია „გუთურფარ-ის“ სახით, რაც უფრო მართებული ჩანს. იგი კომპოზიტი უნდა იყოს, შედგენილი „გუთურ“ + „ფარ“-ისაგან<sup>21</sup>.

ლეონტი მროველის ბერძნულ აგათანგელოსზე დამოკიდებულებას და „რიფსიშვიანთა მარტვილობის“ ქართული წიგნის სომხური აგათანგელოსიდან ნათარგმნობას კიდევ ერთი შემთხვევა მოწმობს. როარტაგის ერთი აღვლილი სომხურისა: „*ა ჩხჲ ჩამხათიქჩხნ იჲ ფიქ ჩ ნიოსა*“ არ მოიპოვება არც ბერძნული აგათანგელოსის ვრცელ რედაქციაში და, ცხადია, არც ლეონტი მროველთან, რომელიც მისით სარგებლობს. „რიფსიშვიანთა მარტვილობის“ ქართულ წიგნს კი ეს აღვლილი ასე აქვს გადმოცემული: „*არა თუ სიმტიცე რაჲმე არს მათ თანა*“. ქართულ კონტექსტში გაუგებარია „სიმტიცე“, იგი არ შეესწორება სომხურ *ჩამხათიქჩხნ*-ს. ეტყობა, აქ non sens-თან გვაქვს საქმე. ქართულად გადმომღებს არეგია *ჩამხათიქჩხნ* და *ჩასათიქჩხნ*, რაც გარაფიკულად დასაშვებია, მით უმეტეს, თუ პატივის ქვეშ იქნებოდა ეს სიტყვა.

ამნაირად, ჩვენი ძეგლის საკუთარ სახელთა გადმოცემა, ისე როგორც მისი სომხურ-ქართული საერთო ხმარების

<sup>20</sup> უცხო სიტყვათაგან, რომლებიც მარტვილობის წიგნში იხმარება აქა-იქ და, სავრთოდ, იშვიათია ძველი ქართულისათვის, აღსანიშნავია: „მანი“ (აქიდან: „მემაწე“), რაც ფალაური სახე უნდა იყოს სპარსული *مینا* mina-სი (ე. ი. შუშისა, მინისა), და „როსკი-ი“ ← როსპი-ი, რაც აგრეთვე ამავე მნიშვნელობის ფალაური *ruspik*-ია (იხ. Nyberg, Hilfsbuch des Pehlevi, II Glossar, Upsala, 1931, p. 198). „მანი“ საბასაც აქვს ზემოთ აღნიშნული შინაარსით დამოწმებული ბიბლიიდან: იოზ 28,17 (შდრ. A—51).

<sup>21</sup> სხვა არაქული ქართული სიტყვების ნუსხა იხილეთ ბოლოს (გვ. 179-180).

ლექსიკა და ერთგან შენიშნული non sens-ი აშკარად მიგვიითებს მასზე, რომ ქართული წიგნი რიფსიმეანთა მარტვილობისა სომხურიდან არის მომდინარე, იგი მის თარგმანს წარმოადგენს. ის თავისებურებანი და გადახრანი კი, რომელთაც იგი იწენს სომხურ ტექსტთან მიმართებით, მოწმობენ იმას, რომ ქართულს გამოუყენებია არსებული სომხური ძეგლისაგან რამდენადმე განსხვავებული ვარიანტი, რაც, უეჭველია ფასეულს ხდის ქართულ ძეგლს.

### 3. როდინდელია ქართული თარგმანი „რიფსიმეანთა მარტვილობისა“?

პირდაპირი ნიშანი, რომელიც გვაუწყებდეს ძეგლის ქართულად აღმოცენებას, არ მოიპოვება. როგორც აღვნიშნეთ. მარტვილობის წიგნის უადრინდელესი ნუსხა, ფრაგმენტის სახით, XI ს-ს ეკუთვნის, სრული კი XVI-XVII ს-მდის არსად შეინიშნება. ერთი უკიდურესი ზღვარი, რომლისთვისაც ჩვენი ძეგლი არსებულად უნდა მივიჩნიოთ ქართულად, XI საუკუნეა. მეორე მიჯნა კი, რომლის უწინარესი ის თარგმნილი ვეღარ იქნებოდა, VIII საუკუნეა. ამ საყრდენს თვით ძეგლი გვაძენს. მის დასასრულს ვკითხვლობთ: „ხოლო ვითარ იდიდნეს გუაშნი მათნი (ე. ი. რიფსიმეანთა) ვრცელსა მას გრიგოლის ცხოვრებასა წერილ არს“-ო. გრიგოლის ვრცელი ცხოვრება, როგორც ენახეთ, აგათანგელოსის ისტორიაა, რომლის ერთ ნაწილს რიფსიმეანთა მარტვილობა შეადგენს. ჩამოყალიბება ამ ისტორიისა სომხურ ენაზე, რომლისაგანაც ქართული წიგნი რიფსიმეანთა წამებისა მომდინარეობს, VIII ს-ის საკმელ ითვლება. ამიტომ არის სწორედ, რომ ეს საუკუნე, უფრო ზედმიწევნით, ამ საუკუნის პირველი ნახევარი ითვლება ხანად, როცა ჩვენამდის მოღწეული აგათანგელოსის სომხური რედაქცია შეიქმნა<sup>22</sup>.

ამ ორ უკიდურეს ზღვართა შორის, VIII ს-ის მეორე ნახევარსა და XI ს-ს შუა უნდა დაიდვას, მაშასადამე, რიფსიმეანთა მარტვილობის ქართული წიგნის წარმოშობა. ენობრივი ნიშნების მიხედვით ეს ზღვარი შეიძლება უფრო ამ პერიოდის დასაწყისისაკენ წამოვიღოთ, კერძოდ VIII ს-ის მეორე ნახევარსა ან მეცხრე საუკუნის დამდეგზე. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საკმაოდ ვრცელი მარტვილობის ჩვენი წიგნის მანძილზე შეიმჩნეოდა როგორც არქაული, ისე უცხოური ისეთი ლექსიკა, რომელსაც ჩვენი ენის ძირითად ფონდში VIII ს-მდის მკვიდრად უდგას ფეხი. ამასთან მარტვილობის ტექსტში არც ერთი არაბული და არც ერთი ახალი სპარსული ენის ლექსიკური ერთეული არ მოიპოვება. რაც მხოლოდ მერვე საუკუნის გასულიდან შეინიშნება ჩვენს მწერლობაში.

მარტვილობის ტექსტის ენის ადრინდელობას, სხვათა შორის ზოგიერთი ტერმინის ძველი შინაარსით ხმარებაც მოწმობს. როგორც არა ერთგზის აღვნიშნავს. აკად. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, ძველ ქართულ ძეგლებში VIII ს-მდის ზედმიწევნით იყო გარჩეული „სოფლისა“ და „ქუეყანის“- ხმარება. „სოფელი“ მსოფლიოს ან მის ნაწილს (და არა ძველი ქართულის „დაბას“) აღნიშნავდა და „ქუეყანა“—მიწას, ტერიტორიას<sup>23</sup>. ამ მხრივ რიფსიმე-

<sup>22</sup> ივ. ჯავახიშვილი. ძველი სომხური საისტორიო მწერლობა. წიგნი I. ტფ., 1935, გვ. 144.

<sup>23</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილის ამ დაკვირვებაში ბოლო ხანს ეკვი შეიტანეს. პ. ინგოროვიცის თავის ნაშრომში („გეოგრაფიკი მერაქლე“) „სოფელთან“ დაკავშირებით უწერია: „მეგრამ ეს



მკ: „სთულისაჲ“ კარგად ესწორება ჩიჩქ-ს, მაგრამ რამდენად წესიერად არის შეფარდებული ხსენებულ თვეთა რიცხვები, ეს ცალკეა საძიებელი.

4. აბათანგელოსის ისტორიისა და კარგად „რიფსიმიანთა მარტვილოზის“ გამოქაბილი პართულ საისტორიო მუშაობაში

სომხური აგათანგელოსის ისტორია, რომელიც მარტოოდენ ერთი რედაქციით არის ჩვენამდის მოღწეული, ჩამოყალიბებულად ითვლება VIII ს-ში. ეს, ე. წ. ნაციონალური სომხური რედაქცია, რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. მკვლევარ ისტორიკოსთა შეხედულებით მისი ზოგიერთი შემადგენელი ნაწილი თავდაპირველად ცალკე თხზულებებს წარმოადგენდა<sup>25</sup>. არა ერთი ეპიზოდი მიაჩნიათ შეტანილად მასში შემდგომშიც. ზოგიერთ შემადგენელ ნაწილს, როგორც ირკვევა, ძველადვე გასცნობია ქართული საისტორიო მწერლობა და გამოუყენებია კიდევ ისინი მას, როგორც მაგ., XI ს-ის მეორე ნახევრის ისტორიკოსს ლეონტი მროველს.

ძველი ქართული ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევართათვის უკვეელი იყო და არის ლეონტის ნიერ უცხო წყაროების გამოყენება წარმართობის ხანის ქართველთა თავგადასავლისა და მოქცევის სურათის დასახატავად. დაწვრილებით ამ საკითხს სხვებზე უფრო მეტად აკად. კ. კეკელიძე ეხება<sup>26</sup>. მან აღნუსხა უცხო წყაროთა შორის ყველა ის სომხური წარმოშობილობის წყარო, რომლებითაც ლეონტის უსარგებლია. ასეთად კი მიაჩნია: 1. აგათანგელოსის ისტორია ანუ „მოქცევაჲ სომეხთაჲ“, 2. რაფსიმიანთა ნარტვილობის წიგნი და 3. მოსე ხორენელის „ცხოვრება სომეხთისა“.

აკად. კ. კეკელიძემ არა მარტო აღრიცხა გამოყენებული წყაროები, არამედ ცალა კიდევ ზოგიერთის შესახებ ეჩვენებინა აგრეთვე ის ტექსტები, რომლებსაც იყენებდა ისტორიკოსი. ასე მაგ., «სომეხთა მოქცევის» ანუ გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების შესახებ ის ფიქრობს, რომ ლ. მროველს ეს ძველი ხელთ უნდა ჰქონოდა ბერძნულ ენაზე, „მაგრამ არც ერთი მათგანი, რომელთაც დღეს ვიცნობთ ჩვენ“, არამედ სხვა, მესამე, რომელიც „უფრო უახლოვდება მეტაფრასულს, ვიდრე ვრცელ აგათანგელოსს“<sup>27</sup>. ამ მხრივ საწინააღმდეგო შეხედულებას ადგას პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი<sup>28</sup>. მასაც უდავოდ მიაჩნია ის, რომ ქართველი ისტორიკოსი აგათანგელოსის ისტორიით სარგებლობს, მაგრამ ჰგონია, რომ ლ. მროველს ქართლის მოქცევისთან დაკავშირებული ამბებისათვის გამოიყენებოდა ბერძნულიდან მომდინარე (სვიმეონ ლოკოთეტის მეტაფრასის) ქართული თარგმანი, რომელიც მან გამოსცა 1920 წელს<sup>29</sup>.

თუ „სომეხთა მოქცევის“ მიმართ საკითხი იმდენად ნაინც მოგვარდა, რომ ბერძნული აგათანგელოსის ესა თუ ის რედაქცია ან თარგმანი იქნა ნავარაუდები ქართველი ისტორიკოსის წყაროდ, სამაგიეროდ მის მიერ გამო-

<sup>25</sup> იე. ჯ. ავახიშვილი, ძველი სომხური მწერლობა, I, თბ., 1935, გვ. 71—83.

<sup>26</sup> კ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები: ტფილისის უნივერსიტეტის შიგნით, III, 1923, 27—56.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 29.

<sup>28</sup> Л. Меликсет-беков, Грузинская версия Агафангелия и ее значение: Христ. Восток, IV 2, გვ. 155—170.

<sup>29</sup> ლ. მელიქსეთ-ბეგი, ცხოვრება წმ. გრიგოლ ქართველისა, თბ., 1920.

ყენებული სხვა სომხური წარმოშობილობის წყაროს შესახებ, როგორცაა 1. რიფ-სიმეანთა წამება და 2. მოსე ხორენელის ისტორია, ესეც ვერ მოხერხდა. პირველის შესახებ პროფ. კ. კეკელიძემ მხოლოდ ის აღნიშნა, რომ იგი, ე. ი. რიფსიმეანთა წამება, ლეონტის უნდა გამოეყენებინოს მანამ, სანამ ის ინტერპოლაცია შეიქმნებოდა „აგათანგელოსის ისტორიისა“, ე. ი. დამოუკიდებელი თხზულების სახით, მაგრამ რომელ ენაზე, გადაჭრით ვერას ამბობს. პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი «რიფსიმეანთა წამებას» ცალკე წყაროდ არ მიიჩნევს ქართული ისტორიკოსისათვის. მისი შეხედულებით, რიფსიმეანთა მარტვილობა, ისე როგორც გრიგოლ განმანათლებელის ცხოვრება, ლეონტი მროველს აღებული აქვს ბერძნული მეტაფრასული რედაქციიდან მომდინარე ქართული თარგმანიდან. ამრიგად, როგორც ხედავთ, ხსენებულ საკითხში მკვლევართა შორის ერთი აზრი არ არსებობს, რის გამო იგი კვლავ საძიებელ საგნად რჩება.

ის გარემოება, რომ «სომეხთა მოქცევის» ბერძნულიდან მომდინარე თარგმანის გვერდით (რომელშიც ძლიერ მოკლედ მოთხრობილია «რიფსიმეანთა წამებაც») ცალკე სახით მოგვეპოვება «რიფსიმეანთა მარტვილობის» წიგნიც, აკად. კ. კეკელიძის ზემოთ აღნიშნულ ნოსაზრებას, რომლის თანახმად ლეონტიმ სომხური წარმოშობილობის წყაროთაგან, სხვათა შორის, „რიფსიმეანთა“ ცალკე არსებული მარტვილობითაც ისარგებლა, უსათუოდ ანგარიშგასაწევსა ხდის. ბუნებრივად იბადება კითხვა, ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლეონტი მროველს ეს მარტვილობა ჰქონდეს გამოყენებული თავის შრომაში, მით უმეტეს, რომ გამორკვეული არაა, თუ რომელ ენაზე გაეცნო მას ისტორიკოსი. პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის შეხედულება, ვითომც ლეონტის ქართლის ბოქციანთან დაკავშირებით მოთხრობილი სომეხთა მოქცევის ამბავი აღებული ჰქონდეს 1081 წ. ქართულად თარგმნილი „გრიგოლ პართეველის ცხოვრებიდან“, აქ დასმულ კითხვას ვერ დაუპირისპირდება, რადგანაც პროფ. კ. კეკელიძის სანართლიანი შენიშვნისა არ იყოს, ლეონტის არ შეეძლო ესარგებლა იმ შრომით, რომელიც მის შემდეგ ითარგმნა. თუნდ სადაც რომ გახდეს მროველის მოღვაწეობის ხანის განსაზღვრა და კიდევ მიიჩნიონ იგი 1081 წლის შემდგომი ხანის მოღვაწედ, მაინც ვერ დამტკიცდება ის დებულება, რომ ლეონტი მროველს „გრიგოლ პართეველის ცხოვრება“ ჰქონდეს გამოყენებული, რადგანაც, როგორც ეს აკად. კ. კეკელიძემ აღნიშნა, ლეონტის ნაწარმოებსა და ხსენებულ თარგმანს შორის ფაქტობრივ ნაწილში განსხვავება არსებობს<sup>39</sup>. ამით გარდა მროველის მონათხრობი, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, სულ სხვა წყაროსთან იჩენს დამოკიდებულებას.

როდესაც ვაღარებთ ერთმანეთს «რიფსიმეანთა მარტვილობის» ქართულ ტექსტსა და გრიგოლ პართეველის ქართული ცხოვრების წიგნის შემადგენელ ნაწილად შესულ ხსენებულ მარტვილობას, შევნიშნავთ, რომ ისინი ურთიერთისაგან დიდად განსხვავდებიან როგორც შინაარსის, ისე ენის მხრით. ასე მაგ.: «გრიგოლ პართეველის ცხოვრებით» სომხეთს მოსულ ქალთაგან ერთი ლტოლვილთაგანი მატყლის ხელობის მცოდნეა: „და მიერ მოიარეწდა საზრდელსა და განუყოფდა მისთანათა მათ ქალწულთა“. ხოლო «რიფსიმეანთა მარტვილობის» ცალკე შემონახული წიგნით, როგორც ქართულით, ისე სომხურითა და მისგან მომდინარე ბერძნული ვრცელი რედაქციით, ეს ქალი მეშანეა, ე. ი. მანის ანუ შუშის მძივებისა თუ ლიღების მკეთებელი. ამნაირი

<sup>39</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტ-რის ისტორია, I, თბილისი, 1923, გვ. 240—246.

ვითარების გვერდით აღსანიშნავია ისიც, რომ რიფსიმეანთა თავადასაყალი პართეველის ცხოვრებაში (ბერძნული მეტაფრასიდან შესრულებულ თარგმანში თეოფილე ხუცესმონაზონისა) საერთოდ მოკლედ არის გადმოცემული, ვიდრე ეს მარტივობის წიგნშია. კერძოდ, გრიგოლ პართეველის ცხოვრებაში არაა მთლიანად ერთი საგულისხმო ადგილი, სახელდობრ, დიოკლიტიანე კეისრის მიერ თრდატ სონებთა მეფესთან გაგზავნილი როარტავი, რომელიც მთლიანად აქვს დატული ლეონტი მროველს, გრიგოლის მარტივობის ანუ «სომეხთა მოქცევისა» ბერძნულ ვრცელ რედაქციას, არაბულსა. და, ცხადია, პირველწყაროს—სომხურ აგათანგელოსს. პართეველის ცხოვრებაში წარმოდგენილია მხოლოდ ამ როარტავის დასასრულის მცირეოდენი ნაწილი. და ეს მოვლენა, რომ, ლეონტი მროველს აქვს ისეთი რამ, რაც გრიგოლ პართეველის ქართულ ცხოვრებას არ მოეპოვება, შეუწყნარებელსა ხდის პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის მოსაზრებას, რომლის მიხედვით ლეონტი მროველს თითქოს უსარგებელია გრიგოლ პართეველის ცხოვრების ქართული წიგნით. «სომეხთა მოქცევის» არაბული ვერსია შედარებით მოკლეა, დაწურულად გადმოგვეცემს იმ მომენტებს, რომლებსაც სხვები აღნიშნავენ. ამგვარად, როარტავის მთლიანად ამსახველი ძეგლებია: სომხური აგათანგელოსი, მისი ბერძნული თარგმანი (ვრცელი რედაქცია: «μπαρταύου ἀγίου Γρηγορίου»), რიფსიმეანთა ქართული მარტივობა, რომელიც სომხურიდანვე არის ნათარგმნი, და ლეონტი მროველის საისტორიო ნაშრომი. როცა ანათ ვადარებთ ერთმანეთს და ვსწავლობთ ერთმანეთთან დაპირისპირებით, გარკვეულ პასუხს ვიღებთ ჩვენთვის საგულისხმო კითხვებზე. პირველ ყოვლისა ამითაც ირკვევა ის, თუ რა ადგილი უჭირავს რიფსიმეანთა ქართული მარტივობის წიგნს სხვა ენებზე არსებულითა შორის, და მეორე—საიდან მომდინარეობს ლეონტის თხრობა სომეხთა მოქცევის შესახებ.

დასახელებულ მასალას რომ ერთიმეორეს ეუპირისპირებთ, თვალში გვხვდება ის მოვლენა, რომ ლეონტის ზოგან ქართული მარტივობის წიგნთან მიმართებით გამოტოვებული ადგილი მოეპოვება. ხსენებული მარტივობისაგან განსხვავებით, ისე როგორც მისი წყაროსაგანაც (სომხური აგათანგელოსისაგან), მას ზოგჯერ საწინააღმდეგო მოვლენაც ახასიათებს: მას ისეთი ადგილები მოეპოვება, რომლებიც რიფსიმეანთა ქართულ მარტივობაში და, მამასადავამე, სომხური აგათანგელოსის ისტორიაშიც არაა. ეს გარემოება მროველის ისტორიის აღნიშნული ნაწილის მარტივობის ქართულ წიგნზე დამოკიდებულების სასარგებლოდ არ მეტყველებს მისი წყარო, ამრიგად, რადგან ქართული მარტივობის წიგნი და მისი სომხური წყარო გამოირცხულია, ისევე უცხო ნიადაგზე უნდა ვეძიოთ, სახელდობრ, ბერძნულზე.

ლეონტი მროველის ბერძნულზე დამოკიდებულებას სხვა მხარეებთან ერთად განსაკუთრებით ერთი ადგილი განსაზღვრავს. რაც რიფსიმეანთა წამების მოხსენებასთან დაკავშირებით აქვს გადმოცემული ისტორიკოსს. ამ ადგილს «ქართლის ცხოვრების» ესა თუ ის ნუსხა სხვადასხვანაირად გვაწვდის. მარიამ დედოფლისეულსა და ვახტანგისეულ «ქართლის ცხოვრებაში» ეს ადგილი ასე იკითხება: «და მოიწიენეს ლტოლვილნი არეთა და სანახებთა სომხითისათა, ადგილსა მას, რომელსა ჰქვან ახალქალაქ, უაღრეს შენებულსა, რომელ არს დვინი, საყოფელი სომეხთა მეფისა (M გვ. 66,17; W 93. 19 ზ. კიკინაძის გამოცემა). ანა დედოფლისეულ «ქართლის ცხოვრებაში» აღნიშნული ადგილი ასეა წარმოდგენილი: «და მოვიდეს არეთა სომხეთისათა,



ახლახან მოყვანილი ადგილის გაგრძელებაც იმავე «ქართლის ცხოვრებიდან»: «და გუეუწყეპიან სასწაულნი იგი, რომელნი იქმნნეს ეამსა წამებისა მათისასა მოქცევისა შინა სომეხთასა» (გვ. 66). ეს ამონაწერიც, რასაკვირველია, პროფ. კ. კეკელიძის დაკვირვებისა არ იყოს, ერთმანეთისაგან გარჩეულ ორ ძეგლს გულისხმობს: «წამების წიგნსა» და «სომეხთა მოქცევას» და იმ აზრს გვიკარნახებს, რომ ლეონტი მროველს ისინი ცალ-ცალკე სცოდნოდა და არა გამთლიანებული ერთ კრებულად.

«ქართლის ცხოვრების» სხვა ნუსხები სხვანაირ გაგებას გვაწვდის. ასე მაგ., ვახტანგისეულ «ქართლის ცხოვრებაში» ამ ადგილს შემდეგს ვკითხულობთ: «ხოლო ურჩ ექმნა რაჲ ტრდატს საქმისა ამისთჳს წმიდაჲ რიფსიმე, მაშინ იწამა იგი მის მიერ წამებისა ლუაწლითა, მის თანა გაიანეცა, დედაძმძე იგი მისი, და სხუანი მრავალნი მათთანანი, ვითარცა-იგი წერილ არს წიგნსა მას წამებისა მათისასა, მოქცევისა შინა სომეხთასა» (ზ. ქიქინაძის გამოც. გვ. 95). აქედან კი ის ჩანს, რომ «წამების წიგნი» შესულია «მოქცევისა შინა სომეხთასა» და ასეთი მთლიანი კრებული სცოდნია ლეონტი მროველს. ასეთივე აზრია გატარებული ქალაქელისეულ «ქართლის ცხოვრებაშიც», სადაც ვკითხულობთ: «ხოლო წმიდა რიფსიმე არა დაემორჩილა და ელიზა მრავალთა სასწაულთა იგი და დედაძმძე მისი გაიანე და სხუანი მრავალნი მათთანანი, ვითარცა წერილ არს წამება მათ ყოვლთა და სასწაულნი მათნი მოქცევისა სომეხთასა». ამას უკერს მხარს ანა დედოფლისეული «ქართლის ცხოვრებაც», სადაც უკანასკნელი სიტყვები ასე იკითხება: «ვითარცა წერილ არს წამება მათი და სასწაული მოქცევისა სომეხთასა» (მე-7 რეკულის ნე-12 გვ.).

ამნაირად ირკვევა, რომ «ქართლის ცხოვრების» ნუსხების უნდაეფლოსობა «რიფსიმეანთა წამებას» ნაწილად მიიჩნევეს «სომეხთა მოქცევისა». ამიტომაც, ამ მხრივ უნდა შესწორდეს აკად. კ. კეკელიძის შეხედულება, ვითომც «რიფსიმეანთა წამება» ცალკე წიგნის სახით გამოყენების ლეონტი მროველს.

არსებულ ცნობებსა და წყაროების შედარებაზე დაყრდნობით ლეონტი მროველის წყაროს შესახებ შემდეგი პასუხის გაცემა ხერხდება: რიფსიმეანთა წამებისა და სომეხთა მოქცევის თხრობისას ლეონტი მროველს გამოყენებული აქვს ერთიდაიგივე წყარო, შემცველი როგორც წამებისა, ისე მოქცევისაც. ეს წყაროა ბერძნული და ისიც უმენაზე დაცული დღემოდელი ვრცელი ვარიანტი თუ არა, მისგან არც ისე დიდად დაშორებული.

აგათანგელოსის შესწავლა უკანასკნელი წლების მანძილზე მეტად გაცხოველდა. უმეტესად ეს საქმე ბელგიელი ორიენტალისტის პროფ. ჟ. გარიონის სახელთან არის დაკავშირებული. მან 1946 წ. გამოაქვეყნა თავისი კაპიტალური ნაშრომი (G. Garitte. Documents pour l'étude du livre d'Agathange. Vatican, 1946: «Studi e testi», 127, XVIII+447), სადაც მისთვის ჩვეული გულსმოდგინებით, ძირითად მიზანთან ერთად—გამოექვეყნებინა მის მიერ მიკვლეული გრიგოლ სომეხთა განმანათლებელის ცხოვრების ახალი ბერძნული ტექსტი—სრულად განიხილა აგათანგელოსის ისტორია თუ მისი ცალკეული ნაწილები, რომლებიც სხვადასხვა ენაზეა დაცული. მისი ყურადღების არეში იყო და არის, რასაკვირველია, ქართული წყაროებიც. შეუმჩნე-

ველი არ დარჩენია მას არც ერთი ქართულად გამოქვეყნებული მასალა და მათ რიცხვში რ. ბლეიკის მიერ მიკვლეული მცირეოდენი ფრაგმენტები კი რიფსიმიანთა წიგნიდან<sup>22</sup>, რაც მან დააღაგა თანმიმდევრულად და მასთან დაუძებნა მას წყარო და განსაზღვრა თარგმანის თვისება.

ე. გარითმა დაწერილებით შეისწავლა მის მიერ მიკვლეული გრიგოლ განმანათლებელის ბერძნული ცხოვრების წიგნი აგათანგელოსის სხვა არსებულ წიგნებთან დაკავშირებით და დაადგინა მისი უახლოესი კავშირი არაბული ცხოვრების წიგნთან, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიაკვლია და გამოსცა აკად. ნ. მარმა.

«რიფსიმიანთა მარტვილობის» იმ ნაწყვეტს, რომელიც რ. ბლეიკმა აღწერა და გამოაქვეყნა 1932 წ., აგათანგელოსის მკვლევარმა ცალკე შრომა უძღვნა 1948 წ.<sup>23</sup> აქ მან ვრცლად წარმოადგინა ადრე გამოთქმული (1946 წ.) თავისი შეხედულებანი და თან ხელახლა გამოაქვეყნა მარტვილობის წიგნის ფრაგმენტები სათანადო ანალიზით.

